




## ნიკლას ლუმანის (Niklas Luhmann) (8.12.1927-6.11.1998) სოციოლოგიის

### ძირითადი ცნებები და დებულებები

1. ნიკლას ლუმანი: პიროვნება და მეცნიერი
2. სამი ეპისტემოლოგიური ცრურწმენა და საზოგადოების ცნება
3. აუტოპოესისი და სოციალური სისტემის ოთხი მახასიათებელი
4. საზოგადოება და ფსიქიკური სისტემები: მნიშვნელობის (საზრისის) ცნება
5. კომუნიკაციები და ორმაგი შესაძლებლობა.
6. სოციალური სისტემების ევოლუცია
7. ფუნქციონალურ სისტემათა დიფერენციაცია და კოდი
8. სისტემური თეორია და ცოდნის სოციოლოგია.



### საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

სისტემა, სისტემური მიდგომა, განსხვავება, თვითრეფერენტულობა, აუტოპოესისი (თვითწარმოება), კომუნიკაცია როგორც ინფორმაციის, შეტყობინების და გაგების სამერთიანობა, ბიფურკაცია(ორმაგობა), კონტინგენცია, კომპლექსურობის რედუცირება, სელექციაციათა ტრანსლაცია, რეზონანსი – გარე სამყაროს ზემოქმედებაზე სისტემის შერჩევითი (სელექციური) პასუხი, ფუნქციონალური დიფერენციაცია, კომუნიკაციურ საშუალებათა გენერალიზაცია. ემერჯენტული წესრიგი.

1. ნიკლას ლუმანი, პიროვნება და მეცნიერი. იგი დაიბადა გერმანიის ქ. ლიუნებურგში 1927 წელს, ლუდის მწარმოებლის ოჯახში. ლუმანი წარმოშობით არ მიეკუთვნებოდა განათლებულ ბიურგერთა კლასს. 1944 წელს გაიწვიეს გერმანიის არმიაში, მაგრამ ბრძოლებში ფაქტობრივად მონაწილეობა არ მიუღია, იყო საავიაციო ნაწილების ტექნიკოსის თანაშემწე. იგი კარგად აცნობიერებდა მიმდინარე ომის აბსურდულობას და მრავალი თავისი თანატოლის მსგავსად ეძიებს შესაძლებლობას, რათა ტყვედ ჩაბარდეს ამერიკელებს ან ინგლისელებს, რასაც ახერხებს კიდეც. 1946 წლიდან 1949 წლამდე იგი ეუფლებოდა სამართლის მეცნიერებას ქ. ფრაიბურგში. 1956-1962 წლებში იგი მუშაობს ქვემო საქსონიის კულტურის საქმეთა სამინისტროში უფროსი მრჩევლის პოსტზე. სწორედ აქ მუშაობისას ლუმანმა თავის თავს მოუწყო სტაჟირება ამერიკაში. იგი ხომ ამერიკაში წამსვლელთა საბუთებს აფორმებდა. ერთხელ თავში აზრად მოუვიდა მასაც იგივე გაეკეთებინა. 1960-1961 წლებში ლუმანი უკვე აშშ-ი, ჰარვარდის უნივერსიტეტშია და სწავლობს. (თუ სტაჟირებას გადის) ისეთ ცნობილ სოციოლოგთან, როგორც ტ. პარსონსი იყო. სამშობლოში დაბრუნებისას იწყებს მმართველის თეორიის შესწავლას, ხოლო 1965 წელს სამეცნიერო სამუშაოთა დაკავებულნი. 1966 წელს იცავს დისერტაციას უმაღლესი ხარისხით უჩვეულოს და არაჩვეულებრივს, როგორც მისი ბიოგრაფები შენიშნავენ დღევანდელი წარმოდგენის შესაბამისად უბრალოდ წარმოუდგენელს: ორივე დისერტაცია (promotion – ს, რომელიც დოქტორის ხარისხს იძლევა, და habilitation – ს რომელიც პროფესიისაკენ უხსნის გზას)



იცავს მხოლოდ ნახევარი წლის ინტერვალით და მუშაობა დაიწყო მიუნსტერის უნივერსიტეტში. 1968 წელს ლუმანი იღებს პროფესორის თანამდებობას სულ ახლად გახსნილ ბილფელდის უნივერსიტეტში. სადაც იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე რჩება, ვიდრე პენსიაზე არ გავიდა 1993 წელს. 1977 წელს გარდაეცვალა მეუღლე, რის შემდეგ არც დაქორწინებულა, იგი მაქს ვებერის მსგავსად არ ცდილობდა ეზრუნა თავის მოსწავლეებზე და რაღაც სკოლა შეექმნა. თუმცა მისი პენსიაზე გასვლის შემდეგ ქ. ბილფელდში მისი მიმდევრების საფუძვლიანად ორგანიზებული ჯგუფი ჩამოყალიბდა. 1988 წელს მან მიიღო ჰეგელის სახელობის პრემია. ათი წლის შემდეგ დაასრულა რა თავისი ყველაზე დიდი 1000 გვერდიანი და ფუნდამენტური ნაშრომი – „საზოგადოების საზოგადოება“, როგორც უკანასკნელი წიგნი, მონუმენტური შრომა, გრანდიოზული პროექტის შედეგი, მთელი სიცოცხლის საქმე – გარდაიცვალა კიდევ. მსოფლიოს სოციოლოგიას არ დაუწყია ჯერ მისი თეორიის ენაზე ლაპარაკი, მაგრამ მისთვის გვერდის ავლაც ძალზე რთული და ძნელია. უახლეს წლებში ნათლად გამოჩნდება ნ. ლუმანის შეხედულებების არა მხოლოდ ევრისტიკული არამედ მაკონსტრუირებელი ძალაც და როლიც.

თავის მეცნიერულ-აკადემიური საქმიანობის დასაწყისში ლუმანი მიზნად ისახავს შემდეგ ამოცანას: 30 წლის მანძილზე სრულად აღწეროს საზოგადოება. ამ ამოცანის გადაჭრას მიუძღვნა კიდევ მან მთელი თავისი სიცოცხლე. უკვე აღნიშნული წიგნი „საზოგადოების საზოგადოება“ („Die Gesellschaft der Gesellschaft“) რომელიც მისი სიკვდილის წინ გამოიცა ამ მოღვაწეობის გვირგვინად იქცა.

იგი იზიარებდა ნეორობიოლოგების ფრანცისკო ვარელას და უმბერტო მატურანის მეცნიერულ შეხედულებებს ცოცხალი და სოციალური სისტემების ბუნებაზე, შესაბამისად თავის შრომებში „აუტოპოისის“ (autopoiesis) ბიოლოგიური კონცეფცია გამოიყენა.

სულ ლუმანმა დაწერა 77 წიგნი და დაახლოებით 250 სტატია საზოგადოების სისტემური თეორიისა და სოციალური შემეცნების თეორიის თემებზე.

გარდა მეცნიერული მოღვაწეობისა, ლუმანი ფლობდა ლუდის ბარ „Pons“ მშობლიურ ლიუნებურგში. და მას არასდროს არ უმუშავია და უსწავლებია ლიუნებურგის უნივერსიტეტში.

ძირითადი შრომებია:

- „სოციოლოგიური განმანათლებლობა“ (Soziologische Aufklärung).
- „სოციალური სისტემები“ („Soziale System. Grundriss einer allgemeinen Theorie“ 1984).
- „სამართლის სოციოლოგია“ („Rechtssoziologie“, 1972).
- „სამართლებრივი სისტემა და სამართლებრივი დოგმატიკა“ (Rechtssystem und Rechtsdogmatik“, 1974).
- „რელიგიის ფუნქციები“ („Die Funktion der Religion“, 1977).
- „საზოგადოებრივი სტრუქტურა და სემანტიკა“ („Gesellschafts struktur und Semantik“, 1980-1995).
- „სიყვარული როგორც ვნება“ („Liebe als Passio“, 1982).



– „საზოგადოების საზოგადოება“ („Die Gesellschaft der Gesellschaft“, 1997).

წიგნები რუსულ ენაზე:

– „ძალაუფლება“. (Луман, Н. Власть/Пер. с нем. А.Ю. Антоновского - М.: Праксис, 2001. - 256с.-(Образ общества))

– „საზოგადოების საზოგადოება“ (Луман, Н. Общество общества Часть I. Общество как социальная система - М.: Логос, 2004)

– „საზოგადოების საზოგადოება“ ნაწილი II. მედიაკომუნიკაციები. М.: Логос, 2005.

– „საზოგადოების საზოგადოება“ ნაწილი III. (Луман, Н. Общество общества Часть III. Эволюция - М.: Логос, 2005)

– მასმედიის რეალურობა. Луман, Н. Реальность масмедиа/ Пер. с нем. А.Ю. Антоновского - М.: Праксис, 2005).

– „საზოგადოების საზოგადოება“ ნაწილი IV. (Луман, Н. Общество общества Часть IV. Дифференциация - М.: Логос, 2006)

– „სოციალური სისტემები“ Луман, Н. Социальные системы. Очерк общей теории. СПб.: Наука, 2007.

## 2. სამი ეტაპი სისტემურ-თეორიულ აზროვნების განვითარებაში:

ა) პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელია „ნაწილი-მთელის“ პარადიგმა. ითვლება, რომ მთელი (ე.ი. სისტემა) მეტია თავისი ნაწილების ჯამზე იმ აზრით, რომ ნაწილებს შორის სპეციფიკური კავშირების წყალობით წარმოიშობა სისტემის თავისებურად ახალი თვისებები. სისტემურ-თეორიული აზროვნების ამ ეტაპის წარმომადგენელი სოციოლოგიაში იყო ემილ დიურკემი.

ბ) მეორე ეტაპზე ბატონობს „სისტემა-გარემოს“ პარადიგმა. მისი წარმომადგენელი სოციოლოგიაში იყო ტალკოტ პარსონსი. ტ. პარსონსის თანახმად, სისტემა წარმოიშობა გარემომცველი სინამდვილისაგან გამიჯვნის გზით და მკვლევარის ყურადღებაც პირველ რიგში მიმართულია სისტემისა და მის გარემოს შორის არსებულ დამოკიდებულებებსა და პროცესებზე. ამის წყალობით ცენტრალური ცნებები ღია სისტემებისათვის, სოციალური სისტემები კი სწორედ რომ ასეთია, გახდნენ შესასვლელისა და გასასვლელის ცნებები.

გ) ნ. ლუმანის სოციალური თეორია სისტემურ თეორიული აზროვნების განვითარების მესამე ეტაპს წარმოადგენს. მისი ცენტრალური ცნებები განეკუთვნება აუტოპოეზისური ანუ თვითამღწერი (თვითრეფერენტული) სისტემის ცნებებს. ნ. ლუმანი თვლის, რომ აუტოპოეზისის, თვითორგანიზაციის და თვითრეფერენტულობის კონცეფციების მნიშვნელობა შორს გადის ბიოლოგიური გამოკვლევების (ხუმბერტო მატურანა, ფრანჩესკო ვარელა) ფარგლებიდან და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ ცოდნის მრავალ დარგში. ნ. ლუმანის შემოქმედება წარმოადგენს ამ კონცეფციების გამოყენებას და განვითარებას თანამედროვე საზოგადოების თეორიის დასამუშავებლად.



მისი როგორც თეორეტიკოსი სოციოლოგის ძირითადი ამოცანაა: „გააფართოვოს ადამიანის შესაძლებლობები-უნარები, მოიცვას სამყაროს სირთულე და გაარკვიოს იგი.“

სოციალური სისტემა – ნ. ლუმანის აზრით – წარმოადგენს საზრისისეული კომუნიკაციის სისტემას, ამასთანავე ითვლება, რომ კომუნიკაცია აწარმოებს კომუნიკაციას.

### საზოგადოების ცნება

ნებისმიერ მეცნიერულ დისციპლინას ახასიათებს სიძნელეები, დაკავშირებულნი ცნებებთან, რომლებმაც უნდა აღნიშნონ მათი საგნის ერთიანობა. სწორედ ამ პრობლემაზეა მიმართული აუტოპოესისის ცნება.

მაგრამ ხომ შეიძლება საზოგადოების მოსააზრებლად გამოვიყენოთ „სოციალურის“ ცნება? მაგრამ მაშინ სად აღმოჩნდებოდნენ სოციალური, დამნაშავეობა, დიურკემის ანომია? ასევე შესაძლებელი უნდა იყოს სოციოლოგიის საგანის ერთიანობის აღსანიშნავად თვით საზოგადოების ცნების გამოყენებაც? სოციოლოგიას ხომ საზოგადოებრივ მეცნიერებების რიგს მიაკუთვნებენ? მაგრამ როდესაც ცდილობენ საზოგადოების ცნების განსაზღვრას, მაშინ ეჯახებიან სიძნელეებს; წინა პლანზე გამოდის სიტყვა, მაგრამ ამაოდ ეძებენ ცნებას, რომელიც აღნიშნავდა ნაგულისხმევ ცნებას სიზუსტით, რომელიც საკმარისი იქნებოდა თეორიული მიზნებისათვის.

საზოგადოების ცნებაზე უარის თქმას აქვს ისტორიული საფუძვლები:

ა) უკვე XIX-ე საუკუნის დასასრულს ლაპარაკობდნენ ამ ცნების გამოყენების უვარგისობაზე სოციოლოგიაში.

ბ) ნაწილობრივ ეს ცნება იყო განსხვავების კომპონენტი, რომელსაც იმის გაქრობასთან, რის აღნიშვნაც იყო მის მიერ საჭირო: სახელმწიფო და საზოგადოება ან საზოგადოება და ერთობა. ზოგჯერ მთლიანად არ სურდათ ხელი აეღოთ საზოგადოების ცნებაზე - „ფორმალური სოციოლოგიის“ კვლად, მაგრამ ვერ ახერხებდნენ მის დაზუსტებას საკუთარ ისტორიასთან მიმართებაში.

ამგვარად ეს იყო კლასიკოსების პრობლემა. ლუმანისათვის კი იგი პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ თუ სოციოლოგია დღესაც რჩება სიძნელეების წინაშე, მაშინ აქ უკვე სხვა მიზეზები თამაშობს თავის როლს.

ლუმანი ლაპარაკობს სამ ეპისტემოლოგიურ ცრურწმენაზე, რომელიც მას ყველაზე მნიშვნელოვან რამედ მიაჩნია, რათა გაარკვიოს ის სიძნელეები, რომლებიც ხელს უშლიან სოციოლოგიის საგნის ერთიანობის მიღწევას:

პირველი ეხება დაშვებას, რომ საზოგადოება შედგება ადამიანისაგან ან ადამიანებს შორის ურთიერთობა-დამოკიდებულებისაგან. ამას ლუმანი ჰუმანისტურ ცრურწმენას (obstacles epistemologiques) უწოდებს. როგორ უნდა გავიგოთ ეს? რომ იგი შედგება ხელებისაგან და ფეხებისაგან, აზრებისა და ენზიმებისაგან? რომ პარიკმახერი საზოგადოებას თმებს აჭრის-კრეჭს?



ხომ არ ესაჭიროება მას რაღაც შემთხვევაში ცოტა ინსულინის შეყვანა? როგორი ოპერაციები ახასიათებენ საზოგადოებას, თუ უჯრედის ქიმიკა ისეთივე ხარისხით ეხება მას, როგორც არაცნობიერ განდევნა-შევიწროებათა ალქიმიკა? ცხადია, რომ ჰუმანისტური ცრურწმენა შეგნებულად ეფუძნება ცნებათა სიზუსტის მოთხოვნის არასიმკაცრეს, მაგრამ მაშინ უნდა ვიკითხოთ, კი მაგრამ, რატომ? ასეთ შემთხვევაში კი თეორეტიკოსს თავად ესაჭიროება დახმარება.

მეორე ცრურწმენა, რომელიც ბლოკირებას უკეთებს ცნებებს, საზოგადოებათა ტერიტორიული მრავალგვარობის დაშვებაში მდგომარეობს. ჩინეთი – ეს ერთი საზოგადოებაა, ბრაზილია მეორე; პარაგვაი – ერთი, მაშასადამე ურუგვაი მეორე. მაგრამ, ლუმანის აზრით, ყველა ძალისხმევა, რომელიც მიმართულია საზოგადოებათა მკაცრ გამიჯვნაზე, ამაოა, სულერთია ორიენტირებულნი იქნებიან ისინი საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე ან ენასა, კულტურასა თუ ტრადიციაზე. თუმცა ამ ტერიტორიაზე არსებობს სასიცოცხლო პირობების უთვალავი განსხვავება, მაგრამ ეს განსხვავებები უნდა ახსნილ იქნეს საზოგადოების შიგნით არსებული განსხვავებების სახით, და არ უნდა იქნეს დაშვებულნი საზოგადოებათა შორის განსხვავებების სახით. სხვაგვარად, მიიღება, რომ სოციოლოგია თურმე თავისი ცენტრალური პრობლემის გადაჭრას ცდილობს გეოგრაფიის საშუალებით.

მესამე ცრურწმენა ატარებს თეორიულ შემეცნებით ხასიათს. იგი მომდინარეობს სუბიექტისა და ობიექტის განსხვავებისაგან. შემეცნების თეორიის თანახმად, რომელიც თითქოს XX-ე საუკუნემდე ბატონობდა, სუბიექტსა და ობიექტს უნდა გაყოფილ-განცალკევებულად ვიაზრებდეთ და სამყაროს დაკვირვებასა და აღწერას შესაძლებლად ab extra (გარედან) ვთვლიდეთ. ვალიაროთ შემეცნება, როგორც ასეთი მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალგვიძს თავის საგანთან ყოველგვარი გადახლართვა-აღრევის თავიდან აცილება. მხოლოდ სუბიექტები ფლობენ თვითრეფერენტულობის პრივილეგიას, ობიექტები კი არ არიან ისეთნი, როგორებიც არიან.

მაგრამ, შენიშვნას ლუმანი, სავსებით ცხადია, რომ საზოგადოება წარმოადგენს თვითამღწერ ობიექტს. საზოგადოებრივი თეორიები წარმოადგენენ საზოგადოების თეორიებს საზოგადოებაში. თუ ეს დაშვებული იქნებოდა შემეცნების თეორიულ მიმართებაში, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი სამკაცრით საზოგადოების ცნების დადგენა. სხვაგვარად: საზოგადოების ცნება უნდა ჩამოყალიბდეს ავტოლოგიურად. მან უნდა მოიცვას თავისი თავიც.

ლუმანის წინადადება: საფუძველშივე ჩავდოთ კომუნიკაციის ცნება და ამით ხელახლა გავიაზროთ სოციალური თეორია სისტემის ცნების ბაზაზე ნაცვლად მოქმედების ცნებისა. ეს საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ სოციალური სისტემა, როგორც ოპერატიულად ჩაკეტილი სისტემა, რომელიც შედგება საკუთარი კომუნიკაციების მწარმოებელი ოპერაციებისაგან; მოქმედების ცნების შემთხვევაში საეჭვოა თავიდან ავიცილოთ გარეგანი რეფერენციები. მხოლოდ კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეგვიძლია გავიაზროთ სოციალური სისტემა, როგორც აუტოპოესიური სისტემა, რომელიც შედგება ელემენტებისაგან, სახელდობრ: სწორედ ამ ელემენტების ქსელის, კომუნიკაციების ქსელის მეშვეობით წარმოებული და თვითწარმოებული კომუნიკაციებისაგან.



სისტემური თეორიისა და კომუნიკაციის თეორიის კომბინაცია მოითხოვს კომუნიკაციის ისეთ ცნებას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვეთქვა, რომ ყველა კომუნიკაცია იწარმოება მხოლოდ კომუნიკაციის მეშვეობით – თავისთავად ცხადია, რასაკვირველია გარემოში, რომელიც ამ კომუნიკაციას უშვებს და ინარჩუნებს.

კომუნიკაციის ასეთი გაგებისათვის კი შეიძლება ვისარგებლოდ განსხვავებით. ლუმანი ახდენს ამ ცნების ხელახალ ფორმულირებას, როგორც ინფორმაციის, მაუწყებლობის (შეტყობინების, მესიჯის) და გაგების განსხვავებას. კომუნიკაცია ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელი ხდება ამ სამი ასპექტის სინთეზირება. ქცევის მარტივი აღქმისაგან განსხვავებით, გაგების საფუძველში ჩადებული უნდა იქნას მაუწყებლობის აქტისა და თავად ინფორმაციის განსხვავება. სწორედ ამისაგან უნდა ამოვიდეთ. ასეთი „primary distinction“ (პირველი განსხვავების) გარეშე კომუნიკაცია საზოგადოდ არ განხორციელდება.

თუ მივიღებთ კომუნიკაციის ამ ცნებას, მაშინ – ლუმანის აზრით – იმავე წამს მოიხსნებიან საზოგადოების ჩვეულებრივი თეორიის ყველა ცრურწმენა *obstacles epistemologigus*, მის ადგილს იკავებენ პრობლემები, რომლებიც თეორიულად დასაბუთებულ მეცნიერულ კვლევასაუკეთესოდ ესადაგებიან .

აქედან ამოსვლით ნათელი ხდება, რომ კონკრეტული ადამიანები არიან არა საზოგადოების ნაწილი, არამედ მისი გარემომცველი გარემოსი. მეტად აზრი არა აქვს ვამტკიცოთ, რომ საზოგადოება შედგება ადამიანებს შორის „ურთიერთობებისაგან“. კომუნიკაციის ცნება თავის თავში მოიცავს გაცილებით ზუსტ დაშვებას, ვარაუდებს (მაგრამ რეკონსტრუქციას უკეთებს იმას, რასაც ჩვეულებრივი სოციოლოგები გულისხმობენ, როდესაც „ურთიერთობის – დამოკიდებულების“ შესახებ ლაპარაკობენ) მაგალითად, არაა საკმარისი ის, რომ ერთი ადამიანი ხედავს ან უსმენს მეორეს, თუნდაც იგი აკვირდებოდეს მის ქცევას მაუწყებლობისას (ცნობებისა) და ინფორმაციის განსხვავების დახმარებით. თუ ვინმეს შესახებ ლაპარაკობენ ან წერენ, ეს აგრეთვე ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმისთვის, რათა მისადმი დამოკიდებულება სოციალურ დამოკიდებულებად ჩაითვალოს. სოციალურ ოპერაციას წარმოადგენს მხოლოდ თვითონ კომუნიკაცია.

ტერიტორიული საზღვრების ცნებაც და ასევე ვარაუდი – დაშვება რეგიონალური საზოგადოებათა მრავალმხრივობის შესახებ ზედმეტი ხდება. ის, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს სივრცეს და სივრცობრივ საზღვრებს, მათი კომუნიკაციური გამოყენებისაგან გამომდინარეობს, მაგრამ თვით კომუნიკაციას არა აქვს სივრცული (სივრცეში) ადგილი. თავისი მატერიალური სუბსტრატის გამო იგი რასაკვირველია, შეძლება დამოკიდებული იყოს სივრცულ პირობებზე. ცხოველთა სამყაროში სივრცული ურთიერთობები – დამოკიდებულებები სოციალური წესრიგის გამოთქმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, თუ ერთადერთი წესი არა მაგრამ სოციოკულტურული სამყაროს ევოლუცია ენის, დამწერლობის, ტელეკომუნიკაციების წყალობით იმდენად ამცირებს სივრცობრივ – ვრცელ ურთიერთობათა მნიშვნელობას, რომ დღეს შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ კომუნიკაცია განსაზღვრავს სივრცის შემორჩენილ მნიშვნელობას და არა პირიქით, მაგრამ ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ სწორედ სივრცე უშვებს და ზღუდავს კომუნიკაციას.



და ბოლოს, კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეიძლება კარგად ავხსნათ, რომ საზოგადოება არის თვითაღმწერი და თვითდამკვირვებელი სისტემა. უკვე მარტივი კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ წინამორბედ და შემდგომ კომუნიკაციათა რეკურსიულ (გადასვლათა) ქსელში. ასეთ ქსელს შეუძლია თავისი თავის თემატიზირება, შეუძლია ინფორმაცია მიაწოდოს თავის თავს, საკუთარი კომუნიკაციების შესახებ, შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს ინფორმაცია, არ მიიღოს იგი, ნორმირებული გახადოს კომუნიკაცია, როგორც დასაშვები ან დაუშვებელი და ა.შ. რადგან ყველაფერი ეს ხდება მხოლოდ მისი მხრიდან კომუნიკაციის ოპერატიულ ნაწილში. ამით კი ნივთების ორმაგი მდგომარეობა ნათელი ხდება: რომ საზოგადოება არის თვითაღმწერი და თვითდამკვირვებელი სისტემა და რომ მას არა მხოლოდ შეუძლია გამოიყენოს ოპერაციის თავისი წესი, არამედ ვალდებულია –ეს გააკეთოს, რათა განახორციელოს ასეთი თვითაღმწერი ოპერაციები. ეს აგრეთვე ეხება მეცნიერებას, მათ შორის სოციოლოგიასაც. ყველა კომუნიკაცია საზოგადოების შესახებ საზოგადოების მიერ მათ სტანდარტიზირებაზეა დამოკიდებული. რომელიმე გარე დამკვირვებელი რამდენიმე საკმარისი კომენტარებით არ არსებობს, თუმცა ყოველ ცალკეულ ცნობიერებას შეუძლია იფიქროს იმის შესახებ, რადაც იგი საზოგადოებას თვლის; ხოლო ყოველ იმუნურ სისტემას შეუძლია დააკვირდეს თავის თავს, ყურადღებით ეკიდება რა ავადმყოფობას, რომელიც წარმოიშვა ადამიანთა მხოლოდ საერთო – ერთობლივი საზოგადოებრივი ცხოვრების შედეგად და ა.შ.

ახლა ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ საზოგადოების ცნება შუალედური რეზულტატის სახით. საზოგადოება წარმოადგენს ყველა თავისი თავის აუტოპოესისურად კვლავწარმოებული კომუნიკაციების ყოვლისმომცველ სისტემას, მაშინ როდესაც იგი აწარმოებს ყველა ახალ (და ყველა დროში სხვა) კომუნიკაციას კომუნიკაციის რეკურსიულ ქსელში. ასეთი სისტემის ემერჯენტულობა მოიცავს კომუნიკაციებს, რადგან მათ უნარი შესწევთ ჩაერთონ მხოლოდ შინაგანი სახით. ყველა სხვას იგი გამორიცხავს. ამგვარად, ერთ-ერთი ასეთი სისტემის კვლავწარმოება მოითხოვს სისტემისა და (გარემომცველი სინამდვილის) გარემოს განსხვავების უნარს. კომუნიკაციებს შეუძლიათ გამოიღონ კომუნიკაციები, განასხვაონ ისინი სხვა გარემოებებისაგან.

ამგვარად, საზოგადოება, როგორც ყოვლის მომცველი სოციალური სისტემა, იგება, კონსტრუირდება გარემომცველი სამყაროსაგან თავისი თავის განსხვავებით, რომელსაც მიეკუთვნება ცნობიერების (ინდივიდების) სისტემები, ტვინის სისტემა და ფიზიკური სისტემები. გარემომცველი სამყაროსაგან თავისი თავის შემოსაზღვრისას, საზოგადოებას შეუძლია იმოქმედოს ჩაკეტილი სახით, და, რამდენადაც ერთადერთ ნამდვილს – სოციალურ ოპერაციად გვევლინება კომუნიკაცია, ამდენად ოპერატიული ჩაკეტილობა იმით გამოიხატება, რომ ერთი კომუნიკაცია ებმება და უერთდება მეორე კომუნიკაციას. საზრისი არის მედიუმი, რომლის მეშვეობითაც ხდება ასეთი მიერთება. მაგრამ თავად საზოგადოება არაერთგვაროვანია და მთელ რიგ ისეთ ქვესისტემებად დიფერენცირდება, როგორებიცაა: ფუნქციონალური ქვესისტემები (მას-მედია, პოლიტიკა, მეცნიერება და სხვები) პირის-პირ ინტერაქციების სისტემა, აგრეთვე ორგანიზაციათა სისტემა. თითოეული ფუნქციონალური ქვესისტემა განცალკევდება – განკერძოვდება კომუნიკაციათა კოდირების გზით: კი – რედაქციისა, და არა – რედაქციის მეშვეობით, რომლებიც საზრისშია ჩადებული. ამგვარად, თითოეული ფუნქციონალური



ქვესისტემა ისწრაფვის თავის თავში მოიცვას მხოლოდ მისთვის სპეციფიკური კომუნიკაციები, მაგრამ ამავე დროს გამოირიცხოს სხვა გვარის კომუნიკაციები. მაგალითად, მეცნიერება არსებობს ჭეშმარიტება-სიყალბის კოდის წყალობით, ამიტომ მასში ნებისმიერი ჭეშმარიტ მტკიცებას-დებულებას შეუძლია შეუერთდეს განსაკუთრებით სხვა ჭეშმარიტ მტკიცებას-დებულებას. კომუნიკაცია როგორც ასეთი არის ინფორმაციის, შეტყობინების და გაგების (ინფორმაციასა და შეტყობინებას შორის განსხვავების გაცნობიერება) სამერთიანობა.

### 3. აუტოპოესისი და სოციალური სისტემის ოთხი მახასიათებელი

ლუმანმა შეიმუშავა სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც ტალკოტ პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ელემენტებს სისტემათა ზოგად თეორიასთან აერთიანებს და კოგნიტური ბიოლოგიისა და კიბერნეტიკის ცნებებს ისრუტავს.

მაგრამ პარსონსისეულ მიდგომაში იგი ორ ნაკლს ხედავს: პირველი, მასში თვითმიმართულებისა და თვითორგანიზებისათვის ადგილი არ არის; ლუმანის აზრით კი, საზოგადოების უნარი მიმართება დაამყაროს თავის თავთან, მისი როგორც სისტემის გაგებისათვის ცენტრალური მნიშვნელობისაა. მეორე, პარსონსი არ აღიარებს შემთხვევითობას, რის გამოც მას არ ძალუძს ადექვატურად გაანალიზოს თანამედროვე საზოგადოება, როგორც ასეთი. რამდენადაც ფიქრადაც კი არ მოსდის თავში აზრი იმის შესახებ, რომ საზოგადოება შეიძლება სრულიად სხვაგვარიც კი ყოფილიყო.

იმის გასაღები თუ რას გულისხმობს ლუმანი სისტემის ქვეშ, შეიძლება სისტემისა და მისი გარემომცველი სინამდვილის ანუ გარემოს განსხვავებაში დავინახოთ. არსებითად, ესაა განსხვავება სირთულის ხარისხში. სისტემა მუდამ ნაკლებ რთულია, ვიდრე მისი გარემო. მაგალითად, ავტომობილების წარმოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისტემა, რომელიც ეჯახება უკიდურესად რთულ გარემოს, რომელიც სხვადასხვა ტიპის ადამიანთა სიმრავლეს, მუდმივად ცვლად მატერიალურ გარემოს და მრავალ სხვა სახის სისტემებს მოიცავს.

მაგრამ ეს სირთულე სისტემის ფარგლებში ძალიან გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი. როდესაც მწარმოებელს სჭირდება ნედლეული (ფოლადი, რეზინი და ა.შ.) მას, როგორც წესი, არ აღელვებს თუ საიდან შემოდის, როგორ მზადდება იგი და როგორი არიან მისი მომწოდებლები. მთელი ეს სირთულე დაიყვანება ნედლეულის ხარისხისა და ფასის შესახებ ინფორმაციაზე. ანალოგიურად, მყიდველთა ყველანიარი ქმედება დაიყვანება იმ ქმედებებზე, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მანქანების შექმნასა თუ არ შექმნაზე.

გამარტივება არჩევანის აუცილებლობას ნიშნავს (მწარმოებლისთვის მნიშვნელოვანია, როგორ იწარმოება ნედლეული, მაგრამ მან შეიძლება ყურადღება არ დაუთმოს პოლიტიკურ სიტუაციას იმ ქვეყანაში, სადაც ის იწარმოება). არჩევანი გულისხმობს ვარიანტებს, რამდენადაც მუდამ შესაძლებელია სხვა არჩევანის გაკეთება (მწარმოებელს შეეძლო შეესწავლა პოლიტიკური სიტუაცია). შემთხვევითობა კი ნიშნავს რისკს. ამგვარად, თუ დამამზადებელი გადაწყვეტს არ შეისწავლოს პოლიტიკური სიტუაცია ნედლეულის მომწოდებელ ქვეყანაში, მაშინ წარმოების პროცესი შეიძლება ძალიან შეფერხდეს აჯანყებით, რომელიც წყვეტს ამ მასალების მოწოდებას.





სისტემა უბრალოდ შეუძლებელია ერთნაირი იყოს გარემოს სირთულის შესაბამისად. მისი მცდელობა იყოს გარემოს სირთულის შესადარი გვაგონებს ბორხესის ისტორიას მეფის შესახებ, რომელმაც ერთ კარტოგრაფს უბრძანა შეექმნა მისი ქვეყნის აბსოლუტურად ზუსტი რუკა. როდესაც კარტოგრაფმა მუშაობა დაასრულა, რუკა ქვეყნის ზომისა იყო და ამიტომ როგორც რუკა როგორც ასეთი გამოუსადეგარი იყო. რუქებმა, როგორც სისტემებმა სირთულე უნდა შეამციროს. კარტოგრაფმა უნდა აირჩიოს, თუ როგორი მახასიათებელია მნიშვნელოვანი. სხვადასხვა სპეციალისტების მიერ შედგენილი ერთი და იგივე ადგილმდებარეობის რუქები განსხვავებული იქნებიან, იმიტომაც რომ მახასიათებელთა მათი არჩევანი თავისუფალია. ეს რისკთანაა დაკავშირებული, რომ გაუთვალისწინებელი არ აღმოჩნდება მნიშვნელოვანი მომხმარებლისათვის.

რადგან სისტემებს არ შეუძლიათ სირთულით შეედარონ თავიანთ გარემოს, ისინი იმუშავებენ ახალ ქვესისტემებს და მათ შორის ადგენენ სხვადასხვა მიმართებებს, რათა ეფექტურად იმოქმედონ თავიანთ გარემოსთან. თუ ისინი ამას არ გააკეთებდნენ, მაშინ მათ გარემოს სირთულე ჩაყლაპავდა. მაგალითად, ავტომობილების მწარმოებელს შეუძლია შექმნას საგარეო ურთიერთობათა და კავშირთა განყოფილება, რომელსაც დაეკისრება მომწოდებელ ქვეყნებში პოლიტიკური სიტუაციის შესწავლა და კვლევის ამოცანა. ეს ახალი განყოფილება პასუხისმგებელი იქნება რათა დროულად მიაწოდოს მწარმოებელს ცნობები ნედლეულის მოწოდების შეფერხებების შესახებ და შეწყვეტის შემთხვევაში ალტერნატიული წყაროების გამოძებნაზე. ამგვარად იქმნება პარადოქსული სიტუაცია, "მხოლოდ სირთულეს შეუძლია სირთულის შემცირება."

### **ავტოპოვისისური სისტემები ფლობენ შემდეგ ოთხ მახასიათებელს:**

1. ავტოპოვისისური სისტემა ქმნის ბაზისურ ელემენტებს, რომლებიც თავის მხრივ შეადგენს სისტემას. ეს შეიძლება პარადოქსალურად მოგვეჩვენოს როგორ შეუძლია სისტემას აწარმოოს თავისი საკუთარი ელემენტები, ის რისგანაც იგი შედგება. მაგალისათვის ავიღოთ თანამედროვე ეკონომიური სისტემა და მისი ბაზისური ელემენტი, ფული ჩვენ ვამბობთ იმას, რომ იგი ბაზისური ელემენტია, ვინაიდან ნივთების ღირებულება ეკონომიკურ სისტემაში შეიძლება განვსაზღვროთ ფულის მეშვეობით, მაგრამ ძალიან ძნელია ვთქვათ ის, თუ რა ღირს ფული როგორც ასეთი. ფულის მნიშვნელობა, მისი ღირებულება და გამოყენების წესები და ხერხები თვით ეკონომიკური სისტემის მიერ განისაზღვრება. ფული, იმ სახით, როგორითაც მას ჩვენ დღეს ვიცნობთ, ეკონომიკური სისტემის წარმოშობამდე არ არსებობდა. ფულის თანამედროვე ფორმა და ეკონომიკური სისტემა ერთად წარმოიშვნენ და ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. ძნელია თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ფულის გარეშე წარმოვადგინოთ. თავის მხრივ ფული ეკონომიკური სისტემის გარეშე- ქალადის ან მეტალის მხოლოდ ნაგლეჯია.

2. ავტოპოვისისური სისტემები თვითორგანიზებადნი არიან ორი აზრით:

ისინი თვით ადგენენ თავიანთ საზღვრებს და ასევე ადგენენ და ორგანიზებას უწევენ საკუთარ შინაგან სტრუქტურებს. თავის საკუთარ საზღვრებს ისინი აწარმოებენ იმით, რომ განასხვავებენ იმას, რაც შეადგენს სისტემას და იმას, რაც გარემოს შეადგენს. მაგალითად, ეკონომიკური



სისტემა ყველაფერ იმას, რაც იშვიათ თვისებებს ფლობს და რაზეც შეიძლება ფასის დადება, ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. ჰაერი ყველგან საკმარისზე მეტი არსებობს, ამიტომ მასზე არ დგინდება ფასი და ამიტომ იგი არ არის ეკონომიკური სისტემის ნაწილი. მაგრამ ჰაერი გარემომცველი სინამდვილის აუცილებელი ნაწილია. ის თუ რა არსებობს (იმყოფება) აუტოპოვისისური სისტემის შიგნით და რა გარეთ სისტემის თვითორგანიზაციით განისაზღვრება და არა სისტემის ფუნქციონალური მოთხოვნებით, რაშიც ჩვენს დარწმუნებას სტრუქტურული ფუნქციონალისტი შეეცდებოდა.

სხვა ძალები შეიძლება აუტოპოვისისური სისტემის ზომების შეზღუდვას შეეცადონ. მაგალითად, კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემები მუდამ აფართოებდნენ თავიანთ საზღვრებს, რათა მასში სექსუალური მომსახურეობა და აკრძალული ნარკოტიკები ჩაერთოთ. ეს ხდება თვით მაშინაც კი, როდესაც თავად პოლიტიკური სისტემა იმუშავებს კანონებს, რომლებიც მიმართულნი არიან იმაზე, რომ სექსუალური მომსახურეობა და აკრძალული ნარკოტიკები ეკონომიკურ საქონლად არ ჩაითვალოს. ნაცვლად იმისა რომ შეაკავოს მათი არსებობა ეკონომიკური სისტემის ფარგლებს გარეთ, ასეთი კანონები უფრო გავლენას ახდენენ ეკონომიკური სისტემის ფარგლებში სექსისა და აკრძალული ნარკოტიკების შესახებ. მათი არაკანონიერება ფასს მაღლა სწევს, ამგვარად ავიწროებს მომხმარებელთა წრეს. მაგრამ ეკონომიკურ სისტემაში შესყიდვათა ხელისშემშლელი მაღალი ფასებიც, აგრეთვე ხელს უწყობენ ყიდვა-გაყიდვას. თუ სექსუალური მომსახურეობისა და ნარკოტიკების გაყიდვით შესაძლებელია დიდი მოგების მოტანა, მაშინ ისინი დარჩებიან ეკონომიკურ სისტემაში. მაშასადამე, კანონები, რომლებიც რომელიმე საქონლის ეკონომიკური სისტემის გარეთ შეკავებას ცდილობენ, უბრალოდ გავლენას ახდენენ იმ ფასზე, რომელსაც მასზე სისტემა ადგენს.

თავისი საზღვრების ფარგლებში აუტოპოვისისური სისტემა თავად აწარმოებს საკუთარ სტრუქტურებს. მაგალითად, ფულის არაკომერციული სახით, უნაღდოდ არსებობის გამო სტრუქტურირებულია ბაზარი, ფულის შენახვისა და სესხად გაცემის მიზნით დაწესებულია ბანკები, ჩამოყალიბდა პროცენტის ცნება და ა.შ. ეკონომიკურ სისტემას თავისი ბაზისური ელემენტის სახით, რომ არ ჰქონოდა ისეთი აბსტრაქტული და პორტატიული საგანი, როგორც ფულია, მაშინ მისი შინაგანი სტრუქტურა სავსებით სხვა იქნებოდა. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა დამყარებული, რომ ყოფილიყო საქონლის გაცვლით და არა ფულად ურთიერთობებზე, მაშინ არ იარსებებდა არც ბანკები, არც პროცენტის ცნებები და ბაზარიც, სადაც საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხდება სრულიად სხვა სახით იქნებოდა სტრუქტურირებული.

### 3. აუტოპოვისისურ სისტემებს აქვთ თვითრეფერენტული ხასიათი.

მაგალითად, ეკონომიკური სისტემა ფასებს იყენებს, როგორც საკუთარ თავთან მიმართების დამდგენ საშუალებას. კომპანიის აქციებისათვის საცვლელი ფულადი ღირებულების მიწერის დროს საფონდო ბაზარი დემონსტრირებას უკეთებს ასეთი თვითრეფერენტულობის მაგალითს ეკონომიკური სისტემის ფარგლებში. ფასები საფონდო ბაზარზე განისაზღვრება არა ინდივიდის, არამედ თავად ეკონომიკის მიერ. მსგავსივე სახით საკანონმდებლო სისტემას აქვს საკანონმდებლო სისტემისადმი მიმართული კანონები: ანუ კანონები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამოქმედდეს, გამოყენებული და განმარტებულ იქნეს კანონები.



#### 4. აუტოპოვისისური სისტემა-ჩაკეტილი სისტემა.

ეს ნიშნავს, რომ სისტემა და მის გარემოს შორის არ არის პირდაპირი კავშირი. ამის ნაცვლად სისტემას საქმე გარემოს შესახებ არსებულ წარმოდგენებთან აქვს. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა დაფუძვით რეაგირებს ადამიანთა მატერიალურ მოთხოვნილებებსა და სურვილებზე; მაგრამ ეს მოთხოვნილებები და სურვილები ეკონომიკურ სისტემაზე გავლენას ახდენენ იმ ხარისხითა და ზომით, რა ხარისხითა და ზომითაც ისინი წარმოდგენილი იქნებიან ფულის ენაზე. მაშასადამე, ეკონომიკური სისტემა ადექვატურად რეაგირებს მდიდარი ადამიანების მატერიალურ მოთხოვნილებებსა და სურვილებზე, მაგრამ ძალიან სუსტად ღარიბების მოთხოვნილებებსა და სურვილებზე.

მიუხედავად იმისა, რომ აუტოპოვისისური სისტემა ჩაკეტილია და არ აქვს პირდაპირი კავშირი გარე სამყაროსთან (გარემო) გარემოს მაინც უნდა მიეცეს საშუალება დაარღვიოს სისტემის შინაგანი წარმოდგენები. ამგვარი დარღვევების გარეშე სისტემას დაანგრევდა გარეშე ძალები, ანუ დათრგუნავდა და მოახრჩობდა მას გარეშე ძალები.

ჩაკეტილი სოციალური სისტემა განსხვავებულია ინდივიდებისგან, რომლებიც მის შემადგენელ ელემენტებად გვეჩვენებიან. ლუმანის მიხედვით, ასეთ სისტემებში ინდივიდი გარემოს ნაწილია. ეს ნიშნავს, თუ კვლავაც ბიუროკრატიული სტრუქტურებიდან ავიღებთ მაგალითს, რომ გარემოს ნაწილი აღმოჩნდებიან მხოლოდ კლიენტები, მაგრამ ასევე ის ადამიანებიც, რომლებიც მუშაობენ ბიუროკრატიულ სტრუქტურაში; ბიუროკრატიის თვალსაზრისით, ადამიანები, რომლებიც ბიუროკრატიულ სტრუქტურაში მუშაობენ, ხდებიან სირთულისა და გაუთვალისწინებლობის გარეგანი წყაროები. იმისათვის, რათა იყოს ჩაკეტილი სისტემა, ბიუროკრატია უნდა იპოვოს წესი, რომლის მეშვეობითაც საკუთარი მუშაკების წარმოდგენასაც შეძლებს გამარტივებული სახით. ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებს განვიხილავდეთ როგორც მომწიფებულ პიროვნებებს, ერთი მუშაკი გამოიყურება "მენეჯერად", მეორე "ბუღალტრად" და ა.შ. ნამდვილი ადამიანი ამ სიტყვის სრული აზრით ბიუროკრატიული სისტემაზე გავლენას ახდენს მხოლოდ იმით, რომ არღვევს მის წამოდგენებს.

#### 4. საზოგადოება და ფსიქიკური სისტემები: მნიშვნელობის (საზრისის) ცნება

ლუმანი ამტკიცებს, რომ საზოგადოება აუტოპოვისისური სისტემაა. იგი აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ მახასიათებელს: საზოგადოება აწარმოებს თავის საკუთარ ბაზისურ ელემენტებს; ქმნის საკუთარ საზღვრებს და სტრუქტურებს. იგი თვითრეფერენტული და ჩაკეტილია.

საზოგადოების ბაზისური ელემენტი კომუნიკაციაა, რომელიც საზოგადოების მიერ იქმნება და იბადება. საზოგადოების წევრები მას მხოლოდ კომუნიკაციის დახმარებით მიმართავენ. ფაქტობრივად, სწორედ ამით ვართ ჩვენ დაკავებული მოცემულ მომენტში. ინდივიდი საზოგადოებას მიეკუთვნება მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი მონაწილეობს კომუნიკაციაში ან გაგებულ შეიძლება იქნას, როგორც კომუნიკაციის მონაწილე. პიროვნების ის ფარული ელემენტები, რომლებიც არასოდეს არ მონაწილეობენ კომუნიკაციაში, ვერ იქნებიან



საზოგადოების ნაწილები. ამის სანაცვლოდ, ისინი შეადგენენ გარემოს ნაწილს, რომელსაც საზოგადოებაში უწესრიგობის შეტანა ძალუმს, რამდენადაც, ლუმანის კონცეფციის თანახმად, ყველაფერი, რაც არ არის კომუნიკაცია, არის საზოგადოების გარემოს ნაწილი. გარემოში შედის ადამიანის ბიოლოგიური სისტემა და თვით მისი ფსიქიკური სისტემებიც კი. ინდივიდი, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი და ინდივიდი, როგორც ცნობიერება არ არიან საზოგადოების წევრები, ისინი საზოგადოების მიმართ გარეგანი ხასიათისა არიან. აქედან გამომდინარეობს საკმაოდ არაჩვეულებრივი იდეა, რომ ინდივიდები არ არიან საზოგადოების ნაწილები თუ წევრები.

ფსიქიკური სისტემის ქვეშ ლუმანს ინდივიდუალური ცნობიერება ესმის. ფსიქიკურ სისტემას და საზოგადოებას – ყველა კომუნიკაციათა სისტემას – საერთო თვისებები აქვთ. ორივე სისტემა მნიშვნელობას ეყრდნობა. მნიშვნელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სისტემის მიერ გაკეთებულ არჩევანთან. ცალკეული მოქმედების (ან ობიექტის) მნიშვნელობა არის მისი განსხვავება სხვა შესაძლო მოქმედებისგან (ან ობიექტებისაგან). მნიშვნელობა წარმოიშობა მხოლოდ ალტერნატივასთან შეპირისპირება – დაპირისპირებისას. თუ სხვა შესაძლებლობა არ არსებობს, მაშინ არც მნიშვნელობა არსებობს. მოქმედებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ხარისხით, რა ხარისხითაც შესაძლებელ მოქმედებათა მწკრივისაგან კეთდება არჩევანი. მაგალითად, ჩვენი ტანსაცმელი ნიშნავს რაღაცას მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ შევძელით გადაგვეწყვიტა რაღაც სხვა ჩაგვეცვა.

ისეთი სისტემები, როგორც ფსიქიკური და სოციალურია, რომლებიც მნიშვნელობას ეყრდნობიან, ჩაკეტილი ხასიათის მატარებლებია, რამდენადაც: 1) მნიშვნელობა მუდამ მიმართებაშია სხვა მნიშვნელობასთან. 2) მხოლოდ მნიშვნელობით შეიძლება მნიშვნელობის შეცვლა; და 3) მნიშვნელობა ჩვეულებრივ ბევრ მნიშვნელობას ქმნის. მნიშვნელობა აყალიბებს თითოეული ამ სისტემის საზღვარს.

ფსიქიკური და სოციალური სისტემები ერთად განვითარდნენ. თითოეული მათგანი წარმოადგენდა მეორისათვის აუცილებელ გარემოს. მნიშვნელობათა ფსიქიკური სისტემის ელემენტებია კონცეპტუალური წარმოდგენები; მნიშვნელობათა სოციალური სისტემის ელემენტები კი – კომუნიკაციებია. არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ მნიშვნელობებს ფსიქიკურ სისტემაში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მნიშვნელობებს სოციალურ სისტემაში. რამდენადაც ორივე სისტემა აუტოპოესისურია, ამდენად ისინი თავად ქმნიან თავიანთ მნიშვნელობებს საკუთარი პროცესებისაგან. ფსიქიკურ სისტემაში მნიშვნელობა ცნობიერებასთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც სოციალურ სისტემაში იგი კომუნიკაციასთან არის დაკავშირებული. მნიშვნელობა სოციალურ სისტემაში არ შეიძლება ინდივიდუალურ განზრახვებს მივაწეროთ, იგი ასევე არ არის სოციალური სისტემის ცალკეული ელემენტების თვისება – იგი მიეწერება ელემენტთა მთელი რიგისაგან გაკეთებულ არჩევანს. იმის მნიშვნელობა, რაც გადაიცემა, წარმოიქმნება მისი იმ განსხვავებისგან, რაც შეიძლება გადაცემული ყოფილიყო. მაგალითად, გამოთქმები “გამარჯობა”, “როგორაა საქმე?”, “როგორ ცხოვრობთ?”, “დილა მშვიდობისა”, “სალამი”, შეიძლება ერთი და იმავე განზრახვიდან წარმოიქმნენ, სახელდობრ: მიესალმეთ ვინმეს, მაგრამ თუ თქვენი მეგობარი წარმოთქვამს



“დილა მშვიდობისა”, მაშინ როდესაც იგი ჩვეულებრივ ამბობდა “სალამი”, გადაიცემა განსაზღვრული მნიშვნელობა. მნიშვნელობას არაა აუცილებელი განზრახული ხასიათი ქონდეს ან დაკავშირებული იყოს გარკვეულ სიტყვებთან. იგი წარმოიქმნება ამ განსაზღვრული სიტყვების არჩევნისაგან იმ სიტყვებთან შედარებით, რომლებიც ასევე შეიძლება არჩეული ყოფილიყო. მნიშვნელობა წარმოიქმნება სიტყვათა სავარაუდო თუ შესაძლო არჩევანისაგან.

##### 5. კომუნიკაციები და ორმაგი შესაძლებლობა.

კომუნიკაციებზე დაფუძნებული სოციალური სისტემა ქმნის სოციალურ სისტემებს, რათა აგადაჭრას პრობლემები, რომლებსაც ლუმანი ორმაგი შესაძლებლობის პრობლემას უწოდებს. ორმაგი შესაძლებლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოველ შეტყობინებასთან მიმართებაში უნდა გავითვალისწინოთ ის, როგორადაც, როგორი წესით ხდება მისი მიღება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მიღების წესი დამოკიდებული იქნება მიმღების მიერ გამგზავნის შეფასებაზე. ყოველივე ეს ქმნის ჩაკეტილ წრეს: მიმღები დამოკიდებულია გამგზავნზე, ხოლო გამგზავნი მიმღებზე. მაგალითად, პროფესორმა გადაწყვიტა რა მიესალმოს სტუდენტს; შეიძლება გამოიყენოს არაფორმალური “სალამი”, თუ მიიჩნევს, რომ ეს უფრო მეგობრულ რაიმედ მოეჩვენებათ (გამგზავნი ყურადღებაში იღებს მიმღებს), მაგრამ თუ სტუდენტი რომელსაც პროფესორი ესალმება, ფიქრობს, რომ პროფესორი მას ზევიდან ელაპარაკება, მაშინ იგი ამგვარ მისალმებას მეგობრულ შესტად ვერ ჩათვლის (მიმღები მხედველობაში იღებს გამგზავნს). რაც უფრო ნაკლებადაა ცნობილი ერთმანეთის მოლოდინებზე, მით უფრო სერიოზულია ორმაგი შესაძლებლობის პრობლემა.

საბედნიეროდ, სოციალური სტრუქტურების წყალობით ჩვენ მუდამ საკმარისად ვიცით სხვების მოლოდინებზე. ზემოთ მოყვანილ მაგალითში კომუნიკაციის მონაწილეებად პროფესორი და სტუდენტი გამოდის. ვემყარებით რა სწორედ ამ ინფორმაციას, ჩვენ ველოდებით განსაზღვრული ტიპის ურთიერთობებს, რომლებიც ინსტიტუციონალურ წესებს და ტრადიციებს შეესაბამება. ჩვენ გვექნება სხვა მოლოდინები, თუ ჩვენ გვეცოდინება კომუნიკაციაში მონაწილეთა სქესი, ეროვნება, ასაკი, ჩაცმულობა და ა.შ. ამ მოლოდინების ძალით, ადამიანური ურთიერთობების ინტერპრეტაციისათვის ჩნდებიან ნორმები და როლური მოლოდინები. ადამიანები ან შეესაბამებიან როლურ მოლოდინებს და ნორმებს ან არა. თუ ჩვენ მოვიპოვებთ ჩვენი მოლოდინების შეუსაბამო მაგალითებს, მაშინ ჩვენი მოლოდინები შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ საზოგადოებას არ ძალუძს ამ მოლოდინების გარეშე ფონს გასვლა ორმაგი შესაძლებლობის პრობლემისა გამო.

რამდენადაც თითოეული ჩვენთაგანი ნორმების განსხვავებულ ერთობლიობასა თუ ნაკრებს ფლობს, ამდენად აუცილებელი ხდება კომუნიკაცია, ხოლო რამდენადაც კომუნიკაციის სფეროში არსებობს ორმაგი შესაძლებლობის პრობლემა, ამდენად ჩვენ ვიმუშავებთ ნორმების ნაკრებს. ეს გვიჩვენებს საზოგადოების, როგორც აუტოპოეისური სისტემის ფუნქციონირებას: საზოგადოების სტრუქტურა (როლები, ინსტიტუციური და ტრადიციული ნორმები) ქმნის საზოგადოების ელემენტებს (კომუნიკაცია) და ეს ელემენტები კი ქმნიან სტრუქტურას. ამგვარად, სისტემა, როგორც ყველა თვითმანარმოებელ სისტემებში ხდება, თავად აწარმოებს თავის საკუთარ ელემენტებს.



ორმაგი შესაძლებლობის მიზეზით ნებისმიერი მოცემული კომუნიკაცია შეუძლებელია, არააუცილებელია. პირველი, შეუძლებელი და დაუჯერებელია, რომ ჩვენ შეიძლება გაგვიჩნდეს რაღაც, რისი შეტყობინებაც ჩვენ მოგვინდება ვაცნობოთ კონკრეტულ ადამიანს. მეორე, რადგან შეტყობინება შეიძლება გადაიცეს სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით, ამდენად დაუჯერებელი და თითქმის შეუძლებელია, რომ ჩვენ მისთვის შევიმუშაოთ რომელიღაც კონკრეტული წესი. მესამე, შეუძლებელი და ნაკლებ სარწმუნოა ადამიანი, რომელსაც ჩვენ მივმართავთ, სწორედ გაგვიგებს. სოციალური სტრუქტურები გაჩნდნენ იმიტომ, რათა შეუძლებელი და არასარწმუნო კომუნიკაციები შესაძლებელი და უფრო სარწმუნო კომუნიკაციებდ ექციათ. მაგალითად, უთხრა განსაზღვრულ ადამიანს ნებისმიერ განსაზღვრულ დროს “გამარჯობა” – არასარწმუნო და შეუძლებელი ნივთია, მაგრამ სოციალური სტრუქტურები მისაღმებას მისაღებ რაიმედ აქცევენ კონკრეტულ გარემოებებში, ისინი ადამიანისადმი მისაღმების მიღებული და აღიარებული წესების შეზღუდულ რაოდენობას გვაძლევენ და ასევე გვაძლევენ იმის გარანტიას, რომ ადრესატი გაიგებს მისაღმებას დაახლოებით ისე, როგორც ამას გამგზავნი გულისმობს.

“შეუძლებლობა – დაუჯერებლობანი”, რომლებსაც ჩვენ აქამდე განვიხილავდით, მხოლოდ ურთიერთქმედებებს ეხებიან, მაგრამ საზოგადოება ეს რაღაც მეტია, ვიდრე დამოუკიდებელ ურთიერთქმედებათა უბრალო ერთობლიობა. ურთიერთქმედებები (ინტერაქციები) იმდენხანს გრძელდებიან და არსებობენ, რამდენიც მასში მონაწილე ადამიანია, მაგრამ საზოგადოების თვალსაზრისით ურთიერთქმედება (ინტერაქცია) მუდმივი და შეუწყვეტელი სოციალური პროცესების ეპიზოდებია. ყოველი სოციალური სისტემა ეჯახება პრობლემას: იგი არსებობას წყვეტს, თუ არ არსებობს მომავალი კომუნიკაციების გარანტიები, ე.ი. თუ არ არსებობს წინამავალი კომუნიკაციების მომავალ კომუნიკაციებთან შეერთების შესაძლებლობები. იმისთვის, რათა თავიდან ავიღებულ იქნას კომუნიკაციების ნგრევა, შემუშავებული უნდა იქნეს სტრუქტურები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უფრო ადრინდელი კომუნიკაციები მომდევნო კომუნიკაციებს დავუკავშიროთ. ერთ კომუნიკაციაში გაკეთებული არჩევანი წინანდელ კომუნიკაციებში გაკეთებული არჩევანითაა შეზღუდული და ასევე ახლანდელი კომუნიკაცია ზღუდავს მომავალ კომუნიკაციებს. ეს კიდევ ერთი წესი და საშუალებაა კომუნიკაციის პროცესის “შეუძლებლობა – დაუჯერებლობის” გადაქცევისა. სწორედ ორმაგი შესაძლებლობის გადალახვის და შეუძლებელი – დაუჯერებელი კომუნიკაციის უფრო შესაძლებელ და სარწმუნო კომუნიკაციად გადაქცევის ეს აუცილებლობა არეგულირებს სოციალური სისტემის ევოლუციას.

## 6. სოციალური სისტემების ევოლუცია

უხეშად რომ ვთქვათ ევოლუცია გასინჯვისა და შეცდომების პროცესია. ევოლუცია არ არის ტელეოლოგიური ხასიათის. მისი შედეგები წინასწარ არ არის განსაზღვრული რაღაც მიზნით. ერთერთი ვარაუდი გვაუწყებს, რომ ლუმანის თეორიაში პროგრესის იდეას აზრი არ აქვს. ეს განასხვავებს მას თანამედროვე საზოგადოებაში ევოლუციური უნივერსალიების შესახებ



გამოთქმული პარსონსისეული იდეებისგან. სოციალური და სოციეტალური განვითარების აუცილებელი გზის არსებობის დაშვება არის ტელეოლოგიური არგუმენტი, რომელიც უგულბებლყოფს იმ ფაქტს, რომ არსებობს მოცემული საკითხის გადაჭრის მრავალი წესი თუ ხერხი.

მაღალ და საერთო დონეზე, ევოლუცია “არასარწმუნო – შეუძლებლის” უფრო დამაჯერებელ და სარწმუნო – შესაძლებელ რაიმედ აქცევს. მაგალითად, სულ მცირედ სარწმუნო და შესაძლებელია, რათა ბიოლოგიური მუტაციების შემთხვევითმა თავმოყრამ წარმოქმნას ადამიანის მსგავსი ცხოველი. ბუნებრივი შერჩევა და მდგრადი თვისებების გადაცემის მემკვიდრეობითობა უფრო დამაჯერებელსა და სარწმუნოს ხდის, რომ ადამიანის მსგავსი მაიმუნი უფრო ადამიანის მსგავს და არა კალმახის მსგავს არსებად გადაიქცევა.

მკაცრად, რომ ვთქვათ, ევოლუცია პროცესი კი არა პროცესთა თავმოყრა და ნაკრებია, რომლებიც შეიძლება აღწეროთ როგორც სამი ფუნქციის: კვლავწარმოებულ თვისებათა ვარიაციის, შერჩევისა და სტაბილიზაციის შემსრულებელი რამ. ეს ფუნქციები ევოლუციის მოქმედების კონკრეტულ მექანიზმებს წარმოადგენს;

ვარიაცია – ესაა სინჯისა და შეცდომების პროცესი. თუ სისტემა არასტანდარტულ პრობლემას ეჯახება. მაშინ შეიძლება მივიღოთ განსხვავებული გადაწყვეტილებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გაუმკლავდეთ გარეგან შეზღუდვებს და დაბრკოლებებს. ამ გადაწყვეტილებებიდან ზოგიერთი ეფექტური იქნება, ზოგიერთი კი არა. შერჩევა; განსაზღვრული გადაწყვეტილების შერჩევა არ ნიშნავს იმას, რომ არჩეულ იქნა “საუკეთესო” გადაწყვეტილება. შესაძლოა, განსაზღვრული გადაწყვეტილება ყველაზე ადვილად დასტაბილიზირებადი აღმოჩნდეს, სხვა სიტყვებით, შესაძლოა ყველაზე ადვილად იქნას კვლავწარმოებული როგორც მყარი და მუდმივი სტრუქტურა. სოციალურ სისტემაში ეს სტაბილიზაცია ჩვეულებრივ მოიცავს დიფერენციაციის ახალ წესს, რომელიც ახალი გადაწყვეტილებისადმი სისტემის ყველა ელემენტის შეგუებასა და შეთანადებას მოითხოვს. ევოლუციის პროცესი დროებით მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც სტაბილიზაციის ფაზა დასრულდება.

ავიღოთ მაგალითი ეკონომიკის სფეროდან. პრობლემა, რომელსაც ეკონომიკური სისტემები წააწყდნენ ისაა, როგორ გაუცვალონ საქონელი სამართლიანად სხვა ეკონომიკურ სისტემას, სხვა სიტყვებით, როგორ შეუძლია დოლარის გამოყენებელ ეკონომიკებს საქონელი გაუცვალონ იენის საფუძველზე მომუშავე ეკონომიკას? შემუშავებული იქნა მრავალგვარი გადაწყვეტილებები (ევოლუციური ვარიაცია). ზოგიერთი ადრეული სისტემები უპირატესობას “უსასყიდლო” გაცვლას ანიჭებენ, რომელიც გასაცვლელი საქონლის ზუსტ ტოლობაზე ზრუნვას გამორიცხავს. სხვებმა კი, იმისათვის რათა დაერეგულირებინათ ურთიერთგაცვლა, გამოიყენეს ისეთი ლიკვიდური საქონელი, როგორცაა ოქრო. ამ ორივე ვარიანტის გლობალური მაშტაბით კვლავწარმოება ძალიან ძნელი აღმოჩნდა. რაც შეეხება პირველ გადაწყვეტილებას, შესაძლებელი ხდება მხოლოდ საჩუქრების გაცვლა, რაც შეეხება მეორეს მაშინ ისეთი საქონლის ღირებულება როგორც ოქროა, არ აღმოჩნდა მუდმივი და უცვლელი, რამდენადაც დროის ნებისმიერ მომენტში, ხელმისაწვდომია მისი მეტი ან ნაკლები რაოდენობა. ამის ნაცვლად, უფრო კვლავწარმოებად ფორმად ახალი სტრუქტურის, სავალუტო ბაზრის შექმნა იქცა, რომელიც



გლობალურ დონეზე ფუნქციონირებს და საშუალებას აძლევს ვალუტათა საცვლელ კურსებს თავისუფლად მერყეობდნენ (ეკოლუციური შერჩევა). ეს შეიძლება არც კი იყო საუკეთესო გადაწყვეტილება, რამდენადაც ბაზარზე გავლენას ახდენს სერიოზული ფლუქტუაციები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს სპეკულანტების მიერ, როგორც ეს კარგად ჩანს 1998 წლის “აზიური” ფინანსური კრიზისის მაგალითზე. მაგრამ ესაა ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც გლობალური მაშტაბითაა კვლავწარმოებადი (ეკოლუციური სტაბილიზაცია). რასაკვირველია, სწორედ ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სხვა გადაწყვეტილებები გაქრნენ. სახელმწიფო დღესაც აწარმოებს უსასყიდლო გაცვლებს და გასცემს საჩუქრებს, განსაკუთრებით სახელმწიფოს მეთაური დიპლომატების მეშვეობით და მრავალი ქვეყანა ცდილობს თავისი ვალუტის საცვლელი ღირებულებების დადგენა ისეთ საქონელს მიაბას, როგორც ოქროა, ანდა სხვა ვალუტასაც კი, მაგალითად აშშ – ს დოლარს.

### დიფერენციაცია

ლუმანის სისტემათა თეორიის თვალსაზრისით, თანამედროვე საზოგადოების ძირითადი თვისებაა – სისტემური დიფერენციაციის, როგორც მისი გარემოს სირთულესთან ურთიერთქმედების წესისა თუ საშუალების, მზარდი პროცესი. დიფერენციაცია ეს არის “სისტემასა და მის გარემოს შორის განსხვავებების სისტემის საზღვრებში რეპლიკაცია”. ეს ნიშნავს, რომ დიფერენცირებულ სისტემაში ორი სახის გარემო არსებობს: ერთი, რომელიც საერთოა ყველა ქვესისტემისათვის, და მეორე, პირველისაგან განსხვავებული ყველა ქვესისტემის შინაგანი გარემო. მაგალითად, ისეთი ფირმა, როგორცაა ავტომობილების მწარმოებელი “ფორდი”, სხვა მწარმოებლებს, მაგალითად “ჯენერალ მოტორსს”, “დაიმლერ კრაისლერს”, როგორც თავისი გარემოს ნაწილს ისე განიხილავს. საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება (ქვესისტემა) ფირმა “ფორდში” ასევე “ჯენერალ მოტორსში” და “კრაისლერში” თავისი გარემოს ნაწილს ხედავს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება ფირმა “ფორდის” ჩარჩოებში არსებულ სხვა ქვესისტემებს (მაგალითად, პერსონალის მმართველის განყოფილება (ქვესისტემას) განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების ქვესისტემის მიმართ როგორც გარეგანს და შესაბამისად მისი გარემოს ელემენტად. სხვა ქვესისტემებს, ისეთი როგორცაა პერსონალის მართვის განყოფილება, მთლიანად ორგანიზებული სისტემის მიმართ შინაგანი ხასიათი აქვს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის ქვესისტემის გარეგან გარემოში შედიან, მაშასადამე, შინაგან გარემოში შედიან, რა თქმა უნდა გათვალისწინებულია სხვა ქვესისტემებთან ურთიერთობა, ის და სხვა ქვესისტემები ხომ ერთი მთლიანი ორგანიზაციული სისტემის შემადგენელი ქვესისტემებია. ანალოგიურად, პერსონალის მართვის ქვესისტემა სხვა მწარმოებლებს განიხილავს, როგორც გარე გარემოს ნაწილს, მაგრამ, გარდა ამისა, სხვა ქვესისტემებს (ამ შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობების ქვესისტემების ჩათვლით) განიხილავს როგორც თავისი გარემოცვის (შიდა გარემოს) ნაწილს. მაშასადამე, თითოეული ქვესისტემა სისტემის შიდა გარემოს განსხვავებულ ხედვას ფლობს. ეს უკიდურესად რთულ და დინამიურ შიდა გარემოს ქმნის.

დიფერენციაცია სისტემაში არის გარე გარემოში მომხდარ ცვლილებებზე ზემოქმედების წესი. როგორც დავინახეთ, ყოველმა სისტემამ უნდა შეინარჩუნოს თავისი საზღვრები გარე





გარემოსთან, სხვაგვარად მას გარე გარემოს სირთულე უბრალოდ ჩაყლაპავს, იგი დაინგრევა და არსებობას შეწყვეტს. იმისათვის რათა გადარჩეს, ანუ იარსებოს სისტემას უნდა გააჩნდეს გარემოდან მომდინარე ცვლილებებისასდმი გამკლავების უნარი. მაგალითად, კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი მსხვილი ორგანიზაცია როგორც სისტემა ნელა ეგუება გარეგან გარემოში მომხდარ ცვლილებებს. (მაგალითად, კონკრეტულ საზოგადოებრივ მოთხოვნებს, პოლიტიკურ ცვლილებებს, ან ისეთ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, როგორცაა პერსონალური კომპიუტერების ხელმისაწვდომობა). თუმცა არც ორგანიზაციები დგანან ერთ ადგილზე; ისინი ვითარდებიან, ბადებენ რა შიდასისტემურ დიფერენციაციებს ე.ი. გარეგანი ცვლილებები “ტრანსლირებული” იქნება ორგანიზაციის სტრუქტურაში. მაგალითად, შეიძლება გამოგვადგეს ავტომობილის მწარმოებელთა მიერ ახალი განყოფილების შექმნა იმისათვის, რათა მან შეისწავლოს კვლავ შექმნილი სიტუაცია, მაგალითად, იმის დასადგენად თუ როგორაა ადჭურვილი სამუშაო ადგილები პერსონალური კომპიუტერებით. დაქირავებული იქნება ახალი მუშაკები, მათ შეასწავლიან ახალ ტექნოლოგიებს და კომპიუტერებთან მუშაობას, არჩეული იქნება მენეჯერი და ა.შ.

დიფერენციაციის პროცესი წარმოადგენს სისტემის სირთულის ამალღების საშუალებას, რამდენადაც ყოველ ქვესისტემას სხვა ქვესისტემებთან სხვადასხვა კავშირების გაბმა შეუძლია. ეს დიდ შიდასისტემურ მრავალსახეობას გულისხმობს რათა გარემოს მრავალგვარობასა და მრავალფეროვნებაზე ეფექტური რეაგირება შეძლოს. ზემოთმოყვანილ მაგალითში, ახალი განყოფილება, როგორც ბიუროკრატიული სისტემის ნებისმიერი სხვა განყოფილება, სხვა ქვესისტემებისათვის აღმოჩნდება გარე გარემო, მაგრამ ამავე დროს ახალი განყოფილება ამალღებს ორგანიზაციის სირთულეს, რამდენადაც განყოფილებებს შორის ახალი და დამატებითი ურთიერთობების შესაძლებლობა ჩნდება. ახალი განყოფილება, რომელიც კომპიუტერების მომსახურებისათვის შეიქმნა, უფრო კარგ რეაგირებას მოახდენს კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მომხდარ შემდგომ ცვლილებებზე და დაემხმარება მთელ ორგანიზაციას ამ ახალი შესაძლებლობის გამოყენებაში. გარდა ამისა, მას შეუძლია ხელი შეუწყოს არსებულ განყოფილებებს შორის ახალი კავშირების დამყარებას და მაგალითად, ცენტრალიზება გაუკეთოს საერთო ბუღალტერიას ან გამყიდველებს მისცეს საშუალება პირდაპირ საწყობიდან აიღონ გასაყიდი საქონელი.

დიფერენციაციის მეშვეობით გამოწვეული დიდი მრავალფეროვნება გარე გარემოზე არა მხოლოდ საუკეთესო რეაქციას გულისხმობს, არამედ უფრო სწრაფ ევოლუციასაც ითვალისწინებს. ჩვენ გვახსოვს, რომ ევოლუცია მრავალსახეობიდან (კომპლექსურობისაგან) არჩევანის გაკეთების პროცესია. რაც უფრო მეტად და დიდად ხელმისაწვდომია მრავალგვაროება (კომპლექსურობა), მით უფრო საუკეთესოა არჩევანიც. მიუხედავად ამისა, ლუმანი ამტკიცებს, რომ ევოლუციის პროცესში შინაგანი დიფერენციაციის მხოლოდ რამდენიმე ფორმა გამოვლინდა. ამ ფორმებს იგი უწოდებს: სემენტარულ, სტრატეგიკაციულ, ცენტრალურ – პერიფერიულსა და ფუნქციონალურ დიფერენციაციის სახელებს. დიფერენციაციის ეს სახეები ამალღებენ სისტემის სირთულეს სისტემის ფარგლებში სისტემასა და გარე გარემოს შორის დიფერენციაციების კვლავწარმოების გზით. მათი ევოლუციური პოტენციალის თვალსაზრისით დიფერენციაციის ეს ფორმები ვარიაციულობის წარმოების განსხვავებულ უნარებს ფლობენ და



მაშასადამე, ევოლუციური პროცესების დიდ არჩევითობასა თუ შერჩევითობას უზრუნველყოფენ. ამიტომ დიფერენციაციის უფრო რთული ფორმები სისტემის ევოლუციის დაჩქარების პოტენციალს ფლობენ.

## 7. ფუნქციონალური დიფერენციაცია და კოდი

ფუნქციონალური დიფერენციაცია დიფერენციაციის ყველაზე რთულ ფორმას წარმოადგენს. ეს ფორმა ჭარბობს თანამედროვე საზოგადოებებში. თითოეული ფუნქცია სისტემაში მიწერილი აქვს ცალკეულ ელემენტს. მაგალითად, ავტომობილის მწარმოებელ ფირმას აქვს ფუნქციონალურად დიფერენცირებული განყოფილებები, ისეთები როგორებიცაა საწარმოო და ადმინისტრაციული განყოფილებები, ბუღალტერია, საგეგმო განყოფილება და პერსონალის მართვის განყოფილება.

ფუნქციონალური დიფერენციაცია უფრო მოქნილია, ვიდრე სტრატეგიკაციული, მაგრამ თუ სისტემებისგან ერთერთი ვერ ასრულებს ამოცანას, მაშინ მთელ სისტემას ძალიან უჭირს არსებობა და ფუნქციონირება. შენიშვნა [აქ განხილული სისტემებისგან უმრავლესობა შეიძლება აგრეთვე მსოფლიო სოციალური სისტემის ქვესისტემებად იქნეს წოდებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინ “სისტემას” და არა “ქვესისტემას”, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუცილებელია განსხვავების გატარება ქვესისტემასა და ყოვლისმომცველ სისტემას შორის, რომელიც ამ ქვესისტემას შეიცავს.] მიუხედავად ამისა, როდესაც თითოეული ელემენტი თავის ფუნქციებს ასრულებს, განსხვავებულ ელემენტებს ძალუძთ დამოუკიდებლობის დიდ ხარისხს მიაღწიონ. ფაქტობრივად, ფუნქციონალურად დიფერენცირებული სისტემები ურთიერთდამოკიდებლობისა და დამოუკიდებლობის რთულ ერთობლიობას წარმოადგენენ. მაგალითად, როდესაც საგეგმო განყოფილება დამოკიდებულია ბუღალტერიაზე ეკონომიკური მონაცემების სფეროში, მაშინ, სანამ ციფრები ზუსტია, საგეგმო განყოფილებას შეუძლია იმყოფებოდეს ნეტარ უცოდინრობაში და წარმოდგენა არ ჰქონდეს იმის შესახებ, თუ სწორედ ბუღალტრებმა როგორ მიიღეს ეს მონაცემები.

ეს მიუთითებს დიფერენციაციის ფორმებს შორის დამატებით განსხვავებაზე. სეგმენტარული დიფერენციაციის დროს, თუ სეგმენტს არ შეუძლია თავისი ფუნქციის შესრულება (მაგალითად, ერთერთი ფაბრიკა ვერ აწარმოებს მანქანებს მუშაკების გაფიცვის გამო) ეს საფრთხეს არ უქმნის სისტემას. დიფერენციაციის უფრო რთული ფორმების შემთხვევაში, როგორცაა ფუნქციონალური დიფერენციაცია, ეს უუნარობა სოციალური სისტემისათვის ქმნის სიძნელეებს, რომლებსაც შეუძლია მთელი სისტემის დანგრევაც კი გამოიწვიონ. ამგვარად, გართულება, ერთის მხრივ, აძლიერებს სისტემის გარემოსთან ურთიერთქმედების უნარს. მეორე მხრივ, სირთულე ამაღლებს სისტემის დანგრევის რისკს, თუ ფუნქცია სათანადო სახით არ სრულდება.

უმეტეს შემთხვევებში ამაღლებული მოწყვლადობა (სუსტი ადგილი) – ესაა იმის აუცილებელი ფასი, რომელიც უნდა გადაიხადოს სხვადასხვა ქვესისტემებს შორის შესაძლო ურთიერთობის რაოდენობის გაზრდისათვის. შესაძლო ურთიერთობების რაოდენობის გაზრდა ქვესისტემებს შორის ნიშნავს მეტი რაოდენობის ვარიანტებს გამოყენებულს გარემოში მოხდარ ცვლილებებზე სტრუქტურული რეაქციების შესარჩევად. სეგმენტარულ სისტემაში განსხვავებულ ქვესისტემებს



შორის დამოკიდებულებები არ არიან სტრუქტურულად განსხვავებულნი. მაგალითად, ორი ფაბრიკის ერთმანეთთან დამოკიდებულება არსებითად ერთნაირია. სტრატეგიცირებულ სისტემაში პოზიციებს შორის დამოკიდებულება თავის არსით განსხვავდება ერთი დონის საზღვრებში არსებულ ურთიერთობებისაგან. მაგალითად, დამოკიდებულება თავის სათაო ოფისთან განსხვავდება სხვა ფაბრიკასთან მისი დამოკიდებულებისაგან. ფუნქციონალურად დიფერენცირებულ სისტემებში განსხვავებულ ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა რაოდენობა ფართოვდება. ბუღალტერიისა და საწარმოო განყოფილების ერთმანეთთან დამოკიდებულება განსხვავდება ბუღალტერიისა და კვლევით განყოფილებას შორის ურთიერთობებისაგან. ფუნქციონალური დიფერენციაცია ავტომობილის მწარმოებელ ფირმას დიდ მოქნილობას აძლევს. ამგვარად, მაგალითად, ისეთ გარემოში, სადაც ტექნიკური მიღწევები უზრუნველყოფენ ეკონომიკური უპირატესობების შესაძლებლობებს, კომპანიას შეიძლება კვლევითი განყოფილება ხელმძღვანელობდეს, ხოლო იმ გარემოში, სადაც ეკონომიკური უპირატესობები იგივე საქონლის წარმოების დახმარებით, ოღონდ ნაკლები დანაკარგებით მიიღწევა, კომპანიას შეიძლება ბუღალტერია მართავდეს.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ დიფერენციაციის უფრო რთული ფორმები არ გამორიცხავენ ნაკლები სირთულის მქონე ფორმებს, და ფაქტობრივად, შეიძლება საჭიროებდნენ კიდევ ნაკლებ რთულ ფორმებს. მაგალითად, ავტომობილების მწარმოებელი ფირმა სტრატეგიცირებულია, მაგრამ ამავე დროს იგი მოიცავს ცალკეულ ფაბრიკებს, რომლებიც დიფერენციაციის სეგმენტარულ ფორმებს წარმოადგენენ. ეს მნიშვნელოვანია, რამდენადაც ჩვენ ჩვეულებრივ ვლაპარაკობთ ფუნქციონალურად დიფერენცირებულ სისტემებზე თანამედროე საზოგადოებაში, რათა დიფერენციაციის უპირატესი და ძირითადი ტიპი აღვწეროთ, მიუხედავად ამისა, სხვა ფორმები არსებობს აგრძელებენ.

**კოდი** – ესაა სისტემის ელემენტების გამორჩევისა და გამოცალკავების წესი. იგი სისტემის ელემენტებს გამოყოფს იმ ელემენტებისაგან, რომლებიც მოცემულ სისტემას არ მიეკუთვნებიან. კოდი ფუნქციონალური სისტემის ძირითად “ენას” წარმოადგენს. მაგალითად, მეცნიერების სისტემაში კოდი – ჭეშმარიტებაა (შეცდომასთან შედარებით). ეკონომიკურ სისტემაში ესაა – ფული (ვალთან შედარებით). სამართლის სისტემისათვის ესაა – კანონიერება (უკანონობასთან შედარებით). გარკვეული კოდის გამომყენებელი ყოველი კომუნიკაცია იმ სისტემის ნაწილი ხდება, რომლის კოდური ნიშანიც გამოიყენება.

კოდი შესაძლებელი კომუნიკაციების წესების (ხერხების) შესაზღუდად გამოიყენება. ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც კოდს არ იყენებს, არ მიეკუთვნება გასახილველ კომუნიკაციათა სისტემას. ამგვარად, მეცნიერების სისტემის საზღვრებში ჩვენ ჩვეულებრივ ვპოულობთ მხოლოდ იმ კომუნიკაციებს, რომლებიც ჭეშმარიტების კოდზე მიუთითებენ და ეყრდნობიან. მაგალითად, თუ ნასა-ს (აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული სამმართველო) ხელმძღვანელები ან ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ხელმძღვანელები ერთმანეთს შეხვდნენ, რათა განიხილონ, თუ როგორი ფაქტები იქნა აღმოჩენილი დაბერების თაობაზე ჯონგლენის 1998 წლის კოსმოსური ფრენის დროს, ასეთი რამ უკვე იქნებოდა მეცნიერების სისტემის ნაწილი, რომელიც ჭეშმარიტების და სიყალბის კოდებს იყენებს. ეს ადამიანები იმის განსახილველად რომ



შეხვედროდნენ ერთმანეთს, გაერკვიათ თუ რომელი რომელ ნაწილში დააფინანსებდა გამოკვლევას, რომელიც ამ კოსმოსურ ფრენისას ტარდება, მაშინ იგი შევიდოდა ეკონომიკურ სისტემაში, ვინაიდან ამ შემთხვევაში სისტემის ელემენტების შერჩევის კოდები იქნებოდა ფულის გადახდის უნარიანობა და ვალი.

ლუმანის სისტემურ თეორიაში არცერთი სისტემა არ იყენებს და არც ესმის სხვა სისტემის კოდი. არ არსებობს ერთი სისტემის კოდის მეორე სისტემის კოდად გადათარგმნა – გადატანის წესი და საშუალება. რამდენადაც სისტემები ჩაკეტილია, ამდენად მათ რეაგირება შეუძლიათ მოახდინონ მხოლოდ მათ შიდა გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე (თუ ის, რაც ხდება და იცვლება, საკმაოდ მაღალ “ხმაურობას” იწვევს, რათა შემჩნეულ იქნეს სისტემის მიერ). თუმცა სისტემამ გარემოში მომხდარი დაბრკოლებები თავისი საკუთარი კოდის შესატყვისად უნდა აღწეროს. ესაა მომხდარის გააზრების ერთადერთი წესი, მისთვის მიშვნელობის მინიჭების ერთადერთი საშუალება. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა მეცნიერების სისტემას მხოლოდ მოგების თვალსაზრისით დაუწყებს “ყურებას” (ანუ იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელი გახდეს მომავალი შესყიდვა) ან კაპიტალის ჩადების, ინვესტიციების ჩადების თვალსაზრისით შეხედავს (ანუ იმის, რაც საჭიროა თავდაპირველი გადახდისათვის, სანამ ეს ჩადებული ინვესტიცია საკუთარ თავს ამოიღებს ან გაანადღებს ჩადებულ კაპიტალს).

## 8. სისტემური თეორია და ცოდნის სოციოლოგია

ლუმანისათვის სოციოლოგიის პრინციპული საკითხი ასე ჟღერს: რა არის საზოგადოება? ეს გახდა ამოსავალი წერტილი სისტემის თეორიის დამუშავების მცდელობისას. სოციოლოგია როგორც მეცნიერება საზოგადოების შესახებ შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ნათლად განსაზღვრული ცნების არსებობის პირობებში. ლუმანის სისტემური თეორია საზოგადოებას განსაზღვრავს, როგორც “ყოველსმომცველ სოციალურ სისტემას, რომელიც ყველა დანარჩენ სოციეტალურ სისტემებს მოიცავს”. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების ცნება მსოფლიო საზოგადოების ცნების იდენტურია, ე.ი. საზოგადოება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი...

სოციალური სისტემა – ესაა ყოველი სისტემა, რომელიც თვითკვლავწარმოებისათვის თავისი საბაზისო ელემენტის სახით კომუნიკაციას ბადებს – ქმნის. სოციეტალური სისტემა კი არის ფუნქციონალური სისტემა, მაგალითად, ეკონომიკა, მეცნიერება, სამართალი, საზოგადოების ყოველსმომცველი სისტემის საზღვრებში. შენიშვნა [“სოციალური სისტემის” პირველი პუბლიკაციის გამოსვლის (1984 – 1995) შემდეგ ლუმანმა უფრო გააღრმავა თავისი მიდგომა და გამოიყენა იგი სხვადასხვა ფუნქციონალური სისტემების მიმართ საზოგადოების სისტემის საზღვრებში – ეკონომიკის, მეცნიერების, კანონმდებლობის და ხელოვნების მიმართ. იგი შეეცადა ეჩვენებინა თავისი ზოგადი თეორიის სარგებლიანობა და გამოსადეგობა ნებისმიერი ფუნქციონალურად დიფერენცირებული სისტემისათვის. მან აგრეთვე განიხილა ფუნქციონალურ სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით ეკოლოგიური რისკების პროგნოზირება და რისკის ზოგადი კონცეფციის გზები).

ყოველსმომცველ მსოფლიო საზოგადოებას არ აქვს საზღვრები დროსა და სივრცეში; გარკვეული აზრით მსოფლიო საზოგადოებას არ აქვს “მისამართი”, ხოლო გარე გარემოში არ არსებობს სხვა



საზოგადოება. მაშინ როგორღა არის შესაძლებელი საზოგადოების დაკვირვება? არის მხოლოდ ერთი პასუხი: საზოგადოებას შეიძლება დავაკვირდეთ მხოლოდ შიგნიდან ე.ი. საზოგადოების ფუნქციონალური სისტემის მეშვეობით. მაგრამ არცერთი ფუნქციონალური სისტემა არ ფლობს საზოგადოების დაკვირვებისათვის “სწორ პოზიციას”. ყველა პოზიცია კანონიერია. როგორ შეგვიძლია ასეთ შემთხვევაში მივიდეთ სოციალურ სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღების ერთიან წესთან და საშუალებასთან? ფაქტობრივად არ არსებობს ასეთი მარტივი პოზიციის შექმნის გზა. არცერთ თვალსაზრისს არ აქვს უპირატესობა ნებისმიერ სხვა თვალსაზრისსზე. ამიტომ არასდროს არ შეიძლება მოვიპოვოთ ფართოდ მიღებული თვალსაზრისი, რამდენადაც შეუძლებელია მოპაექრე შეხედულებების შეფასება. მაგალითად, თუ ჩვენ როგორც სოციოლოგებს გვსურს რაიმე გავიგოთ საზოგადოების შესახებ, მაშინ ჩვენთვის ჩვეულია სოციოლოგიური ცოდნის ძიება. ლუმანის თანახმად, ამდენადვე შესაძლებელი იქნებოდა გაზეთისა და წიგნის წაკითხვა, ტელევიზორის ყურება ან მეგობართან საუბარი. აქ მოყვანილ საშუალებებიდან ნებისმიერს აქვს უფლება იყოს საზოგადოების შესახებ ინფორმაციის მიღების გზა. არც მეცნიერებას, არც სხვა სისტემას არ აქვს პრივილეგირებული მდგომარეობა. თუ არცერთ ფუნქციონალურ სისტემას არ უკავია მთავარი პოზიცია დასაკვირვებლად, და ამგვარად, საზოგადოების როგორც სისტემის აღსაწერად, მაშინ ჩვენ ვაწყდებით საზოგადოების დაკვირვების ერთნაირად კანონიერი საშუალებების უსასრულო მრავალსახეობების პრობლემას.

ლუმანი შეეცადა შეემუშავებინა მიდგომა, რომელიც ყოველივე ზემოთთქმულის მიუხედავად საშუალებას მოგვცემს მივილოთ ცოდნა საზოგადოების შესახებ. საზოგადოება თავის თავს აღწერს ლეგენდებისა და მითების საშუალებით უძველეს დროში და მეცნიერული ცოდნის მეშვეობით თანამედროვე ეპოქაში. მიუხედავად ამისა სოციოლოგებს მეორე რიგის – წესრიგის დამკვირვებელთა სახით შეუძლიათ თვალი გაადევნონ, დააკვირდნენ საზოგადოების პირველად დაკვირვებებს, მათ შეუძლიათ დასკვნების გაკეთება საზოგადოებასა და მის სემანტიკას, ე.ი. საზოგადოების თვითაღწერას შორის დამოკიდებულების შესახებ. ესაა საზოგადოების შესახებ ცოდნის მოპოვების გასაღები – ანუ საზოგადოების სემანტიკაზე დაკვირვება, ე.ი. “კომუნიკაცია კომუნიკაციებზე”, რომლებიც საზოგადოების სისტემას შეადგენენ.

## **ნიკლას ლუმანის (Niklas Luhmann) (8.12.1927-6.11.1998) სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და დებულებები**

### **1. ნიკლას ლუმანი, პიროვნება და მეცნიერი.**

იგი დაიბადა გერმანიის ქ. ლიუნებურგში 1927 წელს, ლუდის მწარმოებლის ოჯახში. ლუმანი წარმოშობით არ მიეკუთვნებოდა განათლებულ ბიურგერთა კლასს. 1944 წელს გაიწვიეს გერმანიის არმიაში, მაგრამ ბრძოლებში ფაქტობრივად მონაწილეობა არ მიუღია, იყო საავიაციო ნაწილების ტექნიკოსის თანაშემწე. იგი კარგად აცნობიერებდა



მიმდინარე ომის აბსურდულობას და მრავალი თავისი თანატოლის მსგავსად ეძიებს შესაძლებლობას, რათა ტყვედ ჩაბარდეს ამერიკელებს ან ინგლისელებს, რასაც ახერხებს კიდეც. 1946 წლიდან 1949 წლამდე იგი ეუფლებოდა სამართლის მეცნიერებას ქ. ფრაიბურგში. 1956-1962 წლებში იგი მუშაობს ქვემო საქსონიის კულტურის საქმეთა სამინისტროში უფროსი მრჩევლის პოსტზე. სწორედ აქ მუშაობისას ლუმანმა თავის თავს მოუწყო სტაჟირება ამერიკაში. იგი ხომ ამერიკაში წამსვლელთა საბუთებს აფორმებდა. ერთხელ თავში აზრად მოუვიდა მასაც იგივე გაეკეთებინა. 1960-1961 წლებში ლუმანი უკვე აშშ-ი, ჰარვარდის უნივერსიტეტშია და სწავლობს. (თუ სტაჟირებას გადის) ისეთ ცნობილ სოციოლოგთან, როგორც ტ. პარსონსი იყო. სამშობლოში დაბრუნებისას იწყებს მმართველის თეორიის შესწავლას, ხოლო 1965 წელს სამეცნიერო სამუშაოთია დაკავებული. 1966 წელს იცავს დისერტაციას უმაღლესი ხარისხით უჩვეულოს და არაჩვეულებრივს, როგორც მისი ბიოგრაფები შენიშნავენ დღევანდელი წარმოდგენის შესაბამისად უბრალოდ წარმოდგენელს: ორივე დისერტაცია (promotion-ს, რომელიც დოქტორის ხარისხს იძლევა, და habilitation-ს რომელიც პროფესიისაკენ უხსნის გზას) იცავს მხოლოდ ნახევარი წლის ინტერვალით და მუშაობა დაიწყო მიუნსტერის უნივერსიტეტში. 1968 წელს ლუმანი იღებს პროფესორის თანამდებობას სულ ახლად გახსნილ ბილფელდის უნივერსიტეტში. სადაც იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე რჩება, ვიდრე პენსიაზე არ გავიდა 1993 წელს. 1977 წელს გარდაეცვალა მეუღლე, რის შემდეგ არც დაქორწინებულა, იგი მაქს ვებერის მსგავსად არ ცდილობდა ეზრუნა თავის მოსწავლეებზე და რაღაც სკოლა შეექმნა. თუმცა მისი პენსიაზე გასვლის შემდეგ ქ. ბილფელდში მისი მიმდევრების საფუძვლიანად ორგანიზებული ჯგუფი ჩამოყალიბდა. 1988 წელს მან მიიღო ჰეგელის სახელობის პრემია. ათი წლის შემდეგ დაასრულა რა თავისი ყველაზე დიდი 1000 გვერდიანი და ფუნდამენტური ნაშრომი – „საზოგადოების საზოგადოება“, როგორც უკანასკნელი წიგნი, მონუმენტური შრომა, გრანდიოზული პროექტის შედეგი, მთელი სიცოცხლის საქმე – გარდაიცვალა კიდეც. მსოფლიოს სოციოლოგიას არ დაუწყია ჯერ მისი თეორიის ენაზე ლაპარაკი, მაგრამ მისთვის გვერდის ავლაც ძალზე რთული და ძნელია. უახლეს წლებში ნათლად გამოჩნდება ნ. ლუმანის შეხედულებების არა მხოლოდ ევრისტიკული არამედ მაკონსტრუირებელი ძალაც და როლიც.

თავის მეცნიერულ-აკადემიური საქმიანობის დასაწყისში ლუმანი მიზნად ისახავს შემდეგ ამოცანას: 30 წლის მანძილზე სრულად აღწეროს საზოგადოება. ამ ამოცანის გადაჭრას მიუძღვნა კიდეც მან მთელი თავისი სიცოცხლე. უკვე აღნიშნული წიგნი „საზოგადოების საზოგადოება“ („Die Gesellschaft der Gesellschaft“) რომელიც მისი სიკვდილის წინ გამოიცა ამ მოღვაწეობის გვირგვინად იქცა.

იგი იზიარებდა ნეირობიოლოგების ფრანცისკო ვარელას და უმბერტო მატურანას მეცნიერულ შეხედულებებს ცოცხალი და სოციალური სისტემების ბუნებაზე, შესაბამისად თავის შრომებში „აუტოპოეზისის“ (autopoiesis) ბიოლოგიური კონცეფცია გამოიყენა.

სულ ლუმანმა 77 წიგნი და დაახლოებით 250 სტატია დაწერა საზოგადოების სისტემური თეორიისა და სოციალური შემეცნების თეორიის თემებზე.



გარდა მეცნიერული მოღვაწეობისა, ლუმანი ფლობდა ლუდის ბარ „ Pons “ მშობლიურ ლიუნებურგში. და მას არასდროს არ უმუშავია და უსწავლებია ლიუნებურგის უნივერსიტეტში.

ძირითადი შრომებია:

- „სოციოლოგიური განმანათლებლობა“ (Soziologische Aufklärung).
- „სოციალური სისტემები“ („Soziale System. Grundriss einer allgemeinen Theorie“ 1984).
- „სამართლის სოციოლოგია“ („Rechtssoziologie“, 1972).
- „სამართლებრივი სისტემა და სამართლებრივი დოგმატიკა“ („Rechtssystem und Rechtsdogmatik“, 1974).
- „რელიგიის ფუნქციები“ („Die Funktion der Religion“, 1977).
- „საზოგადოებრივი სტრუქტურა და სემანტიკა“ („Gesellschafts struktur und Semantik“, 1980-1995).
- „სიყვარული როგორც ვნება“ („Liebe als Passion“ 1982).
- „საზოგადოების საზოგადოება“ („Die Gesellschaft der Gesellschaft“, 1997).

წიგნები რუსულ ენაზე:

- „ძალაუფლება“. (Луман, Н. Власть/Пер. с нем. А.Ю. Антоновского - М.: Праксис, 2001. - 256с.- (Образ общества))
- „საზოგადოების საზოგადოება“ (Луман, Н. Общество общества Часть I. Общество как социальная система - М.: Логос, 2004)
- „საზოგადოების საზოგადოება“ ნაწილი II. მედიაკომუნიკაციები. М.: Логос, 2005.
- „საზოგადოების საზოგადოება“ ნაწილი III. (Луман, Н. Общество общества Часть III. Эволюция - М.: Логос, 2005)
- მასმედიის რეალობა. Луман, Н. Реальность масмедиа/ Пер. с нем. А.Ю. Антоновского - М.: Праксис, 2005).
- „საზოგადოების საზოგადოება“ ნაწილი IV. (Луман, Н. Общество общества Часть IV. Дифференциация - М.: Логос, 2006)
- „სოციალური სისტემები“ Луман, Н. Социальные системы. Очерк общей теории. СПб.: Наука, 2007.

სტატიები რუსულად:

- Луман, Н. Социальные системы. Очерк общей теории// Западная теоретическая социология 80-х годов. Реферативный сборник - М., 1989.
- Луман, Н. Что такое коммуникация? Социологический журнал. 1995 №3.
- Луман, Н. Понятие общества// Проблемы теоретической социологии. Вып. 3. СПб.: Издательство СПбГУ, 2000.
- Луман, Н. Теория общества (вариант SanFoca'89).
- Теория общества. Сборник – М.: КАНАНОН-Пресс-Ц. Кучково поле, 1999.

საზოგადოების ლუმანისეული კონცეფცია

საზოგადოება, როგორც ყოვლის მომცველი სოციალური სისტემა, იგება, კონსტრუირდება გარემომცველი სამყაროსაგან თავის თავის განსხვავებით, რომელსაც ცნობიერების (ინდივიდების) სისტემა, ტვინის სისტემა და ფიზიკური სისტემები მიეკუთვნება. გარემომცველი სამყაროსაგან თავის თავის შემოსაზღვრისას, საზოგადოებას შეუძლია იმოქმედოს ჩაკეტილი სახით, და, რამდენადაც ერთადერთ



ნამდვილ – სოციალურ ოპერაციად კომუნიკაცია გვევლინება, ამდენად ოპერატიული ჩაკეტილობა იმით გამოიხატება, რომ ერთი კომუნიკაცია ებმება და უერთდება მეორე კომუნიკაციას. საზრისი არის მედიუმი, რომლის მეშვეობითაც ხდება ასეთი მიერთება. მაგრამ თავად საზოგადოება არაერთგვაროვანია და მთელ რიგ ისეთ ქვესისტემებად დიფერენცირდება, როგორებიცაა: ფუნქციონალური ქვესისტემები (მას-მედია, პოლიტიკა, მეცნიერება და სხვები) პირის-პირ ინტერაქციების სისტემა, აგრეთვე ორგანიზაციათა სისტემა. თითოეული ფუნქციონალური ქვესისტემა განცალკევდება – განკერძოვდება კომუნიკაციათა კოდირების გზით: კი – რედაქციისა, და არა – რედაქციის მეშვეობით, რომლებიც საზრისშია ჩადებული. ამგვარად, თითოეული ფუნქციონალური ქვესისტემა ისწრაფვის თავის თავში მოიცვას მხოლოდ მისთვის სპეციფიკური კომუნიკაციები, მაგრამ ამავე დროს გამორიცხოს სხვა გვარის კომუნიკაციები. მაგალითად, მეცნიერება არსებობს ჭეშმარიტება-სიყალბის კოდის წყალობით, ამიტომ მასში ნებისმიერი ჭეშმარიტ მტკიცებას-დებულებას შეუძლია შეუერთდეს განსაკუთრებით სხვა ჭეშმარიტ მტკიცებას-დებულებას. კომუნიკაცია როგორც ასეთი არის ინფორმაციის, შეტყობინების და გაგების (ინფორმაციასა და შეტყობინებას შორის განსხვავების გაცნობიერება) სამერთიანობა.

სისტემათა თეორია სოციალურ მეცნიერებებში  
(ნიკლას ლუმანი) (ჯორჯ რიტცერის მიხედვით)

სისტემათა თეორიას მრავალი მომხრე ჰყავს სხვადასხვა სფეროში, მაგრამ მას იმდენად ცვალებადი ისტორია აქვს, რომ არა გერმანელი სოციალური მოაზროვნის ნიკლას ლუმანის შემოქმედება ეს თავი შეიძლება არც კი დაწერილიყო. სიკვდილამდე (1998) ორი ათეული წლის განმავლობაში ლუმანი შეუპოვრად და დაჟინებით აგრძელებდა სისტემათა თეორიის განვითარებას. (იგი უპირატესობას ტერმინ „სისტემათა თეორიას“ ანიჭებდა). თუმცა კენედ ბეილის (Bailey, 1990, 1994, 1997). ამდენად ცნობილი და გავლენის მქონე არაა, მანაც შეიტანა თვალსაჩინო წვლილი ამ თეორიის განვითარებაში. მრავალი წლის განმავლობაში ლუმანის შემოქმედება უცნობი იყო, მაგრამ XX საუკუნის დასასრულს მისმა შემოქმედებამ დიდი აღიარება ჰპოვა მსოფლიოში – ამიტომ მოცემული თავი ძირითადად მის შეხედულებებს ეძღვნება. მაგრამ სანამ მის შემოქმედებაზე გადავიდოდეთ, უპრიანი იქნება თუ ზოგიერთ ადრეულ შეხედულებებს და კონცეპტუალურ იდეებს გავანალიზებთ, რომლებიც უოლტერ ბაკლის (Buckley, 1967) შრომებში, განსაკუთრებით „სოციოლოგია და სისტემათა თანამედროვე თეორიაშია“ გადმოცემული.

სოციოლოგია და სისტემათა თანამედროვე თეორია

სისტემათა თეორიის გამოყენება. ცენტრალური კითხვა, რომელსაც მიმართა ბაკლიმ, მდგომარეობს იმაში თუ რა შეუძლია სოციოლოგიამ სისტემათა თეორიისგან ისესხოს.

1. რამდენადაც სისტემათა თეორია ზუსტი მეცნიერებებისაგან მომდინარეობს და რამდენადაც იგი უკიდურეს შემთხვევაში მისი მომხრეების თვალში, ყველა ქცევით





და სოციალურ მეცნიერებებში გამოსადეგია, ამდენად იგი მათ გასაერთიანებლად საერთო ენას გვთავაზობს.

2. სისტემათა თეორიას მრავალსაფეხუროვანი ხასიათი აქვს და სოციალური სამყაროს როგორც ყველაზე მსხვილმასშტაბიანი, ისე ყველაზე მცირე მასშტაბის მქონე, როგორც ყველაზე ობიექტური ისე ყველაზე სუბიექტური ასპექტების მიმართ ერთნაირად შეიძლება იქნას გამოყენებული.
3. სისტემათა თეორია სოციალური სამყაროს მრავალ ასპექტთა შორის მრავალფეროვანი ურთიერთობების ანალიზით ინტერესდება და ამგვარი წესით სოციალური სამყაროს შერჩევით ანალიზს უპირისპირდება.

სისტემათა თეორია ასაბუთებს, რომ ელემენტთა შორის არსებული რთული დამოკიდებულებების მთლიანი კონტექსტიდან გამოცალკეება შეუძლებელია. სისტემათა თეორიტიკოსები უარყოფენ იმ აზრს, რომ საზოგადოება მთლიანობაში ან საზოგადოების სხვა, რომელიმე დიდი მასშტაბის მქონე კომპონენტი უნდა განვიხილოთ როგორც მთლიანი სოციალური ფაქტი. ამის ნაცვლად აქცენტი სოციალური სისტემის სხვადასხვა დონეზე არსებულ ურთერთდამოკიდებულებებზე და პროცესებზე კეთდება. ბაკლი ასე აღწერს ამ მიდგომას:

„ჩვენთვის საინტერესო სისტემის სახე შეიძლება მთლიანობაში აღვწეროთ როგორც ელემენტების ან კომპონენტების ერთობლიობა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, მიზეზობრივ ქსელს ქმნიან იმ გვარად, რომ დროის ნებისმიერ განსაზღვრულ პერიოდში თითოეული კომპონენტი მეტ-ნაკლები სტაბილურობით, თანაფარდობაშია და ეთანადება, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე სხვას მაინც.“ (Buckley, 1967, გვ41).

რიჩარდ ე. ბოლი გვთავაზობს სისტემათა თეორიის თანაფარდობითი ორიენტაციის ნათელ კონცეფციას ანუ იმას, რასაც იგი სისტემათა ზოგად თეორიას უწოდებს. (ს.ზ.თ.):

„ს.ზ.თ. იწყება რეალობის პროცესიალური გაგებისგან, რომელიც თავის საფუძველში მიმართება–დამოკიდებულებებს შორის დამოკიდებულებებისაგან შედგება, როგორც თანამედროვე ფიზიკაში გამოყენებული „მიზიდულობის“ კონცეფციაში ილუსტრირდება და გამოიხატება. ტერმინი „მიზიდულობა“ პრინციპულად არანაირ ობიექტს არ აღწერს. არ არსებობს ისეთი „ნივთი“ როგორც მოზიდულობაა. ესაა დამოკიდებულებათა კრებული – ერთობლიობა. ჩათვალო ეს დამოკიდებულებები არსებულ ობიექტებად – ნიშნავს რეიფიკაციაში (განივთებაში) ჩავარდნას. ს.ზ.თ. – მიდგომა მოთხოვს, რომ სოციოლოგებმა განავითარონ დამოკიდებულებათა თუ მიმართებათა ლოგიკა და შექმნან სოციალური რეალობის კონცეფცია თანაფარდობა – მიმართებების თვალსაზრისი.“

4. სისტემური მიდგომა საშუალებას გვაძლევს სოციოკულტურული სისტემების ყველა ასპექტი პროცესის, განსაკუთრებით ინფორმაციისა და კომუნიკაციის ქსელების თვალსაზრისით განვიხილოთ.
5. ის, რომ, შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანიც კი, რომ სისტემათა თეორია მთლიანობითი ხასიათისაა. ამ მიდგომის განსაზღვრებაში ბაკლი მას განიხილავდა



როგორც მსხვილი ობიექტური სტრუქტურების, სიმბოლოთა სისტემის, ქმედებისა და ურთიერთქმედების, „ცნობიერებისა“ და „თვითცნობიერების“ ინტეგრაციის მომცველს. ბოლიც ასევე აღიქვავდა საფეხურეობრივი ინტეგრაციის იდეას: „ინდივიდი და საზოგადოება თანაბარი სახით განიხილებიან: არა როგორც ცალკეული არსებები, არამედ როგორც ურთიერთწარმომქმნელი სფეროები, რომლებიც „უკუ-კავშირის“ განსხვავებული პროცესებით არიან დაკავშირებული.“ ფაქტობრივად, სისტემათა თეორია იმდენადაა ინტეგრაციაზე მიმართული რომ ბაკლი აკრიტიკებდა სხვა სოციოლოგების მიდრეკილებას დონეებს შორის გაეტარებინათ ანალიტიკური განსხვავება: „ხშირად სოციოლოგიაში გამჩნევთ იმაზე მითითების ტენდენციას, რაც „პიროვნებას“ (ალბათ თავის ქალის შიგთავსით), სიმბოლურ სისტემებს (კულტურას) და სოციალური ურთიერთობების მოდელებს (სოც. სისტემებს) შორის „ანალიტიკურ გამიჯვნად“ იწოდება; თუმცა ასეთი განსხვავებების მომხრეთა რეალური შემოქმედება გვიჩვენებს, რომ მას შეცდომაში შევყავართ. ხშირად, კი პრაქტიკულად გამოუსადეგარია“. (Buckley, 1967, გვ.101)

ბაკლი აქ ნაწილობრივ არის მართალი, რამდენადაც საკუთარი შრომის პროცესში თავადვე ხშირად იყენებდა იგივე მეთოდს. ცხადია, სისტემათა თეორიტიკოსებისათვის, ანალიტიკური გამიჯვნის გატარება მისაღებია იმდენად, რამდენადაც მას ატარებენ იმ მიზნით, რათა სოციალური სამყაროს სხვადასხვა ასპექტებს შორის არსებული ურთიერთკავშირები უკეთ იკვლიონ.

დაბოლოს, სისტემათა თეორიის მომხრეები სოციალურ სამყაროს დინამიკის თვალსაზრისით განიხილავენ, პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ რა „სოციოკულტურულ გამოვლინებებსა და დინამიკას მთლიანობაში.“

### ზოგიერთი საერთო პრინციპი

ბაკლმა განიხილა სოციოკულტურულ, მექანიკურ და ორგანულ სისტემებს შორის არსებული დამოკიდებულებები. მან ყურადღება მათ შორის არსებულ არსებითი განსხვავებების აღწერაზე გაამახვილა. კოორდინატთა ზოგიერთ სისტემაში კონტინუუმი მექანიკურ სისტემიდან ორგანულისკენ და აქედან კი სოციოკულტურული სისტემებისაკენ მოძრაობს. ე.ი. იგი ელემენტთა ყველაზე ნაკლები სირთულიდან ყველაზე რთულისაკენ, ყველაზე ნაკლები არასტაბილურობიდან ყველაზე მაღალ არასტაბილურობამდე, და სისტემისაგან ელემენტების დამოკიდებულებების ყველაზე დაბალი ხარისხიდან თუ დონიდან ყველაზე მაღალი დონისკენ მიდის.

ყველა სხვა განზომილებების დროს სისტემები ერთმანეთისგან თვისებრივად და არა უბრალოდ რაოდენობრივად განსხვავდებიან. მექანიკურ სისტემებში ნაწილთა ურთიერთდამოკიდებულება ენერჯის გადაცემაზეა დამოკიდებული. ორგანულ სისტემებში ისინი უფრო მეტად ინფორმაციის გაცვლას ემყარებიან, ვიდრე ენერჯისას. სოციოკულტურულ სისტემებში ეს ურთიერთდამოკიდებულებები კიდევ უფრო ემყარება ინფორმაციულ გაცვლას.



სისტემის ეს სამი ტიპი აგრეთვე ღიაობა – ჩაკეტილობის ხარისხითაც განსხვავდებიან ანუ უფრო ფართო გარემოს ელემენტებთან ურთიერთგაცვლის ხარისხითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უფრო ღია სისტემას უფრო მეტად შეუძლია გარემოდან მომდინარე დაუსრულებელ მრავალსახეობრივ დეტალებზე შერჩევითი რეაქციების განხორციელება. ამ თვალსაზრისით მექანიკური სისტემები უფრო ჩაკეტილია, ორგანული უფრო ღიაა, ხოლო სოციოკულტურული სისტემები – ყველაზე უფრო ღიაა სისტემათა განხილული სახეებისაგან. (როგორც შემდეგში დავინახავთ ნ.ლუმანი არ ეთანხმება ამ უკანასკნელ მტკიცებას). სისტემის ღიაობის საკითხი ემყარებიან სისტემათა თეორიის ორ უმნიშვნელოვანეს ცნებასთან: ენტროპიასა, ანუ სისტემების მოუწესრიგებლობისაკენ, ქაოსისაკენ მისწრაფების ტენდენციასა და ნეგანტროპიასთან (უარყოფით ენტროპიასთან), ანუ სტრუქტურათა შემუშავებისადმი სისტემების ტენდენციასთანაა დაკავშირებული. ჩაკეტილ სისტემებს უფრო ენტროპიული ხასიათი აქვთ, მაშინ როდესაც ღია სისტემებს – ნეგანტროპიული ხასიათი აქვთ. სოციოკულტურულ სისტემებს აგრეთვე აქვთ ტენდენცია დიდი შინაგანი კონფლიქტისაგან, ვიდრე ორ დანარჩენ ტიპს. დაბოლოს, სოციოკულტურულ სისტემებს შეიძლება ჰქონდეთ მიზანდასახული და მიზანმსწრაფი ხასიათი, რამდენადაც გარემოდან იღებენ უკუკავშირს, რომელიც მას საშუალებას აძლევს მიზნისაკენ მოძრაობა გააგრძელოს.

უკუკავშირი წარმოადგენს კიბერნეტიკული მიდგომის არსებით ელემენტს, რომელსაც სისტემის თეორეტიკოსები სოციალური სისტემის მიმართაც იყენებენ. ასეთი მიდგომა უპირისპირდება მრავალი სოციოლოგისათვის (მაგალითად, პარსონსისთვის) დამახასიათებელ სისტემასა და გარემოს შორის თანაბარი მდგომარეობის შემანარჩუნებელ მიდგომას, რომელიც პრეტენზიას სისტემურ მიდგომის თვალსაზრისით კვლევაზე აცხადებს. უკუკავშირის გამოყენება სისტემათა თეორიაში კიბერნეტიკული მიდგომის მომხრეებს საშუალებას აძლევს იკვლიონ კონფლიქტი, ზრდა, ევოლუცია და უეცარი ცვლილებები. სოციალური სისტემის ღიაობა გარემოსთან მიმართებაში და გარე ფაქტორების სისტემაზე გავლენა სისტემათა ამ თეორეტიკოსებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტებია.

სოციალურ სისტემებზე მრავალგვარი შინაგანი პროცესები ახდენენ გავლენას. აქ მნიშვნელოვანია ორი სხვა ცნების შემოტანა. მორფოსტაზი ეხება ისეთ პროცესებს, რომლებიც ხელს უწყობენ სისტემათა თვითშენახვას, მაშინ როდესაც მორფოგენეზისი აღნიშნავს იმ პროცესებს, რომლებიც ხელს უწყობენ სისტემათა სირთულის ცვლილებებსა და ზრდას. (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ შეიძლება ვნახოთ XI თავში მ.არჩერის შემოქმედების განხილვისას). სოციალური სისტემები ქმნიან სულ უფრო რთულ „შუალედურ სისტემებს“, რომლებიც გარეგან ძალებსა და სისტემურ მოქმედებებს შორის იმყოფებიან. ამ შუალედური სისტემებიდან ზოგიერთი ხელს უწყობს სისტემის თვითშენარჩუნებას, სხვები კი ზემოქმედებენ სისტემის ცვლილებებზე. ეს „შუალედური სისტემები“ სულ უფრო დამოუკიდებელი, ავტონომიური ხდებიან და სულ უფრო განსაზღვრავენ სისტემის მოქმედებას.



სხვაგვარად, რომ ვთქვათ ამ შუალედური სისტემების წყალობით სოციალური სისტემა გარემოსაგან სულ უფრო ნაკლებ დამოკიდებული ხდება.

ეს რთული შუალედური სისტემები მრავალ ფუნქციას ასრულებს სოციალურსისტემაში. მაგალითად, ისინი საშუალებას აძლევენ სისტემას დროებით შეეგუოს გარეგან პირობებს. მათ შეუძლიათ სისტემების მტრული გარემოცვიდან უფრო შესაფერისი გარემოცვისაკენ წარმართვა. ისინი ასევე საშუალებას აძლევენ სისტემას რეორგანიზება გაუკეთოს თავის ელემენტებს, რათა უფრო ეფექტურად იმოქმედოს გარემოსთან.

### **გამოყენებადობა სოციალურ სამყაროსადმი**

რათა ეჩვენებინა სისტემათა თეორიის გამოყენებითობა, ბაკლმა(1967) ზოგადი პრინციპების განხილვიდან სოციალური სამყაროს თავისებურებების ანალიზს მიმართა. მან ინდივიდუალური დონიდან დაიწყო, სადაც მასზე დიდი გავლენა ჯ. მიდის შემოქმედებამ მოახდინა, რომელიც ცნობიერებასა და მოქმედებას მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან; ფაქტობრივად, ბაკლმა სისტემური თეორიის თვალსაზრისით გააფორმა ჯ. მიდის მიერ დასახული პრობლემატიკა. მოქმედება იწყება კონკრეტული ადამიანის მიერ გარემოდან მიღებული სიგნალისგან. მაგრამ გადაცემას შეიძლება ხელი შეუშალოს ხმაურმა, რომელიც ასევე გარემოდან მოდის. სიგნალის გადაცემის შემდეგ აქტორი უკვე ფლობს ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც ის თავად ირჩევს რეაგირების წესს. აქ საკვანძო მნიშვნელობის ფაქტორია შუალედური მექანიზმის თვითცნობიერების ფლობა. ბაკლი თვითცნობიერებას სისტემათა თეორიის ტერმინებში განიხილავს.

კიბერნეტიკის ენაზე ასეთი თვითცნობიერება სისტემის საკუთარი მდგომარეობის შინაგანი უკუკავშირის მექანიზმია, რომელიც შეიძლება შევავასოთ ან შევადაროთ მოცემულ სიტუაციაში მიღებულ ან მეხსიერებაში შემონახულ სხვა ინფორმაციას, რაც საშუალებას გვაძლევს არჩევანი გავაკეთოთ მოქმედებათა დიაპაზონიდან და ამავე დროს საკუთარ პიროვნებას და ქცევას მიზანმიმართულად და შეგნებულად ვიღებთ მხედველობაში. "

მიდისა და სიმბოლური ინტერაქციონისტებისათვის, აგრეთვე სისტემათა თეორეტიკოსებისათვის ცნობიერება განუყოფელია მოქმედებისა და ურთიერთხემოქმედებისაგან და ორივეს მოუცილებელ ნაწილს შეადგენს.

მიუხედავად იმ რწმენისა, რომ ცნობიერება და ურთიერთქმედება ურთიერთდაკავშირებულია და არაა საჭირო დონეების ერთმანეთისაგან გამოყოფა, ბაკლი მაინც გადავიდა ცნობიერების სფეროდან ურთიერთქმედების სფეროში. ურთიერთქმედების ისეთი ნიმუშები, როგორებიცაა: იმიტაცია და რეაქცია, ნათლად შეეფარდება სამყაროზე სისტემურ შეხედულებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბაკლმა პიროვნებათაშორის სფერო უშუალოდ დაუკავშირა პიროვნების სისტემას; მათ, იგი ურთიერთგანმსაზღვრელად მიიჩნევდა. ბოლოს და ბოლოს ბაკლმა დაიწყო



საზოგადოების მსხვილ მასშტაბიანი ორგანიზაციების, განსაკუთრებით როლებისა და ინსტიტუტების შესწავლა, რომლებსაც იგი სისტემური მიდგომის თვალსაზრისით განიხილავდა და მათ თუ მათგან განუყოფელ არა, მაშინ მათთან დაკავშირებულ რაიმედ მაინც მიიჩნევდა.

გამოკვლევის დასრულებისას ბაკლმა სისტემათა თეორიის ზოგიერთი ზოგადი პრინციპი სოციოკულტურული სფეროს მაგალითებზე, მათი ამ სფეროში გამოყენების თვალსაზრისით გაანალიზა.

პირველი; თეორიტიკოსი იღებს იდეას, რომ კონფლიქტი სოციალური სისტემის ნორმალური, ყველგან არსებული და აუცილებელი რეალობაა,

მეორე; იგი იკვლევს სოციალური სისტემის არაერთგვაროვნების ბუნებასა და წყაროებს კონფლიქტსა და არაერთგვაროვნებაზე ასეთი ყურადღება სისტემურ მიდგომის დინამიურ ხასიათს აძლევს.

მესამე; არჩევანის პროცესის მიმართ ინტერესი არსებობს, როგორც ინდივიდუალური, ისე პიროვნებათა შორის დონეზეც, რომლის მეშვეობითაც შეირჩევიან და შეისწავლებიან სისტემისათვის ღია-ალტერნატივები ესეც თეორიას დამატებით დინამიკას სძენს.

მეოთხე; პიროვნებათაშორისი დონე განიხილება, როგორც უფრო მსხვილი სტრუქტურების განვითარების საფუძველი. საქმიან აქტივობასთან დაკავშირებული, გარიგების პირობების განხილვის, მოლაპარაკების და გაცვლის პროცესები, წარმოადგენს პროცესებს, რომლებისგანაც წარმოიქმნებიან შედარებით მყარი სოციალური სტრუქტურები და კულტურის სტრუქტურები. დაბოლოს მიუხედავად სისტემური მიდგომისათვის დამახასიათებელი დინამიზმისა, აღიარებულია მუდმივობის(უცვლელობის) და გადაცემის პროცესები. აი როგორ წერს ამის შესახებ ბაკლი: "დაუსრულებელ და შეუწყვეტელი გარიგებებისგან წარმოიქმნებიან სწორედ ზოგიერთი შედარებით მყარი შეთანხმებები და ხელშეკრულებები."

საინტერესოა, რომ სისტემურ თეორიასა და დიალექტიკურ მიდგომასა შორის არსებობს საოცარ მსგავსებათა მთელი რიგი, მიუხედავად იმის, რომ ისინი სრულიად განსხვავებული წყაროებიდან მომდინარეობენ ( ერთი მეცნიერული, მეორე ფილოსოფიური) და არსებითად განსხვავებულ ტერმინებს იყენებენ. ეს პარალელები ურთიერთობების, მიმართებების, შემოქმედებისა და დამაბულობებისადმი ხაზგასმულ ყურადღებას გულისხმობენ.

### **ნიკლას ლუმანის სისტემათა ზოგადი თეორია**

სისტემის ყველაზე გამოჩენილი თეორეტიკოსი სოციოლოგიაში ნიკლას ლუმანია( 1927-1998). ლუმანმა შეიმუშავა სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც ტალკოტ პარსონსის



სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ელემენტებს სისტემათა ზოგად თეორიასთან აერთიანებს და კოგნიტური ბიოლოგიისა და კიბერნეტიკის ცნებებს ისრუტავს. ლუმანი გვიანდელი პარსონსის შეხედულებებს იმ ერთადერთ ზოგად თეორიად მიიჩნევს, რომელიც საკმაოდ რთულია იმ ახალი სოციოლოგიური მიდგომის ბაზის შესაქმნელად, რომელშიც ბიოლოგიურ და კიბერნეტიკულ სისტემებში გაკეთებული უკანასკნელი აღმოჩენებია ასახული. მაგრამ პარსონსისეულ მიდგომაში იგი ორ ნაკლს ხედავს: პირველი, მასში ადგილი არ არის თვითმიმართულებისა და თვითორგანიზებისათვის; ლუმანის აზრით კი, საზოგადოების უნარი მიმართება დაამყაროს თავის თავთან, ცენტრალური მნიშვნელობისაა, მისი როგორც სისტემის გაგებისათვის. მეორე, პარსონსი არ აღიარებს შემთხვევითობას, რის გამოც მას არ ძალუძს ადექვატურად განაალიზოს თანამედროვე საზოგადოება, როგორც ასეთი. რამდენადაც ფიქრადაც კი არ მოსდის თავში აზრი იმის შესახებ, რომ საზოგადოება შეიძლება სრულიად სხვაგვარიც კი ყოფილიყო. ასე მაგალითად, თუ პარსონსის შემოქმედებიდან ავიღებთ ერთ მაგალითს, AGJL-ის სქემას, მაშინ იგი უნდა განვიხილოთ არა როგორც ფაქტი, არამედ როგორც შესაძლებლობათა მოდელი. მაგალითად იგი აჩვენებს, რომ ადაპტაციისა და მიზნის მიღწევის ქვესისტემები განსხვავებულად შეიძლება ეთანადებოდნენ-განსხვავებულ მიმართებაში იყვნენ ერთმანეთთან. მაშასადამე, ანალიზის მიზანი უნდა იყოს იმის გაგება, თუ რატომ ქმნის სისტემა დროის ნებისმიერ მოცემულ მომენტში კონკრეტულ მიმართებას ამ ორ ქვესისტემას შორის. ლუმანი ამ ორ პრობლემას მიმართვს პარსონსის შემოქმედებაში და ცდილობს შეიმუშაოს თეორია, რომელიც თვითრეფერენტულობას, თვითრეფლექსურობას და თვითორგანიზებულობას იღებს სისტემათა ცენტრალური მახასიათებლების სახით და ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს შემთხვევითობაზე, იმ მიზეზით, რომ ყველაფერი შეიძლება სხვაგვარად მომხდარიყო.

იმის გასაღები თუ რას გულისხმობს ლუმანი სისტემის ქვეშ, შეიძლება სისტემისა და მისი გარემომცავი სინამდვილის ანუ გარემოს განსხვავებაში დავინახოთ. არსებითად, ესაა განსხვავება სირთულის ხარისხში. სისტემა მუდამ ნაკლებ რთულია, ვიდრე მისი გარემო. მაგალითად, ავტომობილების წარმოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისტემა, რომელიც ეჯახება უკიდურესად რთულ გარემოს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ადამიანთა სიმრავლეს, მუდმივად ცვლად მატერიალურ გარემოს და მრავალ სხვა სახის სისტემებს.(მართალია ავტომობილების წარმოება არ არის თვითმწარმოებელი სისტემა ლუმანის აზრით, მაგრამ აქ შეიძლება სიმარტივის თვალსაზრისით განვიხილოთ, მაგრამ როცა საქმე შეეხება აუტოპოისისურ სისტემების სპეციფიკას მაშინ კი აუცილებელია რთული და მაღალი აბსტრაქციის მქონე მაგალითის მოყვანა და ანალიზი). მაგრამ ეს სირთულე სისტემის ფარგლებში ძალიან გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი. როდესაც მწარმოებელს სჭირდება ნედლეული (ფოლადი, რეზინი და ა.შ.) მას, როგორც წესი, არ აღეგებს თუ საიდან შემოდის, როგორ მზადდება იგი და როგორი არიან მისი მომწოდებლები. მთელი ეს სირთულე დაიყვანება ნედლეულის ხარისხისა და ფასის შესახებ ინფორმაციაზე. ანალოგიურად, მყიდველთა ყველანაირი ქმედება დაიყვანება იმ ქმედებებზე, რომლებიც მანქანების შექმნასა თუ არ შექმნაზე უშუალოდ ახდენენ გავლენას.



გამარტივება არჩევანის აუცილებლობას ნიშნავს( მწარმოებლისთვის მნიშვნელოვანია, როგორ იწარმოება ნედლეული, მაგრამ მან შეიძლება ყურადღება არ დაუთმოს პოლიტიკურ სიტუაციას იმ ქვეყანაში, სადაც ის იწარმოება). არჩევანი გულისხმობს ვარიანტებს, რამდენადაც მუდამ შესაძლებელია სხვა არჩევანის გაკეთება (მწარმოებელს შეეძლო შეესწავლა პოლიტიკური სიტუაცია). შემთხვევითობა კი ნიშნავს რისკს. ამგვარად, თუ დამამზადებელი გადაწყვეტს არ შეისწავლოს პოლიტიკური სიტუაცია ნედლეულის მომწოდებელ ქვეყანაში, მაშინ წარმოების პროცესი შეიძლება ძალიან შეფერხდეს აჯანყებით, რომელიც ამ მასალების მოწოდებას წყვეტს.

სისტემა გარემოს სირთულის შესაბამისად უბრალოდ შეუძლებელია ერთნაირი იყოს. მისი მცდელობა იყოს გარემოს სირთულის შესადარი გვაგონებს ბორხესის ისტორიას მეფის შესახებ, რომელმაც ერთ კარტოგრაფს უბრძანა შეექმნა მისი ქვეყნის აბსოლუტურად ზუსტი რუქა. როდესაც კარტოგრაფმა მუშაობა დაასრულა, რუქა ქვეყნის ზომისა იყო და ამიტომ როგორც რუქა როგორც ასეთი გამოუსადეგარი იყო. რუქებმა, როგორც სისტემებმა სირთულე უნდა შეამციროს. კარტოგრაფმა უნდა აირჩიოს, თუ როგორი მახასიათებელია მნიშვნელოვანი. სხვადასხვა სპეციალისტების მიერ შედგენილი ერთი და იგივე ადგილმდებარეობის რუქები განსხვავებული იქნებიან, იმიტომაც რომ მახასიათებელთა მათი არჩევანი თავისუფალია. ეს რისკთანაა დაკავშირებული, რომ გაუთვალისწინებელი არ აღმოჩნდება მნიშვნელოვანი მომხმარებლისათვის.

რადგან სისტემებს არ შეუძლიათ სირთულით შეედარონ თავიანთ გარემოს, ისინი იმუშავებენ ახალ ქვესისტემებს და მათ შორის ადგენენ სხვადასხვა მიმართებებს, რათა ეფექტურად იმოქმედონ თავიანთ გარემოსთან. თუ ისინი ამას არ გააკეთებდნენ, მაშინ მათ გარემოს სირთულე ჩაყლაპავდა. მაგალითად, ავტომობილების მწარმოებელს შეუძლია შექმნას საგარეო ურთიერთობათა და კავშირთა განყოფილება, რომელსაც დაეკისრება მომწოდებელ ქვეყნებში პოლიტიკური სიტუაციის შესწავლა და კვლევის ამოცანა. ეს ახალი განყოფილება პასუხისმგებელი იქნება რათა დროულად მიაწოდოს მწარმოებელს ცნობები ნედლეულის მოწოდების შეფერხებების შესახებ და შეწყვეტის შემთხვევაში ალტერნატიული წყაროების გამოძებნაზე. ამგვარად იქმნება პარადოქსული სიტუაცია, "მხოლოდ სირთულეს შეუძლია სირთულის შემცირება."

### ავტოპოესისური სისტემები:

/შენიშვნა/ სინონიმებია: ავტოპოეზისური, ავტოპოეტიკური, თვითორგანიზებადი. ტერმინი ავტოპოეტიკ განსხვავებულად ითარგმნება: გვხვდება ისეთი თარგმანები, როგორიცაა "ავტოპოეზისი", "ავტოპოეზისი" იგი შეიძლება ითარგმნოს როგორც თვითშექმნა ან თვითწარმოება. ამ ცნებას ლუმანი ჩილელი ეპისტემოლოგების და ნეიროფიზიოლოგების უმბერტო მატურანასა და ფრანცისკო ვარელასაგან სესხულობს. მატურანა-ნეირობიოლოგია, რომელმაც ავტოპოესისური ბიოლოგიური სისტემების თეორია შექმნა. ეს ტერმინი აღნიშნავს, რომ სისტემას ( და ამაში ბიოლოგიური



სისტემები, ლუმანის აზრით, სოციალური სისტემების ანალოგიურია) უნარი შესწევს მთელი თავისი ნაწილები საკუთარი თავისგან აწარმოოს და კვლავაწარმოოს.

ლუმანი ყველაზე უფრო ცნობილია თავისი განაზრებებით აუტოპოესისის შესახებ. აუტოპოესისის ცნება განსხვავებულ სისტემებს- დაწყებული ბიოლოგიური უჯრედისგან მსოფლიო საზოგადოებით დამთავრებული-ეხება. კერძოდ, ლუმანი ამ ტერმინს ისეთი სისტემების მიმართ იყენებს როგორებიცაა ეკონომიკა, პოლიტიკური სისტემა, საკანონმდებლო სისტემა, მეცნიერული სისტემა და ბიუროკრატია. ქვემოთ მოყვანილ აღწერაში ჩვენ შევეცდებით მოვიყვანოთ განსხვავებული მაგალითები, რათა ამ კონცეფციის მნიშვნელობა ვაჩვენოთ. აუტოპოეზისური სისტემები შემდეგ ოთხ მახასიათებელს ფლობენ:

**1. აუტოპოესისური სისტემა ქმნის ბაზისურ ელემენტებს, რომლებიც თავის მხრივ შეადგენს სისტემას.** ეს შეიძლება პარადოქსალურად მოგვეჩვენოს როგორ შეუძლია სისტემას აწარმოოს თავისი საკუთარი ელემენტები, ის რისგანაც იგი შედგება. მაგალისათვის ავიღოთ თანამედროვე ეკონომიური სისტემა და მისი ბაზისური ელემენტი, ფული ჩვენ ვამბობთ იმას, რომ იგი ბაზისური ელემენტია, ვინაიდან ნივთების ღირებულება ეკონომიკურ სისტემაში შეიძლება განვსაზღვროთ ფულის მეშვეობით, მაგრამ ძალიან ძნელია ვთქვათ ის, თუ რა ღირს ფული როგორც ასეთი. ფულის მნიშვნელობა, მისი ღირებულება და გამოყენების წესები და ხერხები თვით ეკონომიკური სისტემის მიერ განისაზღვრება. ფული, იმ სახით, როგორითაც მას ჩვენ დღეს ვიცნობთ, ეკონომიკური სისტემის წარმოშობამდე არ არსებობდა. ფულის თანამედროვე ფორმა და ეკონომიკური სისტემა ერთად წარმოიშვნენ და ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. ძნელია თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ფულის გარეშე წარმოდგენა. თავის მხრივ ფული ეკონომიკური სისტემის გარეშე- ქალაქის ან მეტალის მხოლოდ ნაგლეჯია.

**2. აუტოპოეზისური სისტემები თვითორგანიზებადნი არიან ორი აზრით:** ისინი თვით ადგენენ თავიანთ საზღვრებს და ასევე ადგენენ და ორგანიზებას უწყვენ საკუთარ შინაგან სტრუქტურებს. თავის საკუთარ საზღვრებს ისინი აწარმოებენ იმით, რომ განასხვავებენ იმას, რაც შეადგენს სისტემას და იმას, რაც გარემოს შეადგენს. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა ყველაფერ იმას, რაც იშვიათ თვისებებს ფლობს და რაზეც შეიძლება ფასის დადება, ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ. ჰაერი ყველგან საკმარისზე მეტი არსებობს, ამიტომ მასზე არ დგინდება ფასი და ამიტომ იგი არ არის ეკონომიკური სისტემის ნაწილი. მაგრამ ჰაერი გარემომცველი სინამდვილის აუცილებელი ნაწილია. ის თუ რა არსებობს (იმყოფება) აუტოპოესისური სისტემის შიგნით და რა გარეთ სისტემის თვითორგანიზაციით განისაზღვრება და არა სისტემის ფუნქციონალური მოთხოვნებით, რაშიც ჩვენს დარწმუნებას სტრუქტურული ფუნქციონალისტი შეეცდებოდა.

სხვა ძალები შეიძლება აუტოპოესისური სისტემის ზომების შეზღუდვას შეეცადნონ. მაგალითად, კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემები მუდამ აფართოებდნენ თავიანთ





საზღვრებს, რათა მასში სექსუალური მომსახურეობა და აკრძალული ნარკოტიკები ჩაერთოთ. ეს ხდება თვით მაშინაც კი, როდესაც თავად პოლიტიკური სისტემა იმუშავებს კანონებს, რომლებიც მიმართულნი არიან იმაზე, რომ სექსუალური მომსახურეობა და აკრძალული ნარკოტიკები ეკონომიკურ საქონლად არ ჩაითვალოს. ნაცვლად იმისა რომ შეაკავოს მათი არსებობა ეკონომიკური სისტემის ფარგლებს გარეთ, ასეთი კანონები უფრო გავლენას ახდენენ ეკონომიკური სისტემის ფარგლებში სექსისა და აკრძალული ნარკოტიკების შესახებ. მათი არაკანონიერება ფასს მაღლა სწევს, ამგვარად ავიწროებს მომხმარებელთა წრეს. მაგრამ ეკონომიკურ სისტემაში შესყიდვათა ხელისშემშლელი მაღალი ფასებიც, აგრეთვე ხელს უწყობენ ყიდვა-გაყიდვას. თუ სექსუალური მომსახურეობისა და ნარკოტიკების გაყიდვით შესაძლებელია დიდი მოგების მოტანა, მაშინ ისინი დარჩებიან ეკონომიკურ სისტემაში. მაშასადამე, კანონები, რომლებიც რომელიმე საქონლის ეკონომიკური სისტემის გარეთ შეკავებას ცდილობენ, უბრალოდ გავლენას ახდენენ იმ ფასზე, რომელსაც მასზე სისტემა ადგენს.

თავისი საზღვრების ფარგლებში აუტოპოესისური სისტემა თავად აწარმოებს საკუთარ სტრუქტურებს. მაგალითად, ფულის არაკომერციული სახით, უნაღდოდ არსებობის გამო სტრუქტურირებულია ბაზარი, ფულის შენახვისა და სესხად გაცემის მიზნით დაწესებულია ბანკები, ჩამოყალიბდა პროცენტის ცნება და ა.შ. ეკონომიკურ სისტემას თავისი ბაზისური ელემენტის სახით, რომ არ ჰქონოდა ისეთი აბსტრაქტული და პორტატიული საგანი, როგორც ფულია, მაშინ მისი შინაგანი სტრუქტურა სავსებით სხვა იქნებოდა. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა დამყარებული, რომ ყოფილიყო საქონლის გაცვლით და არა ფულად ურთიერთობებზე, მაშინ არც ბანკები, არც პროცენტის ცნებები და ბაზარიც არ იარსებებდა, სადაც საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხდება სრულიად სხვა სახით იქნებოდა სტრუქტურირებული.

**3. აუტოპოესისურ სისტემებს აქვთ თვითრეფერენტული ხასიათი.** მაგალითად, ეკონომიკური სისტემა ფასებს იყენებს, როგორც საკუთარ თავთან მიმართების დამდგენ საშუალებას. კომპანიის აქტებისათვის საცვლელი ფულადი ღირებულების მიწერის დროს საფონდო ბაზარი დემონსტრირებას უკეთებს ასეთი თვითრეფერენტულობის მაგალითს ეკონომიკური სისტემის ფარგლებში. ფასები საფონდო ბაზარზე განისაზღვრება არა ინდივიდის, არამედ თავად ეკონომიკის მიერ. მსგავსივე სახით საკანონმდებლო სისტემას აქვს საკანონმდებლო სისტემისადმი მიმართული კანონები: ანუ კანონები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამოქმედდეს, გამოყენებული და განმარტებულ იქნეს კანონები.

**4. აუტოპოესისური სისტემა-ჩაკეტილი სისტემაა.** ეს ნიშნავს, რომ სისტემა და მის გარემოს შორის არ არის პირდაპირი კავშირი. ამის ნაცვლად სისტემას აქვს გარემოს შესახებ არსებულ წარმოდგენებთან. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა დაუშვავთ რეაგირებს ადამიანთა მატერიალურ მოთხოვნილებებსა და სურვილებზე; მაგრამ ეს მოთხოვნილებები და სურვილები ეკონომიკურ სისტემაზე გავლენას ახდენენ იმ ხარისხითა და ზომით, რა ხარისხითა და ზომითაც ისინი წარმოდგენილი იქნებიან ფულის ენაზე. მაშასადამე, ეკონომიკური სისტემა ადექვატურად მდიდარი ადამიანების



მატერიალურ მოთხოვნილებებსა და სურვილებზე, მაგრამ ძალიან სუსტად ღარიბების მოთხოვნილებებსა და სურვილებზე რეაგირებს.

მეორე მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს ისეთი ბიუროკრატიული სტრუქტურა როგორცაა შემოსავალთა შიდა სამსახური (შშს). შშს-ს არასდროს არ აქვს საქმე თავის კლიენტებთან; იგი მხოლოდ კლიენტების წარმოდგენებთან შედის ურთიერთობაში. გადასახადის გადამხდელები წარმოდგენილია ფორმებით, რომლებსაც ისინი ავსებენ და რომლებიც შემდეგ რეგისტრირდებიან. რეალური გადასახადის გადამხდელი გავლენას ახდენს ბიუროკრატიულ სტრუქტურაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც არღვევს ბიუროკრატიულ წარმოდგენებს. იმათ, მიმართ ვინც იწვევს დარღვევას( არასწორად შევსებული ფორმები, საწინააღმდეგო მონაცემების შემცველი ფორმები, ფორმები მცდარი ინფორმაციით) ხშირად ძალიან მკაცრად იქცევიან, რამდენადაც ისინი საფრთხეს უქმნიან სისტემას.

მიუხედავად იმისა, რომ აუტოპოვისისური სისტემა ჩაკეტილია და არ აქვს პირდაპირი კავშირი გარე სამყაროსთან (გარემო) გარემოს მაინც უნდა მიეცეს საშუალება დაარღვიოს სისტემის შინაგანი წარმოდგენები. ამგვარი დარღვევების გარეშე სისტემას დაანგრევდა გარეშე ძალები, ანუ დათრგუნავდა და მოახრჩობდა მას გარეშე ძალები. მაგალითად, აქციების ფასი საფონდო ბაზარზე ყოველდღიურად იცვლება და მერყეობს. კომპანიის აქციების ფასში განსხვავება ნაკლებად არის დაკავშირებული კომპანიების რეალურ ღირებულებასთან ე.ი. მის აქციებთან და მოგებებთან, მთლიანად დაკავშირებულია საფონდო ბაზრის მდგომარეობასთან. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ბაზარმა შეიძლება განიცადოს ბუმის( "ხარების" ბაზარი) პერიოდი, როდესაც ფასები აქციებზე გაცილებით მაღალია, ვიდრე ბაზარზე მყოფი კომპანიების მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა იყოს. მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აქციების ფასმა ბაზარზე მყოფი კომპანიების რეალური მდგომარეობა უნდა ასახოს, სხვაგვარად სისტემა დაინგრევა. სწორედ ეს მოხდა საფონდო ბაზრის დანგრევისას 1929 წელს. აქციების ფასს არანაირი მიმართება არ ჰქონდა მათ ნამდვილ ღირებულებასთან, და ამიტომ სისტემამ კრიზისულ მდგომარეობას მიაღწია. რათა იმოქმედოს სათანადო სახით, საფონდო ბაზარი, როგორც სისტემა ზოგჯერ მაინც წონასწორობიდან უნდა იქნეს გამოყვანილი კომპანიების რეალური მდგომარეობით, კომპანიების, რომლებიც მისი გარემოს ნაწილებია.

ჩაკეტილი სოციალური სისტემა განსხვავებულია ინდივიდებისგან, რომლებიც მის შემადგენელ ელემენტებად გვეჩვენებიან. ლუმანის მიხედვით, ასეთ სისტემებში ინდივიდი გარემოს ნაწილია. ეს ნიშნავს, თუ კვლავაც ბიუროკრატიული სტრუქტურებიდან ავიღებთ მაგალითს, რომ გარემოს ნაწილი აღმოჩნდებიან მხოლოდ კლიენტები, მაგრამ ასევე ის ადამიანებიც, რომლებიც მუშაობენ ბიუროკრატიულ სტრუქტურაში; ბიუროკრატიის თვალსაზრისით, ადამიანები, რომლებიც ბიუროკრატიულ სტრუქტურაში მუშაობენ, ხდებიან სირთულისა და გაუთვალისწინებლობის გარეგანი წყაროები. იმისათვის, რათა იყოს ჩაკეტილი სისტემა, ბიუროკრატიამაც უნდა იპოვოს წესი, რომლის მეშვეობითაც საკუთარი მუშაკების წარმოდგენასაც შეძლებს გამარტივებული სახით. ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ



ადამიანებს განვიხილავდეთ როგორც მომწიფებულ პიროვნებებს, ერთი მუშაკი გამოიყურება "მენეჯერად", მეორე "ბუღალტრად" და ა.შ. ნამდვილი ადამიანი ამ სიტყვის სრული აზრით ბიუროკრატიული სისტემაზე გავლენას ახდენს მხოლოდ იმით, რომ არღვევს მის წამოდგენებს.

## საზოგადოება და ფსიქიკური სისტემები

ლუმანი ამტკიცებს, რომ საზოგადოება აუტოპოეისისური სისტემაა. იგი აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ მახასიათებელს: საზოგადოება აწარმოებს თავის საკუთარ ბაზისურ ელემენტებს; ქმნის საკუთარ საზღვრებს და სტრუქტურებს. იგი თვითრეფერენტული და ჩაკეტილია.

საზოგადოების ბაზისური ელემენტი კომუნიკაციაა, რომელიც საზოგადოების მიერ იქმნება და იბადება. საზოგადოების წევრები მას მხოლოდ კომუნიკაციის დახმარებით მიმართავენ. ფაქტობრივად, სწორედ ამით ვართ ჩვენ დაკავებული მოცემულ მომენტში. ინდივიდი საზოგადოებას მიეკუთვნება მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი მონაწილეობს კომუნიკაციაში ან გაგებულ შეიძლება იქნას, როგორც კომუნიკაციის მონაწილე. პიროვნების ის ფარული ელემენტები, რომლებიც არასოდეს არ მონაწილეობენ კომუნიკაციაში, ვერ იქნებიან საზოგადოების ნაწილები. ამის სანაცვლოდ, ისინი შეადგენენ გარემოს ნაწილს, რომელსაც საზოგადოებაში უწესრიგობის შეტანა ძალუძს, რამდენადაც, ლუმანის კონცეფციის თანახმად, ყველაფერი, რაც არ არის კომუნიკაცია, არის საზოგადოების გარემოს ნაწილი. გარემოში შედის ადამიანის ბიოლოგიური სისტემა და თვით მისი ფსიქიკური სისტემებიც კი. ინდივიდი, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი და ინდივიდი, როგორც ცნობიერება არ არიან საზოგადოების წევრები, ისინი საზოგადოების მიმართ გარეგანი ხასიათისა არიან. აქედან საკმაოდ არაჩვეულებრივი იდეა გამომდინარეობს, რომ ინდივიდები საზოგადოების ნაწილები თუ წევრები არ არიან.

ფსიქიკური სისტემის ქვეშ ლუმანს ინდივიდუალური ცნობიერება ესმის. ფსიქიკურ სისტემას და საზოგადოებას – ყველა კომუნიკაციათა სისტემას – საერთო თვისებები აქვთ. ორივე სისტემა მნიშვნელობას ეყრდნობა. მნიშვნელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სისტემის მიერ გაკეთებულ არჩევანთან. ცალკეული მოქმედების (ან ობიექტის) მნიშვნელობა არის მისი განსხვავება სხვა შესაძლო მოქმედებისგან (ან ობიექტებისაგან). მნიშვნელობა მხოლოდ ალტერნატივასთან შეპირისპირება – დაპირისპირებისას წარმოიშობა. თუ სხვა შესაძლებლობა არ არსებობს, მაშინ არც მნიშვნელობა არსებობს. მოქმედებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ხარისხით, რა ხარისხითაც შესაძლებელ მოქმედებათა მწკრივისაგან კეთდება არჩევანი. მაგალითად, ჩვენი ტანსაცმელი ნიშნავს რაღაცას მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ შევძელით გადაგვეწყვიტა რაღაც სხვა ჩაგვეცვა.

ისეთი სისტემები, როგორც ფსიქიკური და სოციალურია, რომლებიც მნიშვნელობას ეყრდნობიან, ჩაკეტილი ხასიათის მატარებლებია, რამდენადაც: 1) მნიშვნელობა მუდამ



მიმართებაშია სხვა მნიშვნელობასთან. 2) მხოლოდ მნიშვნელობით შეიძლება მნიშვნელობის შეცვლა; და 3) მნიშვნელობა ჩვეულებრივ ბევრ მნიშვნელობას ქმნის. მნიშვნელობა თითოეული ამ სისტემის საზღვარს აყალიბებს. მაგალითად, ფსიქიკურ სისტემაში ის, რაც გააზრებული არ არის, სისტემისათვის გარეგანია და ჩვენი მოქმედების “მიზეზად” მოჩანს, მაშინ როდესაც ის, რაც გააზრებულია, არის სისტემის შიგნით ჩვენი მოქმედების “მოტივაციის” სახით. ხდომილებები ჩვენი ფსიქიკური სისტემის მიერ აღიქმება მხოლოდ მნიშვნელობის სახით. თვით ჩვენი საკუთარი სხეულიც კი – ამ მნიშვნელობათა სისტემისათვის უბრალოდ გარემოა. ჩვენი სხეულები შეიძლება ჩვენივე ფსიქიკური სისტემისათვის როგორც დაბრკოლება განვიხილოთ. სხეული ჩვენს ცნობიერებაში აღწევს და შედის მხოლოდ იმით, რომ მნიშვნელობას იძენს, ასე, მაგალითად, ფიზიკური აღზნებულობა ცნობიერებაში აღწევს ემოციის სახით. ანალოგიურად, მნიშვნელობა სოციალურ სისტემაში არის განსხვავება სისტემის საზღვრებში არსებულ კომუნიკაციებსა და გარემოდან მომდინარე დაბრკოლებებს შორის.

ფსიქიკური და სოციალური სისტემები ერთად განვითარდნენ. თითოეული მათგანი მეორისათვის აუცილებელ გარემოს წარმოადგენდა. მნიშვნელობათა ფსიქიკური სისტემის ელემენტებია კონცეპტუალური წარმოდგენები; მნიშვნელობათა სოციალური სისტემის ელემენტები კი – კომუნიკაციებია. არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ მნიშვნელობებს ფსიქიკურ სისტემაში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მნიშვნელობებს სოციალურ სისტემაში. რამდენადაც ორივე სისტემა აუტოპოესისურია, ამდენად ისინი თავიანთ მნიშვნელობებს საკუთარი პროცესებისაგან თავად ქმნიან. ფსიქიკურ სისტემაში მნიშვნელობა ცნობიერებასთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც სოციალურ სისტემაში იგი კომუნიკაციასთან არის დაკავშირებული. მნიშვნელობა სოციალურ სისტემაში არ შეიძლება ინდივიდუალურ განზრახვებს მივაწეროთ, იგი ასევე არ არის სოციალური სისტემის ცალკეული ელემენტების თვისება – იგი ელემენტთა მთელი რიგისაგან გაკეთებულ არჩევანს მიეწერება. იმის მნიშვნელობა, რაც გადაიცემა, წარმოიქმნება მისი იმ განსხვავებისგან, რაც შეიძლება გადაცემული ყოფილიყო. მაგალითად, გამოთქმები “გამარჯობა”, “როგორაა საქმე?”, “როგორ ცხოვრობთ?”, “დილა მშვიდობისა”, “სალამი”, შეიძლება ერთი და იმავე განზრახვიდან წარმოიქმნენ, სახელდობრ: მიესალმეთ ვინმეს, მაგრამ თუ თქვენი მეგობარი წარმოთქვამს “დილა მშვიდობისა”, მაშინ როდესაც იგი ჩვეულებრივ ამბობდა “სალამი”, გადაიცემა განსაზღვრული მნიშვნელობა. მნიშვნელობას არაა აუცილებელი განზრახული ხასიათი ქონდეს ან გარკვეულ სიტყვებთან იყოს დაკავშირებული. იგი წარმოიქმნება ამ განსაზღვრული სიტყვების არჩევნისაგან იმ სიტყვებთან შედარებით, რომლებიც ასევე შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო. მნიშვნელობა სიტყვათა სავარაუდო თუ შესაძლო არჩევანისაგან წარმოიქმნება.

### ორმაგი შესაძლებლობა

კომუნიკაციებზე დაფუძნებული სოციალური სისტემა ქმნის სოციალურ სისტემებს, რათა გადაჭრას პრობლემები, რომლებსაც ლუმაწი ორმაგი შესაძლებლობის პრობლემას უწოდებს. [შენიშვნა. პარსონსმაც აგრეთვე განიხილა ორმაგი შესაძლებლობის პრობლემა,



მაგრამ მან მისი გადაჭრა არსებული ღირებულებითი კონსენსუსით შეზღუდა. ლუმანი კი ახალი ღირებულებითი კონსენსუსის შექმნის შესაძლებლობას დასაშვებად მიიჩნევს.] ორმაგი შესაძლებლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოველ შეტყობინებასთან მიმართებაში უნდა გავითვალისწინოთ ის, როგორადაც, როგორი წესით ხდება მისი მიღება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მიღების წესი დამოკიდებული იქნება მიმღების მიერ გამგზავნის შეფასებაზე. ყოველივე ეს ქმნის ჩაკეტილ წრეს: მიმღები დამოკიდებულია გამგზავნზე, ხოლო გამგზავნი მიმღებზე. მაგალითად, პროფესორმა გადაწყვიტა რა მიესალმოს სტუდენტს; შეიძლება გამოიყენოს არაფორმალური “სალამი”, თუ მიიჩნევს, რომ ეს უფრო მეგობრულ რაიმედ მოეჩვენებათ (გამგზავნი ყურადღებაში იღებს მიმღებს), მაგრამ თუ სტუდენტი რომელსაც პროფესორი ესალმება, ფიქრობს, რომ პროფესორი მას ზევიდან ელაპარაკება, მაშინ იგი ამგვარ მისალმებას მეგობრულ ჟესტად ვერ ჩათვლის (მიმღები მხედველობაში იღებს გამგზავნს). რაც უფრო ნაკლებადაა ცნობილი ერთმანეთის მოლოდინებზე, მით უფრო სერიოზულია ორმაგი შესაძლებლობის პრობლემა.

საბედნიეროდ, სოციალური სტრუქტურების წყალობით ჩვენ მუდამ საკმარისად ვიცით სხვების მოლოდინებზე. ზემოთ მოყვანილ მაგალითში კომუნიკაციის მონაწილეებად პროფესორი და სტუდენტი გამოდის. ვემყარებით რა სწორედ ამ ინფორმაციას, ჩვენ ველოდებით განსაზღვრული ტიპის ურთიერთობებს, რომლებიც ინსტიტუციონალურ წესებს და ტრადიციებს შეესაბამება. ჩვენ გვექნება სხვა მოლოდინები, თუ ჩვენ გვეცოდინება კომუნიკაციაში მონაწილეთა სქესი, ეროვნება, ასაკი, ჩაცმულობა და ა.შ. ამ მოლოდინების ძალით, ადამიანური ურთიერთობების ინტერპრეტაციისათვის ჩნდებიან ნორმები და როლური მოლოდინები. ადამიანები ან შეესაბამებიან როლურ მოლოდინებს და ნორმებს ან არა. თუ ჩვენ მოვიპოვებთ ჩვენი მოლოდინების შეუსაბამო მაგალითებს, მაშინ ჩვენი მოლოდინები შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ საზოგადოებას არ ძალუძს ამ მოლოდინების გარეშე ფონს გასვლა ორმაგი შესაძლებლობის პრობლემისა გამო.

რამდენადაც თითოეული ჩვენთაგანი ნორმების განსხვავებულ ერთობლიობასა თუ ნაკრებს ფლობს, ამდენად აუცილებელი ხდება კომუნიკაცია, ხოლო რამდენადაც კომუნიკაციის სფეროში არსებობს ორმაგი შესაძლებლობის პრობლემა, ამდენად ჩვენ ვიმუშავებთ ნორმების ნაკრებს. ეს გვიჩვენებს საზოგადოების, როგორც აუტოპოესისური სისტემის ფუნქციონირებას: საზოგადოების სტრუქტურა (როლები, ინსტიტუციური და ტრადიციული ნორმები) ქმნის საზოგადოების ელემენტებს (კომუნიკაცია) და ეს ელემენტები კი ქმნიან სტრუქტურას. ამგვარად, სისტემა, როგორც ყველა თვითმარმოებელ სისტემებში ხდება, თავად აწარმოებს თავის საკუთარ ელემენტებს.

ორმაგი შესაძლებლობის მიზეზით ნებისმიერი მოცემული კომუნიკაცია, არააუცილებელია. პირველი, შეუძლებელი და დაუჯერებელია, რომ ჩვენ შეიძლება გაგვიჩნდეს რაღაც, რისი შეტყობინებაც ჩვენ მოგვინდება ვაცნობოთ კონკრეტულ ადამიანს. მეორე, რადგან შეტყობინება შეიძლება გადაიცეს სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით, ამდენად დაუჯერებელი და თითქმის შეუძლებელია, რომ ჩვენ მისთვის შევიმუშაოთ რომელიღაც კონკრეტული წესი. მესამე, შეუძლებელი და ნაკლებ



სარწმუნო ადამიანი, რომელსაც ჩვენ მივმართავთ, სწორად გაგვიგებს. სოციალური სტრუქტურები გაჩნდნენ იმიტომ, რათა შეუძლებელი და არასარწმუნო კომუნიკაციები შესაძლებელი და უფრო სარწმუნო კომუნიკაციებდ ექციათ. მაგალითად, უთხრა განსაზღვრულ ადამიანს ნებისმიერ განსაზღვრულ დროს “გამარჯობა” – არასარწმუნო და შეუძლებელი ნივთია, მაგრამ სოციალური სტრუქტურები მისაღმებას მისაღებ რაიმედ აქცევენ კონკრეტულ გარემოებებში, ისინი ადამიანისადმი მისაღმების მიღებული და აღიარებული წესების შეზღუდულ რაოდენობას გვამღევენ და ასევე გვამღევენ იმის გარანტიას, რომ ადრესატი გაიგებს მისაღმებას დაახლოებით ისე, როგორც ამას გამგზავნი გულისხმობს.

“შეუძლებლობა – დაუჯერებლობანი”, რომლებსაც ჩვენ აქამდე განვიხილავდით, მხოლოდ ურთიერთქმედებებს ეხებოდა, მაგრამ საზოგადოება ეს რაღაც მეტია, ვიდრე დამოუკიდებელ ურთიერთქმედებათა უბრალო ერთობლიობა. ურთიერთქმედებები (ინტერაქციები) იმდენხანს გრძელდებიან და არსებობენ, რამდენიც მასში მონაწილე ადამიანია, მაგრამ საზოგადოების თვალსაზრისით ურთიერთქმედება (ინტერაქცია) მუდმივი და შეუწყვეტელი სოციალური პროცესების ეპიზოდებია. ყოველი სოციალური სისტემა ეჯახება პრობლემას: იგი არსებობს წყვეტს, თუ არ არსებობს მომავალი კომუნიკაციების გარანტიები, ე.ი. თუ არ არსებობს წინამავალი კომუნიკაციების მომავალ კომუნიკაციებთან შეერთების შესაძლებლობები. იმისთვის, რათა თავიდან ავიცილებულ იქნას კომუნიკაციების ნგრევა, შემუშავებული უნდა იქნეს სტრუქტურები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უფრო ადრინდელი კომუნიკაციები მომდევნო კომუნიკაციებს დავუკავშიროთ. ერთ კომუნიკაციაში გაკეთებული არჩევანი წინანდელ კომუნიკაციებში გაკეთებული არჩევანითაა შეზღუდული და ასევე ახლანდელი კომუნიკაცია ზღუდავს მომავალ კომუნიკაციებს. ეს კომუნიკაციის პროცესის “შეუძლებლობა – დაუჯერებლობად” გადაქცევის კიდევ ერთი წესი და საშუალებაა. სწორედ ორმაგი შესაძლებლობის გადალახვის და შეუძლებელი – დაუჯერებელი კომუნიკაციის უფრო შესაძლებელ და სარწმუნო კომუნიკაციად გადაქცევის ეს აუცილებლობა არეგულირებს სოციალური სისტემის ევოლუციას.

### სოციალური სისტემების ევოლუცია

უხეშად, რომ ვთქვათ ევოლუცია გასინჯვისა და შეცდომების პროცესია. ევოლუცია არ არის ტელეოლოგიური ხასიათის. მისი შედეგები წინასწარ არ არის განსაზღვრული რაღაც მიზნით. ერთ–ერთი ვარაუდი გვაუწყებს, რომ ლუმანის თეორიაში პროგრესის იდეას აზრი არ აქვს. ეს განასხვავებს მას თანამედროვე საზოგადოებაში ევოლუციური უნივერსალების შესახებ გამოთქმული პარსონსისეული იდეებისგან. სოციალური და სოციეტალური განვითარების აუცილებელი გზის არსებობის დაშვება არის ტელეოლოგიური არგუმენტი, რომელიც უგულუბელყოფს იმ ფაქტს, რომ მოცემული საკითხის გადაჭრის მრავალი წესი თუ ხერხი არსებობს.

მაღალ და საერთო დონეზე, ევოლუცია “არასარწმუნო – შეუძლებლის” უფრო დამაჯერებელ და სარწმუნო – შესაძლებელ რაიმედ აქცევს. მაგალითად, სულ მცირედ



სარწმუნო და შესაძლებელია, რათა ბიოლოგიური მუტაციების შემთხვევითმა თავმოყრამ წარმოქმნას ადამიანის მსგავსი ცხოველი. ბუნებრივი შერჩევა და მდგრადი თვისებების გადაცემის მემკვიდრეობითობა უფრო დამაჯერებელსა და სარწმუნოს ხდის, რომ ადამიანის მსგავსი მაიმუნი უფრო ადამიანის მსგავს და არა კალმახის მსგავს არსებად გადაიქცევა.

მკაცრად, რომ ვთქვათ, ევოლუცია პროცესი კი არა პროცესთა თავმოყრა და ნაკრებია, რომლებიც შეიძლება როგორც სამი ფუნქციის: კვლავწარმოებულ თვისებათა ვარიაციის, შერჩევისა და სტაბილიზაციის შემსრულებელი რამ აღვწერთ. ეს ფუნქციები ევოლუციის მოქმედების კონკრეტულ მექანიზმებს წარმოადგენს; ვარიაცია – ესაა სინჯისა და შეცდომების პროცესი. თუ სისტემა არასტანდარტულ პრობლემას ეჯახება. მაშინ შეიძლება მივიღოთ განსხვავებული გადაწყვეტილებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გაუმკლავდეთ გარეგან შეზღუდვებს და დაბრკოლებებს. ამ გადაწყვეტილებებიდან ზოგიერთი ეფექტური იქნება, ზოგიერთი კი არა. შერჩევა; განსაზღვრული გადაწყვეტილების შერჩევა არ ნიშნავს იმას, რომ “საუკეთესო” გადაწყვეტილება იქნა არჩეული. შესაძლოა, განსაზღვრული გადაწყვეტილება ყველაზე ადვილად დასტაბილიზირებადი აღმოჩნდეს, სხვა სიტყვებით, შესაძლოა ყველაზე ადვილად იქნას კვლავწარმოებული როგორც მყარი და მუდმივი სტრუქტურა. სოციალურ სისტემაში ეს სტაბილიზაცია ჩვეულებრივ მოიცავს დიფერენციაციის ახალ წესს, რომელიც ახალი გადაწყვეტილებისადმი სისტემის ყველა ელემენტის შეგუებასა და შეთანადებას მოითხოვს. ევოლუციის პროცესი დროებით მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც სტაბილიზაციის ფაზა დასრულდება.

ავიღოთ მაგალითი ეკონომიკის სფეროდან. პრობლემა, რომელსაც ეკონომიკური სისტემები წააწყდნენ ისაა, როგორ გაუცვალონ საქონელი სამართლიანად სხვა ეკონომიკურ სისტემას, სხვა სიტყვებით, როგორ შეუძლია დოლარის გამომყენებელ ეკონომიკებს საქონელი გაუცვალონ იენის საფუძველზე მომუშავე ეკონომიკას? შემუშავებული იქნა მრავალგვარი გადაწყვეტილებები (ევოლუციური ვარიაცია). ზოგიერთი ადრეული სისტემები უპირატესობას “უსასყიდლო” გაცვლას ანიჭებენ, რომელიც გასაცვლელი საქონლის ზუსტ ტოლობაზე ზრუნვას გამორიცხავს. სხვებმა კი, იმისათვის რათა დაერეგულირებინათ ურთიერთგაცვლა, გამოიყენეს ისეთი ლიკვიდური საქონელი, როგორცაა ოქრო. ამ ორივე ვარიანტის გლობალური მამტაბით კვლავწარმოება ძალიან ძნელი აღმოჩნდა. რაც შეეხება პირველ გადაწყვეტილებას, შესაძლებელი ხდება მხოლოდ საჩუქრების გაცვლა, რაც შეეხება მეორეს მაშინ ისეთი საქონლის ღირებულება როგორც ოქროა, არ აღმოჩნდა მუდმივი და უცვლელი, რამდენადაც დროის ნებისმიერ მომენტში, ხელმისაწვდომია მისი მეტი ან ნაკლები რაოდენობა. იმის ნაცვლად, უფრო კვლავწარმოებად ფორმად ახალი სტრუქტურის, სავალუტო ბაზრის შექმნა იქცა, რომელიც გლობალურ დონეზე ფუნქციონირებს და საშუალებას აძლევს ვალუტათა საცვლელ კურსებს თავისუფლად მერყეობდნენ (ევოლუციური შერჩევა). ეს შეიძლება არც კი იყო საუკეთესო გადაწყვეტილება, რამდენადაც ბაზარზე გავლენას ახდენს სერიოზული ფლუქტუაციები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს სპეკულანტების მიერ, როგორც ეს კარგად ჩანს 1998 წლის



“აზიური” ფინანსური კრიზისის მაგალითზე. მაგრამ ესაა ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც გლობალური მასშტაბითაა კვლავწარმოებადი (ევოლუციური სტაბილიზაცია). რასაკვირველია, სწორედ ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სხვა გადაწყვეტილებები გაქრნენ. სახელმწიფო დღესაც აწარმოებს უსასყიდლო გაცვლებს და გასცემს საჩუქრებს, განსაკუთრებით სახელმწიფოს მეთაური დიპლომატების მეშვეობით და მრავალი ქვეყანა ცდილობს თავისი ვალუტის საცვლელი ღირებულებების დადგენა ისეთ საქონელს მიაბას, როგორც ოქროა, ანდა სხვა ვალუტასაც კი, მაგალითად აშშ – ს დოლარს.

## დიფერენციაცია

ლუმანის სისტემათა თეორიის თვალსაზრისით, თანამედროვე საზოგადოების ძირითადი თვისება – სისტემური დიფერენციაციის, როგორც მისი გარემოს სირთულესთან ურთიერთქმედების წესისა თუ საშუალების, მზარდი პროცესია. დიფერენციაცია ეს არის “სისტემასა და მის გარემოს შორის განსხვავებების სისტემის საზღვრებში რეპლიკაცია”. ეს ნიშნავს, რომ დიფერენცირებულ სისტემაში ორი სახის გარემო არსებობს: ერთი, რომელიც საერთოა ყველა ქვესისტემისათვის, და მეორე, პირველისაგან განსხვავებული ყველა ქვესისტემის შინაგანი გარემო. მაგალითად, ისეთი ფირმა, როგორცაა ავტომობილების მწარმოებელი “ფორდი”, სხვა მწარმოებლებს, მაგალითად “ჯენერალ მოტორს”, “დაიმლერ კრაისლერს”, როგორც თავისი გარემოს ნაწილს ისე განიხილავს. საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება (ქვესისტემა) ფირმა “ფორდში” ასევე “ჯენერალ მოტორსში” და “კრაისლერში” თავისი გარემოს ნაწილს ხედავს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება ფირმა “ფორდის” ჩარჩოებში არსებულ სხვა ქვესისტემებს (მაგალითად, პერსონალის მმართვეის განყოფილება (ქვესისტემას) განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების ქვესისტემის მიმართ როგორც გარეგანს და შესაბამისად მისი გარემოს ელემენტად. სხვა ქვესისტემებს, ისეთი როგორცაა პერსონალის მართვის განყოფილება, მთლიანად ორგანიზებული სისტემის მიმართ შინაგანი ხასიათი აქვს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის ქვესისტემის გარეგან გარემოში შედიან, მაშასადამე, შინაგან გარემოში შედიან, რა თქმა უნდა გათვალისწინებულია სხვა ქვესისტემებთან ურთიერთობა, ის და სხვა ქვესისტემები ხომ ერთი მთლიანი ორგანიზაციული სისტემის შემადგენელი ქვესისტემებია. ანალოგიურად, პერსონალის მართვის ქვესისტემა სხვა მწარმოებლებს განიხილავს, როგორც გარე გარემოს ნაწილს, მაგრამ, გარდა ამისა, სხვა ქვესისტემებს (ამ შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობების ქვესისტემების ჩათვლით) განიხილავს როგორც თავისი გარემოცვის (შიდა გარემოს) ნაწილს. მაშასადამე, თითოეული ქვესისტემა სისტემის შიდა გარემოს განსხვავებულ ხედვას ფლობს. ეს უკიდურესად რთულ და დინამიურ შიდა გარემოს ქმნის.

დიფერენციაცია სისტემაში არის გარე გარემოში მომხდარ ცვლილებებზე ზემოქმედების წესი. როგორც დავინახეთ, ყოველმა სისტემამ უნდა შეინარჩუნოს თავისი საზღვრები გარე გარემოსთან, სხვაგვარად მას გარე გარემოს სირთულე უბრალოდ ჩაყლაპავს, იგი





დაინგრევა და არსებობას შეწყვეტს. იმისათვის რათა გადარჩეს, ანუ იარსებოს სისტემას უნდა გააჩნდეს გარემოდან მომდინარე ცვლილებებისასდმი გამკლავების უნარი. მაგალითად, კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი მსხვილი ორგანიზაცია როგორც სისტემა ნელა ეგუება გარეგან გარემოში მომხდარ ცვლილებებს. (მაგალითად, კონკრეტულ საზოგადოებრივ მოთხოვნებს, პოლიტიკურ ცვლილებებს, ან ისეთ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, როგორცაა პერსონალური კომპიუტერების ხელმისაწვდომობა). თუმცა არც ორგანიზაციები დგანან ერთ ადგილზე; ისინი ვითარდებიან, ზადებენ რა შიდასისტემურ დიფერენციაციებს ე.ი. გარეგანი ცვლილებები ორგანიზაციის სტრუქტურაში იქნება “ტრანსლირებული”. მაგალითად, შეიძლება გამოგვადგეს ავტომობილის მწარმოებელთა მიერ ახალი განყოფილების შექმნა იმისათვის, რათა მან შეისწავლოს კვლავ შექმნილი სიტუაცია, მაგალითად, იმის დასადგენად თუ როგორაა სამუშაო ადგილები პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილი. დაქირავებული იქნება ახალი მუშაკები, მათ შეასწავლიან ახალ ტექნოლოგიებს და კომპიუტერებთან მუშაობას, არჩეული იქნება მენეჯერი და ა.შ.

დიფერენციაციის პროცესი წარმოადგენს სისტემის სირთულის ამალღების საშუალებას, რამდენადაც ყოველ ქვესისტემას სხვა ქვესისტემებთან სხვადასხვა კავშირების გაბმა შეუძლია. ეს დიდ შიდასისტემურ მრავალსახეობას გულისხმობს რათა გარემოს მრავალგვარობასა და მრავალფეროვნებაზე ეფექტური რეაგირება შეძლოს. ზემოთმოყვანილ მაგალითში, ახალი განყოფილება, როგორც ბიუროკრატიული სისტემის ნებისმიერი სხვა განყოფილება, სხვა ქვესისტემებისათვის აღმოჩნდება გარე გარემო, მაგრამ ამავე დროს ახალი განყოფილება ამალღებს ორგანიზაციის სირთულეს, რამდენადაც განყოფილებებს შორის ახალი და დამატებითი ურთიერთობების შესაძლებლობა ჩნდება. ახალი განყოფილება, რომელიც კომპიუტერების მომსახურებისათვის შეიქმნა, უფრო კარგ რეაგირებას მოახდენს კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მომხდარ შემდგომ ცვლილებებზე და დაემხმარება მთელ ორგანიზაციას ამ ახალი შესაძლებლობის გამოყენებაში. გარდა ამისა, მას შეუძლია ხელი შეუწყოს არსებულ განყოფილებებს შორის ახალი კავშირების დამყარებას და მაგალითად, ცენტრალიზება გაუკეთოს საერთო ბუღალტერიას ან გამყიდველებს მისცეს საშუალება პირდაპირ საწყობიდან აიღონ გასაყიდი საქონელი.

დიფერენციაციის მეშვეობით გამოწვეული დიდი მრავალფეროვნება გარე გარემოზე არა მხოლოდ საუკეთესო რეაქციას გულისხმობს, არამედ უფრო სწრაფ ევოლუციასაც ითვალისწინებს. ჩვენ გვახსოვს, რომ ევოლუცია მრავალსახეობიდან (კომპლექსურობისაგან) არჩევანის გაკეთების პროცესია. რაც უფრო მეტად და დიდად ხელმისაწვდომია მრავალგვარობა (კომპლექსურობა), მით უფრო საუკეთესოა არჩევანიც. მიუხედავად ამისა, ლუმანი ამტკიცებს, რომ ევოლუციის პროცესში შინაგანი დიფერენციაციის მხოლოდ რამდენიმე ფორმა გამოვლინდა. ამ ფორმებს იგი: სემენტარულ, სტრატეგიკაციულ, ცენტრალურ – პერიფერიულსა და ფუნქციონალურ დიფერენციაციის სახელებს უწოდებს. დიფერენციაციის ეს სახეები ამალღებენ სისტემის სირთულეს სისტემის ფარგლებში სისტემასა და გარე გარემოს შორის დიფერენციაციების კვლავწარმოების გზით. მათი ევოლუციური პოტენციალის



თვალსაზრისით დიფერენციაციის ეს ფორმები ვარიაციულობის წარმოების განსხვავებულ უნარებს ფლობენ და მამასადამე, ევოლუციური პროცესების დიდ არჩევითობასა თუ შერჩევითობას უზრუნველყოფენ. ამიტომ დიფერენციაციის უფრო რთული ფორმები სისტემის ევოლუციის დაჩქარების პოტენციალს ფლობენ.

### სეგმენტარული დიფერენციაცია

სეგმენტური დიფერენციაცია სისტემის ელემენტებს ყოფს ერთიდაიგივე ფუნქციების კვლავ და კვლავ ანუ ხელახლა შესრულების აუცილებლობის საფუძველზე. მაგალითად, ავტომობილების ხსენებული მწარმოებლების გვერდით არსებობენ მსგავსი ფაბრიკები მანქანების წარმოების მიზნით მრავალ განსხვავებულ ადგილებში. ყოველი ადგილი მსგავსი წესითაა ორგანიზებული; თითოეულს აქვს ერთიდაიგივე სტრუქტურა და იგივე ფუნქციას ასრულებენ – აწარმოებენ მანქანებს.

### სტრატეგიკაციული დიფერენციაცია

სტრატეგიკაციული დიფერენციაცია არის ვერტიკალური დიფერენციაცია, იერარქიულად გაგებულ სისტემაში დონის ან სტატუსის შესატყვისად თუ შესაბამისად. ყოველი, თითოეული დონე სპეციფიკურ ფუნქციას ასრულებს სისტემაში. საავტომობილო ფირმაში განსხვავებულ დონეებს ვპოულობთ. მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობების ახალი განყოფილების მენეჯერი ამ განყოფილების იერარქიაში უმაღლეს დონეს იკავებს. მენეჯერი მოცემული განყოფილების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ძალაუფლების გამოყენების ფუნქციას ასრულებს. გარდა ამისა, განყოფილებაში უფრო დაბალი რანგის მუშაკებიც არსებობენ, რომლებიც მრავალ განსხვავებულ კონკრეტულ ფუნქციებს ასრულებენ (მაგალითად, დოკუმენტების ელექტრონული დამუშავება). გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების მენეჯერს პოზიცია უჭირავს ავტომობილის მწარმოებელი ფირმის სტრატეგიკაციულ სისტემაში. ამგვარად, კომპანიის პრეზიდენტს უფრო მაღალი რანგის თანამდებობა უკავია, ვიდრე საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების მენეჯერს და მას სრული უფლება აქვს ბრძანებები მისცეს ამ უკანასკნელს.

სეგმენტარულ დიფერენციაციაში განსხვავება გარემოში მომხდარი შემთხვევითი ცვლილებებისაგან მომდინარეობს (მაგალითად, ერთ გეოგრაფიულ სფეროში უფრო მეტი მანქანა იყიდება, ვიდრე მეორეში), მაგრამ არავითარ საყოველთაო ფუნქციას იგი არ ასრულებს. სტრატეგიკაციულ დიფერენციაციაში განსხვავება სისტემისათვის არსებით ხასიათს ატარებს. უფრო ზუსტად, ჩვენ ვხედავთ მსგავსისას და განსხვავებულის ურთიერთქმედებას. ყველა თანამშრომელი, არსებითად, თანასწორია, მაშინ როდესაც განსხვავებული რანგები უთანასწორობით გამოირჩევიან. უფრო მაღალი პოზიციები (მაგალითად, განყოფილების მენეჯერები) უფრო მეტ რესურსებს ფლობენ და დიდი შესაძლებლობა აქვთ გავლენიანი კომუნიკაციების მონაწილენი გახდნენ. მამასადამე, სტრატეგიკაციული სისტემა მაღალი თანამდებობების დამკარგველთა კეთილდღეობაზე უფრო მეტად ზრუნავს, ხოლო დაბალ დონეებზე, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ იწუხებს თავს, როდესაც ისინი საფრთხეს უქმნიან მაღალ დონეებს.



თუმცა ორივე დონე ერთმანეთზეა დამოკიდებული და სოციალური სისტემას მხოლოდ მაშინ შეუძლია გადარჩეს, თუკი ყველა პოზიციები, დაბლის ჩათვლით, წარმატებით ასრულებენ თავის ფუნქციებს.

დაბალი პოზიციების მნიშვნელობა და ამავე დროს გავლენიან კომუნიკაციებში მონაწილედ გახდომის სიძნელეები ბადებენ სტრუქტურულ პრობლემას, რომელიც სისტემის სირთულეს ზღუდავს. როდესაც სისტემის ხელმძღვანელები ძალიან სცილდებიან და გამოიყოფიან დაბალი კლასებისაგან, სისტემა დაშლის ტენდენციას იძენს, რამდენადაც დაბალი კლასების მნიშვნელოვანი ფუნქციები სათანადო წესით აღარ სრულდებიან. რათა ჰქონდეთ გავლენა სისტემაზე, დაბალმა დონეებმა კონფლიქტს უნდა მიმართონ.

### ცენტრალურ – პერიფერიული დიფერენციაცია

დიფერენციაციის მესამე სახე – დიფერენციაცია ცენტრსა და პერიფერიას შორის სეგმენტარულ და სტრატეგიკაციულ დიფერენციაციებს აერთიანებს. მაგალითად, ზოგიერთმა საავტომობილო ფირმამ სხვა ქვეყნებში ააგეს ფაბრიკები; მიუხედავად ამისა კომპანიის მთავარი ოფისი რჩება ცენტრად, რომელიც მართავს და გარკვეული ხარისხით აკონტროლებს ფაბრიკებს პერიფერიებში. [შენიშვნა. ზოგიერთ მოაზროვნეს მიაჩნია, რომ ეს დაყოფა არ შეესაბამება ლუმანის ზოგად პრინციპს. დიფერენციაცია ცენტრსა და პერიფერიას შორის არ ეხება სოციალურ სისტემას მთლიანობაში. ზემოთმოყვანლ მაგალითში იგი უფრო ფუნქციების დიფერენციაციას ეხება სამრეწველო სისტემის ფარგლებში. ამგვარად, იგი ეხება სპეციფიკურ სისტემას სოციალური სისტემის ჩარჩოებში და არ ეხება მთლიანად სოციალურ სისტემას.]

### ფუნქციონალურ სისტემათა დიფერენციაცია

ფუნქციონალური დიფერენციაცია დიფერენციაციის ყველაზე რთულ ფორმას წარმოადგენს. ეს ფორმა ჭარბობს თანამედროვე საზოგადოებებში. თითოეული ფუნქცია სისტემაში მიწერილი აქვს ცალკეულ ელემენტს. მაგალითად, ავტომობილის მწარმოებელ ფირმას აქვს ფუნქციონალურად დიფერენცირებული განყოფილებები, ისეთები როგორებიცაა საწარმოო და ადმინისტრაციული განყოფილებები, ბუღალტერია, საგემო განყოფილება და პერსონალის მართვის განყოფილება.

ფუნქციონალური დიფერენციაცია უფრო მოქნილია, ვიდრე სტრატეგიკაციული, მაგრამ თუ სისტემებისგან ერთერთი ვერ ასრულებს ამოცანას, მაშინ მთელ სისტემას ძალიან უჭირს არსებობა და ფუნქციონირება. შენიშვნა [აქ განხილული სისტემებისგან უმრავლესობა შეიძლება აგრეთვე მსოფლიო სოციალური სისტემის ქვესისტემებად იქნეს წოდებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინ “სისტემას” და არა “ქვესისტემას”, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუცილებელია განსხვავების



გატარება ქვესისტემასა და ყოვლისმომცველ სისტემას შორის, რომელიც ამ ქვესისტემას შეიცავს.] მიუხედავად ამისა, როდესაც თითოეული ელემენტი თავის ფუნქციებს ასრულებს, განსხვავებულ ელემენტებს ძალუძთ დამოუკიდებლობის დიდ ხარისხს მიაღწიონ. ფაქტობრივად, ფუნქციონალურად დიფერენცირებული სისტემები ურთიერთდამოკიდებლობისა და დამოუკიდებლობის რთულ ერთობლიობას წარმოადგენენ. მაგალითად, როდესაც საგეგმო განყოფილება დამოკიდებულია ბუღალტერიაზე ეკონომიკური მონაცემების სფეროში, მაშინ, სანამ ციფრები ზუსტია, საგეგმო განყოფილებას შეუძლია იმყოფებოდეს ნეტარ უცოდინრობაში და წარმოდგენა არ ჰქონდეს იმის შესახებ, თუ სწორედ ბუღალტრებმა როგორ მიიღეს ეს მონაცემები.

ეს მიუთითებს დიფერენციაციის ფორმებს შორის დამატებით განსხვავებაზე. სეგმენტარული დიფერენციაციის დროს, თუ სეგმენტს არ შეუძლია თავისი ფუნქციის შესრულება (მაგალითად, ერთერთი ფაბრიკა ვერ აწარმოებს მანქანებს მუშაკების გაფიცვის გამო) ეს საფრთხეს არ უქმნის სისტემას. დიფერენციაციის უფრო რთული ფორმების შემთხვევაში, როგორცაა ფუნქციონალური დიფერენციაცია, ეს უუნარობა სოციალური სისტემისათვის ქმნის სიძნელეებს, რომლებსაც შეუძლია მთელი სისტემის დანგრევაც კი გამოიწვიონ. ამგვარად, გართულება, ერთის მხრივ, აძლიერებს სისტემის გარემოსთან ურთიერთქმედების უნარს. მეორე მხრივ, სირთულე ამადლებს სისტემის დანგრევის რისკს, თუ ფუნქცია სათანადო სახით არ სრულდება.

უმეტეს შემთხვევებში ამადლებული მოწყვლადობა (სუსტი ადგილი) – ესაა იმის აუცილებელი ფასი, რომელიც უნდა გადაიხადოს სხვადასხვა ქვესისტემებს შორის შესაძლო ურთიერთობის რაოდენობის გაზრდისათვის. შესაძლო ურთიერთობების რაოდენობის გაზრდა ქვესისტემებს შორის ნიშნავს მეტი რაოდენობის ვარიანტებს გამოყენებულს გარემოში მოხდარ ცვლილებებზე სტრუქტურული რეაქციების შესარჩევად. სეგმენტარულ სისტემაში განსხვავებულ ქვესისტემებს შორის დამოკიდებულებები არ არიან სტრუქტურულად განსხვავებულნი. მაგალითად, ორი ფაბრიკის ერთმანეთთან დამოკიდებულება არსებითად ერთნაირია. სტრატეგიცირებულ სისტემაში პოზიციებს შორის დამოკიდებულება თავის არსით ერთი დონის საზღვრებში არსებულ ურთიერთობებისაგან განსხვავდება. მაგალითად, დამოკიდებულება თავის სათაო ოფისთან სხვა ფაბრიკასთან მისი დამოკიდებულებისაგან განსხვავდება. ფუნქციონალურად დიფერენცირებულ სისტემებში განსხვავებულ ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა რაოდენობა ფართოვდება. ბუღალტერიისა და საწარმოო განყოფილების ერთმანეთთან დამოკიდებულება განსხვავდება ბუღალტერიასა და კვლევით განყოფილებას შორის ურთიერთობებისაგან. ფუნქციონალური დიფერენციაცია ავტომობილის მწარმოებელ ფირმას დიდ მოქნილობას აძლევს. ამგვარად, მაგალითად, ისეთ გარემოში, სადაც ტექნიკური მიღწევები ეკონომიკური უპირატესობების შესაძლებლობებს უზრუნველყოფენ, კომპანიას შეიძლება კვლევითი განყოფილება ხელმძღვანელობდეს, ხოლო იმ გარემოში, სადაც ეკონომიკური უპირატესობები იგივე საქონლის წარმოების დახმარებით, ოღონდ ნაკლები დანაკარგებით მიიღწევა, კომპანიას შეიძლება ბუღალტერია მართავდეს.



საჭიროა შევნიშნოთ, რომ დიფერენციაციის უფრო რთული ფორმები არ გამორიცხავენ ნაკლები სირთულის მქონე ფორმებს, და ფაქტობრივად, შეიძლება საჭიროებდნენ კიდევ ნაკლებ რთულ ფორმებს. მაგალითად, ავტომობილების მწარმოებელი ფირმა სტრატეგიფიცირებულია, მაგრამ ამავე დროს იგი მოიცავს ცალკეულ ფაბრიკებს, რომლებიც დიფერენციაციის სეგმენტარულ ფორმებს წარმოადგენენ. ეს მნიშვნელოვანია, რამდენადაც ჩვენ ჩვეულებრივ ვლაპარაკობთ ფუნქციონალურად დიფერენცირებულ სისტემებზე თანამედროვე საზოგადოებაში, რათა დიფერენციაციის უპირატესი და ძირითადი ტიპი აღვწეროთ, მიუხედავად ამისა, სხვა ფორმები არსებობას აგრძელებენ.

## კოდი

**კოდი – ესაა სისტემის ელემენტების გამორჩევისა და გამოცალკავების წესი.** იგი სისტემის ელემენტებს გამოყოფს იმ ელემენტებისაგან, რომლებიც მოცემულ სისტემას არ მიეკუთვნებიან. კოდი ფუნქციონალური სისტემის ძირითად “ენას” წარმოადგენს. მაგალითად, მეცნიერების სისტემაში კოდი – ჭეშმარიტებაა (შეცდომასთან შედარებით). ეკონომიკურ სისტემაში ესაა – ფული (ვალთან შედარებით). სამართლის სისტემისათვის ესაა – კანონიერება (უკანონობასთან შედარებით). გარკვეული კოდის გამომყენებელი ყოველი კომუნიკაცია იმ სისტემის ნაწილი ხდება, რომლის კოდური ნიშანიც გამოიყენება.

კოდი შესაძლებელი კომუნიკაციების წესების (ხერხების) შესაზღუდად გამოიყენება. ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც კოდს არ იყენებს, არ მიეკუთვნება გასახილველ კომუნიკაციას სისტემას. ამგვარად, მეცნიერების სისტემის საზღვრებში ჩვენ ჩვეულებრივ ვპოულობთ მხოლოდ იმ კომუნიკაციებს, რომლებიც ჭეშმარიტების კოდზე მიუთითებენ და ეყრდნობიან. მაგალითად, თუ ნასა-ს (აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული სამმართველო) ხელმძღვანელები ან ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ხელმძღვანელები ერთმანეთს შეხვდნენ, რათა განიხილონ, თუ როგორი ფაქტები იქნა აღმოჩენილი დაბერების თაობაზე ჯონგლენის 1998 წლის კოსმოსური ფრენის დროს, ასეთი რამ უკვე იქნებოდა მეცნიერების სისტემის ნაწილი, რომელიც ჭეშმარიტების და სიყალბის კოდებს იყენებს. ეს ადამიანები იმის განსახილველად რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს, გაერკვიათ თუ რომელი რომელ ნაწილში დააფინანსებდა გამოკვლევას, რომელიც ამ კოსმოსურ ფრენისას ტარდება, მაშინ იგი შევიდოდა ეკონომიკურ სისტემაში, ვინაიდან ამ შემთხვევაში სისტემის ელემენტების შერჩევის კოდები იქნებოდა ფულის გადახდის უნარიანობა და ვალი.

ლუმანის სისტემურ თეორიაში არცერთი სისტემა არ იყენებს და არც ესმის სხვა სისტემის კოდი. არ არსებობს ერთი სისტემის კოდის მეორე სისტემის კოდად გადათარგმნა – გადატანის წესი და საშუალება. რამდენადაც სისტემები ჩაკეტილია, ამდენად მათ რეაგირება შეუძლიათ მოახდინონ მხოლოდ მათ შიდა გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე (თუ ის, რაც ხდება და იცვლება, საკმაოდ მაღალ “ზმაურობას”



იწყებს, რათა შემჩნეულ იქნეს სისტემის მიერ). თუმცა სისტემამ გარემოში მომხდარი დაბრკოლებები თავისი საკუთარი კოდის შესატყვისად უნდა აღწეროს. ესაა მომხდარის გააზრების ერთადერთი წესი, მისთვის მიშვნელობის მინიჭების ერთადერთი საშუალება. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა მეცნიერების სისტემას მხოლოდ მოგების თვალსაზრისით დაუწყებს “ყურებას” (ანუ იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელი გახდეს მომავალი შესყიდვა) ან კაპიტალის ჩადების, ინვესტიციების ჩადების თვალსაზრისით შეხედავს (ანუ იმის, რაც საჭიროა თავდაპირველი გადახდისათვის, სანამ ეს ჩადებული ინვესტიცია საკუთარ თავს ამოიღებს ან ჩადებულ კაპიტალს გაანადღებს).

### **ფუნქციონალური დიფერენციაციით წარმოქმნილი პრობლემები**

ფუნქციონალური დიფერენციაცია თანამედროვე საზოგადოებისათვის ქმნის უკიდურეს შემთხვევაში ერთ ძირითად პრობლემას. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ფუნქციონალური სისტემებიდან ერთერთმა ვერ შეძლოს იმის უზრუნველყოფა რაც აუცილებელია მთლიანად საზოგადოებისათვის. შეიძლება არ არსებობდეს ფუნქციონალური სისტემა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ისეთი კოდით, რომელსაც ადექვატურად შეეძლებოდა პრობლემის წარმოდგენა. მაგალითად, ეკონომიკურ სისტემას არ შეუძლია ადექვატურად წარმოიდგინოს ეკოლოგიური პრობლემები, რამდენადაც ძლიერი დაბინძურება სავსებით რაციონალურად გამოიყურება ეკონომიკური თვალსაზრისით. სამართლის სისტემაში შეიძლება არსებობდეს კანონები, რომლებიც მიმართული იქნება ატმოსფეროს გაჭუჭყიანება – დაბინძურების შეზღუდვასა და შემცირებაზე, მაგრამ ეს კანონები ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ინტერპრეტირდებიან იმათ მიერ, ვინც თავად აბინძურებს და აჭუჭყიანებს ბუნებას. მას ყოფილი ჩეხოსლოვაკიის მაგალითი კარგად აჩვენებს, სადაც ჰაერის დაბინძურების შეზღუდვის საშუალებები იურიდიულად იყო დაკანონებული. სამრეწველო დაწესებულებებმა ამ კანონებს უფრო მაღალი საკვამლე მიწების აშენებით უპასუხეს, რამაც დაბინძურების გაფანტვა დიდი ფართობზე გამოიწვია და ამგვარად, დაბინძურების დონის შემცირება დასაშვებ კონცენტრაციამდე უზრუნველყო. ასეთი რეაქცია ეწინააღმდეგებოდა კანონის მიზნებს, მაგრამ შეესაბამებოდა ეკონომიკური სისტემის კოდს. ეს იყო დანახარჯების მინიმიზირების ანუ მინიმუმამდე დაყვანის საშუალება. ჰაერის დაბინძურებისაგან უკეთესი დაცვის ზომების მიღება გაცილებით ძვირი დაჯდებოდა, ვიდრე უფრო მაღალი საკვამლე მიწების აშენება.

ასეთ პრობლემებს ჩვეულებრივ ფუნქციონალური დიფერენციაცია ბადებს. ფუნქციონალური დიფერენციაცია პრობლემების საზოგადოების დონიდან ქვესისტემების დონეზე გადატანას მოითხოვს. თითოეულმა ქვესისტემამ გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი კოდების გამოყენებაში დამოუკიდებლობა და მოქნილობა შეიძინა. ამავე დროს თითოეული მათგანი დამოკიდებულია სხვა სისტემაზე, რათა შეეძლოთ სოციალური სისტემის წინ წაწევა მთლიანობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუნქციონალური სისტემების დიდი დამოუკიდებლობის რეზულტატი მთლიანად სოციალური სისტემის დიდი მოწყვლადობაა და სისუსტე აღმოჩნდა.



ლუმანმა გამოკვლია თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონალურ დიფერენციაციასა და მის მიერ ეკოლოგიის პრობლემის გადაჭრის მცდელობებს შორის დამოკიდებულებების პრობლემატიკა. თანამედროვე საზოგადოება ჯერ ვერ ფლობს განსაკუთრებულ დიფერენცირებულ სისტემას ეკოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად. ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდება (ამ ტერმინს ორმაგი მნიშვნელობა აქვს: სისტემის გარე გარემო და ბუნებრივი გარემო), საჭიროა განხილულ იქნეს არსებული ფუნქციონალური სისტემების და მათი კოდების ჩარჩოებში. **ეს ნიშნავს, რომ ყოველი პრობლემა გარეგან გარემოში – სისტემისათვის პრობლემაა, მხოლოდ მაშინ თუ მისი წარმოდგენა სისტემის კოდის მეშვეობით შესალებელია.** მაგალითად, კანონმდებლობა შეიძლება დაუპირისპირდეს დაბინძურებას მხოლოდ მაშინ, თუ ამ მოქმედებას კანონსაწინააღმდეგოდ, ე.ი. უკანონოდ გამოაცხადებს. ამგვარად, მაღალია იმის ალბათობა, რომ ეკოლოგიური პრობლემები საკმარისი ხარისხით გადაწყვეტილი ვერ იქნება. უფრო მნიშვნელოვანია ზოგადი დასკვნა: ფუნქციონალური დიფერენციაცია შეიძლება გავიგოთ, როგორც ეკოლოგიური კრიზისის გამომწვევი ფაქტორი.

გარე სამყაროში არსებული პრობლემები ფუნქციონალურ სისტემებში ერთდროულად ძალიან დიდ და ძალიან პატარა რეზონანს იწვევენ და ბადებენ. ძალიან მცირე რეზონანსი ნიშნავს იმას, რომ სისტემა სათანადო წესით არ რეაგირებს იმ პრობლემებზე, რომელთა წარმოდგენა მისი კოდით შეუძლებელია. მაგალითად, გარემოს დაცვისთვის მებრძოლ ჯგუფებს შეუძლიათ საავტომობილო მრეწველობის წინააღმდეგ მოითხოვონ გამოუშვან ისეთი მანქანები, რომლების ნაკლებ გააჭუჭყიანებენ ატმოსფეროს; თუმცა საეჭვოა საავტომობილო მრეწველობამ ამაზე რეაგირება მოახდინოს, თუ პროცესები მის მოგებაზე არ იქონიებს გავლენას. ძალიან დიდი რეზონანსი ნიშნავს, რომ ფუნქციონალური სისტემის ჩარჩოებში ეკოლოგიური პრობლემების განხილვამ შეიძლება სხვა ფუნქციონალურ სისტემებში გამოიწვიოს რეაქციები, რამდენადაც სისტემები ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი. მაგალითად, საავტომობილო მრეწველობამ შეიძლება შექმნას ისეთი მანქანები, რომლებიც ნაკლებ დააბინძურებენ ატმოსფეროს, ვიდრე დღეს აბინძურებენ, იმით, რომ შეამცირებს მათ ზომებს, წონას, და მაშასადამე, ფასსაც. ამას შეიძლება შედეგად მოყვეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის განვითარების შენელება, რადგან ნებისმიერ ადამიანს შეეძლება მანქანის ყიდვა. გარდა ამისა, ეს გაზრდის ავარიების რიცხვს და ამგვარად ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში გაუთვალისწინებელი და არაწინასწარმეტყველებადი შედეგი გააჩნდება.

### ლუმანი: ცოდნის სოციოლოგია

ლუმანისათვის სოციოლოგიის პრინციპული საკითხი ასე ჟღერს: **რა არის საზოგადოება?** ეს გახდა ამოსავალი წერტილი სისტემის თეორიის დამუშავების მცდელობისას. სოციოლოგია როგორც მეცნიერება საზოგადოების შესახებ მხოლოდ საზოგადოების ნათლად განსაზღვრული ცნების არსებობის პირობებშია შესაძლებელი. ლუმანის სისტემური თეორია საზოგადოებას როგორც “ყოველსმომცველ სოციალურ სისტემას განსაზღვრავს,, რომელიც ყველა დანარჩენ სოციეტალურ სისტემებს მოიცავს”.



ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების ცნება მსოფლიო საზოგადოების ცნების იდენტურია, ე.ი. საზოგადოება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი... სოციალური სისტემა – ესაა ყოველი სისტემა, რომელიც თვითკვლავწარმოებისათვის თავისი საბაზისო ელემენტის სახით კომუნიკაციას ბადებს – ქმნის. სოციალური სისტემა კი არის ფუნქციონალური სისტემა, მაგალითად, ეკონომიკა, მეცნიერება, სამართალი, საზოგადოების ყოვლისმომცველი სისტემის საზღვრებში. შენიშვნა [“სოციალური სისტემის” პირველი პუბლიკაციის გამოსვლის (1984 – 1995) შემდეგ ლუმანმა უფრო გააღრმავა თავისი მიდგომა და იგი საზოგადოების სისტემის საზღვრებში სხვადასხვა ფუნქციონალური სისტემის – ეკონომიკის, მეცნიერების, კანონმდებლობის და ხელოვნების მიმართ გამოიყენა. იგი შეეცადა თავისი ზოგადი თეორიის სარგებლიანობა და გამოსადეგობა ნებისმიერი ფუნქციონალურად დიფერენცირებული სისტემისათვის ეჩვენებინა. მან აგრეთვე ფუნქციონალურ სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით ეკოლოგიური რისკების პროგნოზირება და რისკის ზოგადი კონცეფციის გზები განიხილა].

ყოვლისმომცველ მსოფლიო საზოგადოებას არ აქვს საზღვრები დროსა და სივრცეში; გარკვეული აზრით მსოფლიო საზოგადოებას არ აქვს “მისამართი”, ხოლო გარე გარემოში არ არსებობს სხვა საზოგადოება. მაშინ როგორღა არის შესაძლებელი საზოგადოების დაკვირვება? არის მხოლოდ ერთი პასუხი: საზოგადოებას შეიძლება დავაკვირდეთ მხოლოდ შიგნიდან ე.ი. საზოგადოების ფუნქციონალური სისტემის მეშვეობით. მაგრამ არცერთი ფუნქციონალური სისტემა არ ფლობს საზოგადოების დაკვირვებისათვის “სწორ პოზიციას”. ყველა პოზიცია კანონიერია. როგორ შეგვიძლია ასეთ შემთხვევაში სოციალურ სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღების ერთიან წესთან და საშუალებასთან მივიდეთ? ფაქტობრივად ასეთი მარტივი პოზიციის შექმნის გზა არ არსებობს. არცერთ თვალსაზრისს არ აქვს უპირატესობა ნებისმიერ სხვა თვალსაზრისსზე. ამიტომ არასდროს არ შეიძლება მოვიპოვოთ ფართოდ მიღებული თვალსაზრისი, რამდენადაც შეუძლებელია მოპაექრე შეხედულებების შეფასება. მაგალითად, თუ ჩვენ როგორც სოციოლოგებს გვსურს რაიმე გავიგოთ საზოგადოების შესახებ, მაშინ ჩვენთვის ჩვეულია სოციოლოგიური ცოდნის ძიება. ლუმანის თანახმად, ამდენადვე შესაძლებელი იქნებოდა გაზეთისა და წიგნის წაკითხვა, ტელევიზორის ყურება ან მეგობართან საუბარი. აქ მოყვანილ საშუალებებიდან ნებისმიერს აქვს უფლება იყოს საზოგადოების შესახებ ინფორმაციის მიღების გზა. არც მეცნიერებას, არც სხვა სისტემას არ აქვს პრივილეგირებული მდგომარეობა. თუ არცერთ ფუნქციონალურ სისტემას არ უკავია მთავარი პოზიცია დასაკვირვებლად, და ამგვარად, საზოგადოების როგორც სისტემის აღსაწერად, მაშინ ჩვენ ვაწყდებით საზოგადოების დაკვირვების ერთნაირად კანონიერი საშუალებების უსასრულო მრავალსახეობების პრობლემას.

ლუმანი შეეცადა შეემუშავებინა მიდგომა, რომელიც ყოველივე ზემოთთქმულის მიუხედავად საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ცოდნა საზოგადოების შესახებ. საზოგადოება თავის თავს აღწერს ლეგენდებისა და მითების საშუალებით უძველეს დროში და მეცნიერული ცოდნის მეშვეობით თანამედროვე ეპოქაში. მიუხედავად ამისა სოციოლოგებს მეორე რიგის – წესრიგის დამკვირვებელთა სახით შეუძლიათ თვალი





გაადევნონ, დააკვირდნენ საზოგადოების პირველად დაკვირვებებს, მათ შეუძლიათ დასკვნების გაკეთება საზოგადოებასა და მის სემანტიკას, ე.ი. საზოგადოების თვითაღწერას შორის დამოკიდებულების შესახებ. ესაა საზოგადოების შესახებ ცოდნის მოპოვების გასაღები – ანუ საზოგადოების სემანტიკაზე დაკვირვება, ე.ი. “კომუნიკაცია კომუნიკაციებზე”, რომლებიც საზოგადოების სისტემას შეადგენენ.

ლუმანი ცდილობს აჩვენოს, რომ საზოგადოების დაკვირვება არ არის თვითნებური ხასიათის, რადგან “ წარმოდგენათა სიმყარისათვის სტრუქტურული პირობები არსებობს; და სემანტიკის ევოლუციაშიც არსებობს ისტორიული ტენდენციები, რომლებიც ვარიანტების დიაპაზონს ძლიერ ზღუდავენ. სოციოლოგიურ თეორიას ძალუმს კავშირები სოციალურ სტრუქტურებსა და სემანტიკას შორის არსებული კორელაციის ტიპის მიხედვით განასხვავოს”. იღებს რა სემანტიკას სოციალური სტრუქტურების ინტერპრეტაციების გამოთქმად და გამოხატულებად, ლუმანისეული კვლევა სოციალური სტრუქტურების ცვლილებების თაობაზე ტერმინებისა და მათი მნიშვნელობის გამოყენების ისტორიულად მიღებულ პრაქტიკას ააღორძინებს. ამგვარად, საზოგადოების სოციოლოგიური დაკვირვების სათანადო წესსა თუ ხერხს მოდიფიცირებადი სოციალური სტრუქტურების შესახებ ცვლადი სემანტიკის გამოკვლევა წარმოადგენს. [შენიშვნა. ეს მტკიცება ლუმანისეული იდეის არათანმიმდევრულობაზე მიუთითებს, რომელსაც ჩვენ დასკვნით პარაგრაფში განვიხილავთ]. ლუმანმა უზარმაზარი შრომა გასწია და შექმნა შრომები, რომლებშიც აღწერილია მორალის, პიროვნების სამართლის, ცოდნის და სიყვარულის სემანტიკის განვითარება--აღწერა. მოცემული მეთოდი ცოდნის სოციოლოგიის ნაწილს შეადგენს და შეიძლება საზოგადოების თეორიის განვითარების საკითხის გადაწყვეტისას იქნას გამოყენებული.

**კრიტიკა.** მთლიანობაში თანამედროვე საზოგადოების ლუმანისეული თეორია და საზოგადოების მისი კონცეფცია – კარგად დამუშავებული ანალიტიკური ინსტრუმენტებია, რომლებიც სოციოლოგებს საშუალებას აძლევს ახალი თვალსაზრისით შეხედონ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ პრობლემებს (ასევე სოციოლოგიაში არსებულ პრობლემებსაც). ევოლუციისა და დიფერენციაციის ზოგადი თეორია, აგრეთვე ლუმანის მიერ ისეთი სპეციფიკური სისტემების განხილვა, როგორცაა მეცნიერება და ეკონომიკა, თეორიის და კვლევებისათვის ახალ პერსპექტივებს ქმნის. სისტემისა და გარემოს ფუნდამენტური განსხვავება შესაძლებლობას იძლევა ახალი დისციპლინათაშორისი კვლევებისათვის, რომლებიც დაფუძნებულია დაშვებაზე, რომ სირთულე არის ყოვლისმომცველი ასპექტი, რომელიც ბუნებისმეცნიერებისა და ჰუმანიტარული მეცნიერების მოჩვენებითად იზოლირებულ სფეროებს ერთმანეთთან აკავშირებს. ლუმანის სისტემურ თეორიას მრავალი ასპექტით აკრიტიკებენ, მაგრამ ჩვენ აქედან ოთხს გამოვყოფთ.

**პირველი,** მრავალი თეორეტიკოსი, მათ შორის იურგენ ჰაბერმასი, ამტკიცებდა, რომ ის, რასაც ლუმანი აუცილებელ ევოლუციურ განვითარებად თვლის, ფაქტობრივად – რეგრესიული და არა სააღდებულოა. ნამდვილად, შეიძლება საზოგადოება ვითარდება



ფუნქციონალურად დიფერენცირებული სფეროების ჩაკეტილი სისტემების მიმართულებით, რომლებსაც უნარი არ შესწევთ იმოქმედონ სოციალური მთელის სახელით, მაგრამ ამას საჭიროა დაფუძირისპირდეთ. საჭიროა ისეთი თეორიების შექმნა, რათა ხელი შევუწყოთ ამ ტენდენციის ნეიტრალიზაციას და არ ვაქციოთ მისი გამოვლენა გარდაუვალ რაიმედ, როგორც ამას ლუმანი აკეთებს.

**მეორე,** ლუმანის თეორიაში დიფერენციაცია გარე სამყაროსთან ურთიერთქმედების დროს საზოგადოების განვითარების და სოციალური სისტემების მზარდი სირთულის აღწერის გასაღებია. მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში ჩვენ ასევე შეგვიძლია ორი დაპირისპირებული პროცესის აღმოჩენა. ერთერთი მათგანი—დედიფერენციაციაა ე.ი. სოციალურ სისტემებს შორის მაგალითად ელიტარულ და მასობრივ კულტურებს შორის საზღვრების წაშლის პროცესია. მეორე კი ურთიერთშედევის პროცესია, ე.ი. ისეთი ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც სოციალურ სისტემებს შორის შუამავალთა ფუნქციებს ასრულებენ. ლუმანის სისტემათა თეორია ამ პროცესებს როგორც ანტიევოლუციურს ისე განიხილავს, რამდენადაც ევოლუცია განისაზღვრება, როგორც ამაღლებული და მომატებული დიფერენციაცია. შესაძლოა, ლუმანის თეორიამ აღიაროს დიფერენციაცია და ურთიერთშედევა ევოლუციური ცვალებადობის რეალურ წყაროებად, მაგრამ ეს იქნებოდა დიფერენციაციაზე ვიწრო მიმართულების მქონე შეხედულების უარყოფა, რომელიც თეორიული თვალსაზრისით ასე ნაყოფიერი აღმოჩნდა.

**მესამე,** ლუმანის თეორია შეზღუდულ უნარებს ამჟღავნებდა სისტემებს შორის დამოკიდებულებების აღწერაში. ყველა სისტემა როდია ისეთი ჩაკეტილი და ავტონომიური, როგორც ამას ლუმანი გვთავაზობს. ზოგიერთი სისტემა, როგორც ჩანს, არა მხოლოდ გარდაქმნიან ერთმანეთის კოდებს, არამედ ზოგჯერ სხვა სისტემებს როგორც ელემენტებს მოიცავენ. ყველაზე ცხადი სოციალურ სისტემაში ფსიქიკური სისტემის ჩართვის წესი და საშუალებაა. სოციალური სისტემის საზღვრებში კომუნიკაციის მნიშვნელობა მთლიანად თავად სოციალური სისტემის მიერ არ განისაზღვრება. ფსიქიკური სისტემები (ინდივიდები) ზღუდავენ მნიშვნელობებს, რომლებიც განსაზღვრულ კომუნიკაციებს მიეწერება და უპირისპირდებიან მას. ლუმანი მართალია იმაში, რომ კომუნიკაციის მნიშვნელობა არ მდგომარეობს უბრალოდ ინდივიდის განზრახვაში, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ განზრახვასაც რთული ზეგავლენა აქვს სოციალურ მნიშვნელობაზე. სოციალური სისტემა უბრალოდ არ არის ჩაკეტილი ფსიქიკური სისტემისათვის. ანალოგიურად, შესაძლოა, რომ ავტონომიური სისტემა, მაგალითად პოლიტიკური სისტემა ვაქციოთ სხვა სისტემის ქვესისტემად, მაგალითად ეკონომიკური სისტემის ქვესისტემად ვაქციოთ. ამ შემთხვევაში პოლიტიკური სისტემის კოდი შეიძლება ეკონომიკური სისტემის კოდის უბრალო ვარიანტად იქცეს.

და ბოლოს, ლუმანის თეორია საზოგადოების შესახებ შეხედულებებს ერთნაირი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევს და არ აღიარებს რომელიმე მათგანის პრიორიტეტს (ეს მსგავსია იმ პოზიციისა, რომელიც პოსტმოდერნისტმა სოციალურმა თეორეტიკოსმა ლიოტარმა დაიკავა). მიუხედავად ამისა, ლუმანი აცხადებს, რომ ჩვენ შეგვიძლია



სარწმუნო და ჭეშმარიტი ცოდნის მოპოვება საზოგადოების შესახებ, თუ დავაკვირდებით საზოგადოების შესახებ თვითაღწერების სემანტიკას. ეს თვალსაზრისი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, რამდენადაც ერთდროულად შეუძლებელია ორივე პოზიციისათვის მხარდაჭერა.

მიუხედავად ამ და სხვა ნაკლოვანებებისა, ლუმანის სიტემათა თეორია ერთერთ წამყვან თეორიად იქცა XXI – ის დასაწყისში და ხელი შეუწყო სისტემათა თეორიისადმი ინტერესის აღორძინებას.

### ნიკლას ლუმანის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და დებულებები ( ნიკლას ლუმანის „ საზოგადოების ცნების „ მიხედვით)

I. თვითრეფერენტული (თვითაღმწერი) სისტემების თეორია  
სისტემურ-თეორიული აზროვნება – მეთოდი

#### 1.1. სამი ეტაპი სისტემურ-თეორიულ აზროვნების განვითარებაში:

ა) პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელია „ნაწილი-მთელის” პარადიგმა. ითვლება, რომ მთელი (ე.ი. სისტემა) მეტია თავისი ნაწილების ჯამზე იმ აზრით, რომ ნაწილებს შორის სპეციფიკური კავშირების წყალობით წარმოიშობა სისტემის თავისებურად ახალი თვისებები. სისტემურ – თეორიული აზროვნების ამ ეტაპის წარმომადგენელი სოციოლოგიაში იყო ემილ დიურკემი.

ბ) მეორე ეტაპზე ბატონობს „სისტემა-გარემოს” პარადიგმა. მისი წარმომადგენელი სოციოლოგიაში იყო ტალკოტ პარსონსი. ტ. პარსონსის თანახმად, სისტემა წარმოიშობა გარემომცველი სინამდვილისაგან გამიჯვნის გზით და მკვლევარის ყურადღებაც პირველ რიგში სისტემისა და მის გარემოს შორის არსებულ დამოკიდებულებებსა და პროცესებზეა მიმართული. ამის წყალობით ცენტრალური ცნებები ღია სისტემებისათვის, სოციალური სისტემები კი სწორედ რომ ასეთია, შესასვლელისა და გასასვლელის ცნებები იქცნენ.

გ) ნ. ლუმანის სოციალური თეორია სისტემურ თეორიული აზროვნების განვითარების მესამე ეტაპს წარმოადგენს. მისი ცენტრალური ცნებები განეკუთვნება აუტოპოესისურ ანუ თვითაღმწერი (თვითრეფერენტული) სისტემის ცნებებს. ნ. ლუმანი თვლის, რომ აუტოპოესისის, თვითორგანიზაციის და თვითრეფერენტულობის კონცეფციების მნიშვნელობა შორს გადის ბიოლოგიური გამოკვლევების (ხუმბერტო მატურანა, ფრანჩესკო ვარელა) ფარგლებიდან და ისინი შეიძლება ცოდნის მრავალ დარგში იქნას გამოყენებული. ნ. ლუმანის შემოქმედება თანამედროვე საზოგადოების თეორიის დასამუშავებლად ამ კონცეფციების გამოყენებას და განვითარებას წარმოადგენს.

მისი როგორც თეორეტიკოსი სოციოლოგის ძირითადი ამოცანაა: „გააფართოვოს ადამიანის შესაძლებლობები-უნარები, მოიცვას სამყაროს სირთულე და გაარკვიოს იგი.”



სოციალური სისტემა – ნ. ლუმანის აზრით – წარმოადგენს საზრისისეული კომუნიკაციის სისტემას, ამასთანავე ითვლება, რომ კომუნიკაცია აწარმოებს კომუნიკაციას.

## II. საზოგადოების ცნება

2.1. ნებისმიერ მეცნიერულ დისციპლინას ახასიათებს სიმძნელები, დაკავშირებულნი ცნებებთან, რომლებმაც უნდა აღნიშნონ მათი საგნის ერთიანობა. სწორედ ამ პრობლემაზეა მიმართული აუტოპოვესისის ცნება.

2.2. ხომ შეიძლება საზოგადოების მოსაზრებლად გამოვიყენოთ „სოციალურის“ ცნება? მაგრამ მაშინ სად აღმოჩნდებოდნენ ანტისოციალური დამნაშავეობა, დიურკემის ანომია? ასევე სოციოლოგიის საგნის ერთიანობის აღსანიშნავად თვით საზოგადოების ცნების გამოყენებაც ხომ შესაძლებელი უნდა იყოს? სოციოლოგიას ხომ საზოგადოებრივ მეცნიერებების რიგს მიაკუთვნებენ? მაგრამ როდესაც ცდილობენ საზოგადოების ცნების განსაზღვრას, მაშინ ეჯახებიან სიმძნელებს; წინა პლანზე გამოდის სიტყვა, მაგრამ ამაოდ ეძებენ ცნებას, რომელიც ნაგულისხმევ ცნებას აღნიშნავდა სიზუსტით, რომელიც თეორიული მიზნებისათვის საკმარისი იქნებოდა.

საზოგადოების ცნებაზე უარის თქმას ისტორიული საფუძვლები აქვს:

ა) უკვე XIX-ე საუკუნის დასასრულს ლაპარაკობდნენ ამ ცნების გამოყენების უვარგისობაზე სოციოლოგიაში.

ბ) ნაწილობრივ ეს ცნება იყო განსხვავების კომპონენტი, რომელსაც იმის გაქრობასთან აკავშირებდნენ, რის აღნიშვნაც იყო მის მიერ საჭირო: სახელმწიფო და საზოგადოება ან საზოგადოება და ერთობა. ზოგჯერ მთლიანად არ სურდათ ხელი აეღოთ საზოგადოების ცნებაზე - „ფორმალური სოციოლოგიის“ კვლად, მაგრამ საკუთარ ისტორიასთან მიმართებაში მის დაზუსტებას ვერ ახერხებდნენ. ამგვარად ეს კლასიკოსების პრობლემა იყო. ლუმანისათვის კი იგი პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ თუ სოციოლოგია დღესაც რჩება სიმძნელების წინაშე, მაშინ აქ თავის როლს უკვე სხვა მიზეზები თამაშობს.

2.3. ლუმანი ლაპარაკობს სამ ეპისტემოლოგიურ ცრურწმენაზე (წინააღმდეგობაზე), რომელიც მას ყველაზე მნიშვნელოვან რამედ მიაჩნია, რათა გაარკვიოს ის სიმძნელები, რომლებიც სოციოლოგიის საგნის ერთიანობის მიღწევას ხელს უშლიან:

2.3.1. პირველი ეხება დაშვებას, რომ საზოგადოება ადამიანისაგან ან ადამიანებს შორის ურთიერთობა-დამოკიდებულებისაგან შედგება. ამას ლუმანი ჰუმანისტურ ცრურწმენას (obstacles epistemologiques) უწოდებს. როგორ უნდა გავიგოთ ეს? რომ იგი შედგება ხელებისაგან და ფეხებისაგან, აზრებისა და ენობრივებისაგან? რომ პარიკმახერი საზოგადოებას თმებს აჭრის-კრეჭს? ხომ არ ესაჭიროება მას რაღაც შემთხვევაში ცოტა ინსულინის შეყვანა? როგორი ოპერაციები ახასიათებენ საზოგადოებას, თუ უჯრედის



ქიმია ისეთივე ხარისხით ეხება მას, როგორც არაცნობიერ განდევნა-შევიწროებათა ალქიმია? ცხადია, რომ ჰუმანისტური ცრურწმენა შეგნებულად ეფუძნება ცნებათა სიზუსტის მოთხოვნის არასიმკაცრეს, მაგრამ მაშინ უნდა ვიკითხოთ, კი მაგრამ, რატომ? ასეთ შემთხვევაში კი თეორეტიკოსს თავად ესაჭიროება დახმარება.

**2.3.2. მეორე ცრურწმენა, რომელიც ბლოკირებას უკეთებს ცნებებს, მდგომარეობს საზოგადოებათა ტერიტორიული მრავალგვარობის დაშვებაში.** ჩინეთი – ეს ერთი საზოგადოებაა, ბრაზილია მეორე; პარაგვაი – ერთი, მაშასადამე ურუგვაი მეორე. მაგრამ, ლუმანის აზრით, ყველა ძალისხმევა, რომელიც მიმართულია საზოგადოებათა მკაცრ გამიჯვნაზე, ამაოა, სულერთია ისინი საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე ან ენასა, კულტურასა თუ ტრადიციაზე იქნებიან ორიენტირებულნი. თუმცა ამ ტერიტორიაზე არსებობს სასიცოცხლო პირობების უთვალავი განსხვავება, მაგრამ ეს განსხვავებები უნდა ახსნილ იქნეს საზოგადოების შიგნით არსებული განსხვავებების სახით, და არ უნდა იქნეს დაშვებულნი საზოგადოებათა შორის განსხვავებების სახით. სხვაგვარად, მიიღება, რომ სოციოლოგია თურმე თავისი ცენტრალური პრობლემის გადაჭრას გეოგრაფიის საშუალებით ცდილობს.

**2.3.3. მესამე ცრურწმენა თეორიულ შემეცნებით ხასიათს ატარებს. იგი შემეცნების სუბიექტისა და ობიექტის განსხვავებისაგან მომდინარეობს.** შემეცნების თეორიის თანახმად, რომელიც თითქმის XX-ე საუკუნემდე ბატონობდა, სუბიექტსა და ობიექტს გაყოფილ-განცალკევებულად უნდა ვიაზრებდეთ და სამყაროს დაკვირვებასა და აღწერას შესაძლებლად ab extra (გარედან) ვთვლიდეთ. ვალიაროთ შემეცნება, როგორც ასეთი მხოლოდ მაშინ, როდესაც კვლევის საგანთან ყოველგვარი გადახლართვა-აღრევის თავიდან აცილება ძალგვიძს. მხოლოდ სუბიექტები ფლობენ თვითრეფერენტულობის პრივილეგიას, ობიექტები კი არ არიან ისეთნი, როგორებიც არიან.

მაგრამ, შენიშნავს ლუმანი, სავსებით ცხადია, რომ საზოგადოება წარმოადგენს თვითამღწერ ობიექტს. საზოგადოებრივი თეორიები წარმოადგენენ საზოგადოების თეორიებს საზოგადოებაში. თუ ეს შემეცნების თეორიულ მიმართებაში დაშვებული იქნებოდა, მაშინ შესაბამისი სამკაცრით საზოგადოების ცნების დადგენა შეუძლებელი იქნებოდა. სხვაგვარად: საზოგადოების ცნება უნდა ჩამოყალიბდეს ავტოლოგიურად. მან თავისი თავიც უნდა მოიცვას. ასეთი ვითარება სოციოლოგიის გარეთ სავსებით ბუნებრივია, ჩვეულებრივი რამაა, თანაც, ავტოლოგიის ცნება, რომელიც თავად არის ავტოლოგიური ცნება, ლინგვისტიკაში დაიბადა. მაშ, რატომ უნდა დაუპირისპირდეს სოციოლოგია თავის თავს სწორედ იქ, სადაც ის თავის საგანთან ყველაზე ახლოსაა? სწორედ იმის გამო, რომ ყველაზე ახლოსაა, ამიტომ! შესაძლოა იმიტომ, რომ მან ძალიან კარგად იცის საზოგადოება. აგრეთვე ძალიან კრიტიკულია იმისათვის, რათა იგრძნო თავი მასში კარგად, წყნარად. მაშინ იგი მამაც და გაბედულ რამედ უნდა ჩაგვეთვალა. მაგრამ მაშინ ხომ არ იქნებოდა საჭირო მოთხოვნა დაგვეყვანა საქმე დადებით მსჯელობებზე, კონსესუსზე, კონფორმიზმზე! სრულიად პირიქით: თავად სისტემა



დამკვირვებლის ტელეოლოგიურ პროტოტიპს ეშმაკი წარმოადგენს! ან პერსევსი, რომელმაც მედუზას თავი შემოვლითი (ირიბი) გზით მოჰკვეთა.

ამგვარად, პრობლემა უფრო მეტად თეორიის წამოყენების პრობლემა არის, მაგრამ განვითარება ისეთი დისციპლინების ან ტრანსდისციპლინურ მეცნიერებების როგორებიცაა: cognitive sciences – კოგნიტური მეცნიერებები ანუ კიბერნეტიკა, სისტემური თეორია, ევოლუციის თეორია, ინფორმაციის თეორია, – მათ გადასაჭრელად – დასძენს ლუმანი –საკმაო სტიმულს გვაძლევს.

### III. სისტემის ცნება

რასაკვირველია ლუმანმა კარგად იცის, რომ სისტემას მრავალი მნიშვნელობით იყენებენ, ამიტომ აქაც აზუსტებს თავის აზრს; პირველი დაზუსტება, რომელსაც დაუყოვნებლივ შევყავართ არაჩვეულებრივ სფეროში, ისაა, რომ სისტემის ქვეშ უნდა გვესმოდეს არა ობიექტების განსაზღვრული ყაიდა, სახე თუ ხარისხი, არამედ განსაზღვრული განსხვავება, სახელდობრ: სისტემისა და გარემოს განსხვავება. სისტემა არის განსაზღვრული ფორმა, ესე იგი აქვს ორი მხარე: სისტემა (როგორც ფორმის შიგნით მხარე) და გარემო (როგორც ფორმის გარეგანი მხარე). მხოლოდ ორივე მხარე აწარმოებს განსხვავებას, აწარმოებს ფორმას, აწარმოებს ცნებას. ამგვარად, გარემო ამ ფორმისათვის იმდენადვე სერიოზული, იმდენადვე აუცილებელია, როგორც თავად სისტემა. ფორმა განსხვავების სახით დახურულია. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი ის, რაც შეიძლება აღიწეროს ან დაკვირვებულ იქნეს ამ განსხვავების დახმარებით, ან სისტემას ან გარემოს განეკუთვნება. უკვე აქ იქცევა ყურადღებას რაღაც არაჩვეულებრივი. რას განეკუთვნება სისტემის ერთიანობა, სისტემას თუ გარემოს? სად იმყოფება ფორმის საზღვარი? ის, რაც ყოფს ფორმას ორივე მხარეს – საზღვარი სისტემასა და გარემოს შორის – აღნიშნავს ფორმის ერთიანობას და ამიტომ არ შეიძლება მიეკუთვნოს არც ერთ და არც მეორე მხარეს. საზღვარი არსებობს მხოლოდ, როგორც მისი გადაკვეთის მიღება – იქნება ეს გადაკვეთა გარედან, თუ შიგნიდან.

ჯერ-ჯერობით ლუმანი თავს იკავებს ამ სიტუაციაში ასეთი რთული და ძნელი საკითხების გადაჭრისაგან და მის ნაცვლად გვთავაზობს გავარკვიოთ თუ როგორ იწარმოება სისტემისა და გარემოს განსხვავება, რაც დროის კატეგორიას გულისხმობს, განმარტება დროის მეშვეობით, ჰეგელის ლოგიკის მსგავსად.

ამავე დროს წარმოების ცნება (ანუ „poiesis“-ის ცნება განსხვავდება „praxis“-ის ცნებისგან) შეგნებულადაა შერჩეული, რადგან იგი გულისხმობს ფორმის სახით განსხვავებას და უშვებს, რომ ნაწარმოები (ქმნილება) შეიძლება დამზადებულ იქნას აგრეთვე მაშინაც, როდესაც მწარმოებელს არ ძალუძს თავად შექმნას ამისათვის ყველა აუცილებელი მიზეზი. ადვილი დასანახია, რომ ეს ესადაგება სისტემისა და გარემოს განსხვავებას. სისტემა ფლობს თავისი პროდუქციის წარმოების შინაგან და გარეგან მიზეზებს, ხოლო შინაგანი მიზეზები შეიძლება იმგვარად წარიმართოს, რომ გარე და შინაგანი მიზეზების კომბინაციისათვის საკმარისი შესაძლებლობები წარმოიქმნას.



მაგრამ თავად სისტემა წარმოებულ პროდუქტს, ანუ უფრო ზუსტად სისტემის ფორმას, სისტემისა და გარემოს განსხვავებას წარმოადგენს. სწორედ ეს აღინიშნება აუტოპოეზისის ცნებით. იგი ექსპლიციტურად არის შემოტანილი აუტოპოეზისის შესაძლო ცნების საპირისპიროდ. ამ შემთხვევაში ლაპარაკი არაა იმ ქმედებაზე, რომლებიც მიმართულნი არიან თვითდაკმაყოფილებაზე: სიგარეტის მოწევა, ცურვა, ყბედობა-ლაყბობა, (გონიერი ბჭობა) *raisonner* (ამის გამოთქმა გერმანულად შეუძლებლად მიაჩნია). მაშინ აუტოპოეზისის ცნებას აუცილებლობით მივყავართ ძნელ, ხშირად არასწორად გაგებულ, სისტემის ოპერატიული ჩაკეტილობის ცნებასთან, რასაკვირველია, ეს ცნება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს წარმოებასთან (*poiesis*) მიმართებაში. ოპონენტები მასში ხშირად მიოზოზობრივ იზოლირებას, ავტარკიას, კოგნიტურ სოლიფსიზმს ხედავენ. უფრო მეტად იგი არის იმ ტრივიალური ფაქტის (ცნებობრივ მიმართებაში ტავტოლოგიურის) აუცილებელი შედეგი, რომ არანაირ სისტემას არ შეუძლია თავის საზღვრების გარეთ იმოქმედოს. ამას კი მივყავართ დასკვნამდე, რომ ბჭობა უნდა წავიდეს ოპერატიულად დახურულ აუტოპოეზისურ სისტემაზე, რომელიც გვამღევეს საზოგადოების ცნების გაშუალების პირველ ეტაპს.

აბსტრაქციის ასეთ დონეზე მაშინვე ვერ ამჩნევენ, თუ რას ნიშნავს ეს. მაშინ, როდესაც ჩვენ უკვე ვიმყოფებით ყოველგვარ ცრურწმენათა – *obstacles epistemologiques* - მიღმა მხარეს, რადგან ოპერატიული ჩაკეტილობა საზოგადოებრივი სისტემიდან როგორც ადამიანებს ისე ქვეყნებს გამორიცხავს. ამის ნაცვლად იგი თვითდაკავშირებისა და თვითაღწერის ოპერაციებს მოიცავს. მაგრამ ჰუმანიტარები (ისტორიკოსები?!) და გეოგრაფები შეიძლება მშვიდად იყვნენ, რადგან გარემო განსხვავების გარდაუვალი კომპონენტია, იგი მიმართებაშია, ეხება სისტემის ფორმას, როდესაც საზოგადოებიდან ადამიანებს ცოცხალი და ცნობიერი სახით და ქვეყნებს მათი გეოგრაფიული და დემოგრაფიული თავისებურებებით გამოვრიცხავთ, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი თეორიისათვის დაკარგულია. ისინი უბრალოდ არ იმყოფებიან იქ, სადაც მათ არსებობას გულისხმობენ. თეორიის განვითარებისათვის ფატალურ შედეგებთან ერთად ისინი არა საზოგადოებაში, არამედ მის გარემომცველ სინამდვილეში, გარემოში არიან.

#### IV.

ახლა საჭიროა პასუხი გავცეთ კითხვაზე. სახელდობრ, როგორი ოპერაციები აწარმოებენ საზოგადოებრივ სისტემას, თანაც საკუთარი პროდუქტებისაგან, ე.ი. კვლავაწარმოებენ მას.

ბჭობა ეხება ოპერაციების ზუსტად მინიშნებულ წესს, თუ როგორც ეს ხშირად ხდება, საიმედოობის გაზრდის მიზნით ასახელებენ მრავალ ოპერაციას, ისეთებს როგორიცაა აზროვნება და მოქმედება, სტრუქტურის წარმოქმნა და პროცესთა მდინარება, მაშინ საძიებელი ერთიანობა ქრება „და“-ს სიმრავლესა და ულამაზობაში (საჭიროა ყველგვარი „და“-ს აკრძალვა). აქ ლუმანი გვთავაზობს გავრისკოთ ოპერაციების იმ წესის განსაზღვრისას, რომლის დახმარებითაც საზოგადოება აწარმოებს და კვლავაწარმოებს თავის თავს. სხვაგვარად ცნება კარგავს ყოველგვარ გარკვეულობას.



**ლუმანის წინადადება:** საფუძველშივე ჩავდოთ კომუნიკაციის ცნება და ამით ხელახლა გავიაზროთ სოციალური თეორია სისტემის ცნების ბაზაზე ნაცვლად მოქმედების ცნებისა. ეს საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ სოციალური სისტემა, როგორც ოპერატიულად ჩაკეტილი სისტემა, რომელიც შედგება საკუთარი კომუნიკაციების მწარმოებელი ოპერაციებისაგან; მოქმედების ცნების შემთხვევაში საექვოა თავიდან ავიცილოთ გარეგანი რეფერენციები. მოქმედება, რამდენადაც ის მიკუთვნებულ უნდა იქნეს, მოითხოვს არასოციალურად კონსტრუირებულ ვითარებებისადმი: სუბიექტისადმი, ინდივიდისადმი და თუ ამოვალთ ყველა პრაქტიკული ამოცანებისაგან – ცოცხალი სხეულისადმიც კი მიკუთვნებას; ე.ი. სივრცეში ადგილს. მხოლოდ კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეგვიძლია გავიაზროთ სოციალური სისტემა, როგორც აუტოპოესიური სისტემა, რომელიც შედგება ელემენტებისაგან, სახელდობრ: სწორედ ამ ელემენტების ქსელის, კომუნიკაციების ქსელის მეშვეობით წარმოებული და თვითწარმოებული კომუნიკაციებისაგან.

ამგვარად, თეორიული გადაწყვეტილება საზოგადოებაზე, როგორც აუტოპოესიურ სისტემაზე შეხედულების სასარგებლოდ და სისტემის კვლავწარმოებული ოპერაციების, როგორც კომუნიკაციების დახასიათების სასარგებლოდ, თავიდანვე უნდა იქნას მიღებული. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ცნება, საზოგადოების ცნების განსაზღვრის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. იმის მიხედვით თუ როგორ განსაზღვრავენ კომუნიკაციას, განსაზღვრავენ საზოგადოებასაც, ხოლო რაც შეეხება განსაზღვრებას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, აქ იგი გაგებულია, როგორც საზღვრების განსაზღვრა. სხვა სიტყვებით, თეორიის აგება უნდა განხორციელდეს ორი თვალსაზრისით. ერთის მხრივ, იგი მიმართული უნდა იქნას სისტემის ცნებაზე, ხოლო მეორეს მხრივ კომუნიკაციის ცნებაზე. მხოლოდ ამგვარად შეიძენს, მოიპოვებს იგი საჭირო სიმკაცრეს.

ამ სიტუაციაში იცვლება უკვე თავად კომუნიკაციის ცნება. იგი არ უნდა დავიყვანოთ, არც კომუნიკაციური მოქმედების ცნებაზე და კონსტრუირება გავუკეთოთ სხვის მოქმედებას, იქნება ეს ამ მოქმედების უბრალო ეფექტის სახით, თუ ნორმატიული დასკვნის სახით (ჰაბერმასისეული გაგებით), არც კომუნიკაციის, როგორც ერთი ადგილიდან მეორეზე ინფორმაციის გადატანის გაგებაზე. მსგავსი შეხედულებების შემთხვევაში ასე თუ ისე ნაგულისხმევი თუ ნავარაუდები იქნებოდა ხდომილების მატარებელი, რომელიც თავად არ იქნებოდნენ კონსტრუირებული კომუნიკაციის მეშვეობით. პირიქით, სისტემური თეორიისა და კომუნიკაციის თეორიის კომბინაცია მოითხოვს კომუნიკაციის ისეთ ცნებას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვეთქვა, რომ ყველა კომუნიკაცია იწარმოება მხოლოდ კომუნიკაციის მეშვეობით – თავისთავად ცხადია, რასაკვირველია გარემოში, რომელიც ამ კომუნიკაციას უშვებს და ინარჩუნებს. კომუნიკაციის ასეთი გაგებისათვის კი შეიძლება ვისარგებლოდ განსხვავებით. ლუმანი ახდენს ამ ცნების ხელახალ ფორმულირებას, როგორც ინფორმაციის, მაუწყებლობის (შეტყობინების, მესიჯის) და გაგების განსხვავებას. კომუნიკაცია ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელი ხდება ამ სამი ასპექტის სინთეზირება. ქცევის მარტივი აღქმისაგან განსხვავებით, გაგების საფუძველში ჩადებული უნდა იქნას





მაუწყებლობის აქტისა და თავად ინფორმაციის განსხვავება. სწორედ ამისაგან უნდა ამოვიდეთ. ასეთი „primary distinction” (პირველი განსხვავების) გარეშე კომუნიკაცია საზოგადოდ არ განხორციელდება. თუ ეს წანამძღვარი კმაყოფილდება, ხოლო ენის შემთხვევაში ამას მუდამ აქვს ადგილი, მაშინ შემდგომ კომუნიკაციას შეუძლია თავისთავად იმოქმედოს. მაშინ და მხოლოდ მაშინ არის იგი საკმარისი და საკმარისად რთული ამისთვის. მაშინ მას შეუძლია ინფორმაციის ან მისი საფუძვლების, თუ რატომ გამოითქმება რაღაცა უშუალოდ აქ და ახლა დამუშავება; ან კომუნიკაციის საზრისის გაგების სიძნელეებს წვდეს, ან ბოლოს, შემდგომი ნაბიჯი გადადგას: მიღებულ თუ უარყოფილი იქნეს შემოთავაზებული საზრისი. ამრიგად, ინფორმაციის, მაუწყებლობის და გაგების განსხვავება წარმოადგენს იმ განსხვავებას, რომელიც აწარმოებს განსხვავებას და რომელიც ერთხელ განხორციელებული ინარჩუნებს – ეხმარება სისტემის საქმიანობას. ადვილი შესამჩნევია, რომ ეს ახლოს დგას ინფორმაციის ბეტსონისეული ცნების, როგორც განსხვავების მწარმოებელი განსხვავების გაგებასთან. კომუნიკაცია სხვა არაფერია თუ არა ის ოპერაცია, რომელიც განსხვავებებში განსხვავებათა ასეთ ტრანსფორმაციას ახორციელებს.

ამავე დროს მნიშვნელოვანია – წერს ნ. ლუმანი – რომ კომუნიკაციის ცალკეული ხდომილება გაგებასთან ერთად სრულდება – მთავრდება. ამით კი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არაა, იქნება თუ არა გაგებული კომუნიკაციის საფუძველში ჩადებული. ეს შეიძლება მოხდეს და შეიძლება არც კი მოხდეს. კომუნიკაციები შეიძლება აღქმულ ან უარყოფილ იქნას. ყველა სხვა შეხედულებას აბსურდული შედეგი ექნებოდა იმის შესახებ, რომ უარყოფილი კომუნიკაციები საერთოდ არ წარმოადგენენ კომუნიკაციებს. აქედან გამომდინარეობს, რომ არაა სწორი კომუნიკაციებს იმანენტური, კონსესუსისადმი კვაზი – ტელეოლოგიური ტენდენცია მივაწეროთ. სხვაგვარად ყველაფერი უკვე დიდი ხანია დამთავრდებოდა და სამყარო ისევე მდუმარე იქნებოდა, როგორც დასაწყისში. მაგრამ კომუნიკაციები არ ამოწურავენ თავის თავს. სწორედ თავისი თავის პროვოცირების გზაზე იგი აწარმოებს მეტს, ყოველ ნაბიჯზე ქმნის რა აღქმისა და უარყოფის ბიფურკაციებს (ორად გაყოფა, განშტოება) ყოველი კომუნიკაციური ხდომილება ალეს (ხსნის) და ხურავს (კეტავს) სისტემას. და მხოლოდ ამ ბიფურკაციის შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისტორიას, რომლის მიმდინარეობა იმაზეა დამოკიდებული თუ რომელი მიმართულება იქნება არჩეული: „კი” თუ „არა”.

## V.

თუ მივიღებთ კომუნიკაციის ამ ცნებას, მაშინ – ლუმანის აზრით – იმავე წამს მოიხსნებიან საზოგადოების ჩვეულებრივი თეორიის ყველა ჩვეულებრივი ცრურწმენები *obstacles epistemologigus*, მის ადგილს იკავებენ პრობლემები, რომლებიც თეორიულად დასაბუთებულ მეცნიერულ კვლევას საუკეთესოდ ესადაგებიან.

ამოვდივართ რა ამისაგან ნათელი ხდება, რომ კონკრეტული ადამიანები არა საზოგადოების, არამედ მისი გარემომცველი გარემოს ნაწილია. მეტად აზრი არა აქვს ვამტკიცოთ, რომ საზოგადოება ადამიანებს შორის „ურთიერთობებისაგან” შედგება. კომუნიკაციის ცნება თავის თავში გაცილებით ზუსტ დაშვებას, ვარაუდებს მოიცავს



(მაგრამ რეკონსტრუქციას უკეთებს იმას, რასაც ჩვეულებრივი სოციოლოგები გულისხმობენ, როდესაც „ურთიერთობის – დამოკიდებულების“ შესახებ ლაპარაკობენ) მაგალითად, არაა საკმარისი ის, რომ ერთი ადამიანი ხედავს ან უსმენს მეორეს, თუნდაც იგი მის ქცევას მაუწყებლობისა (ცნობებისა) და ინფორმაციის განსხვავების დახმარებით აკვირდებოდეს. თუ ვინმეს შესახებ ლაპარაკობენ ან წერენ, ეს აგრეთვე ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმისთვის, რათა მისადმი დამოკიდებულება სოციალურ დამოკიდებულებად ჩაითვალოს. სოციალურ ოპერაციას მხოლოდ თვითონ კომუნიკაცია წარმოადგენს.

ტერიტორიული საზღვრების ცნებაც ასევე ზედმეტი ხდება და ამითვე ზედმეტია ვარაუდი – დაშვება რეგიონალური საზოგადოებათა მრავალმხრივობის შესახებ. ის, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს სივრცეს და სივრცობრივ საზღვრებს, გამომდინარეობს მათი კომუნიკაციური გამოყენებისაგან, მაგრამ თვით კომუნიკაციას არა აქვს სივრცული (სივრცეში) ადგილი. თავისი მატერიალური სუბსტრატის გამო იგი რასაკვირველია, შეძლება დამოკიდებული იყოს სივრცულ პირობებზე. ცხოველთა სამყაროში სივრცული ურთიერთობები – დამოკიდებულებები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, თუ ერთადერთი წესი არა სოციალური წესრიგის გამოთქმისა, მაგრამ სოციოკულტურული სამყაროს ევოლუცია ენის, დამწერლობის, ტელეკომუნიკაციების წყალობით იმდენად ამცირებს სივრცობრივ – ვრცეულ ურთიერთობათა მნიშვნელობას, რომ დღეს უნდა ამოვიდეთ იმისაგან, რომ კომუნიკაცია განსაზღვრავს სივრცის შემორჩენილ მნიშვნელობას და არა პირიქით, მაგრამ სივრცე უშვებს და ზღუდავს კომუნიკაციას.

და ბოლოს, კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეიძლება კარგად ავხსნათ, რომ საზოგადოება არის თვითაღმწერი და თვითდამკვირვებელი სისტემა. უკვე მარტივი კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ წინამორბედ და შემდგომ კომუნიკაციათა რეკურსიულ ქსელში. ასეთ ქსელს შეუძლია თავისი თავის თემატიზირება, შეუძლია ინფორმაცია მიაწოდოს თავის თავს, საკუთარი კომუნიკაციების შესახებ, შეიძლება ექვის ქვეშ დააყენოს ინფორმაცია, არ მიიღოს იგი, ნორმირებული გახადოს კომუნიკაცია, როგორც დასაშვები ან დაუშვებელი და ა.შ. რადგან ყველაფერი ეს ხდება მხოლოდ მისი მხრიდან კომუნიკაციის ოპერატიულ ნაწილში. ამით კი ნათელი ხდება ნივთების ორმაგი მდგომარეობა: რომ საზოგადოება არის თვითაღმწერი და თვითდამკვირვებელი სისტემა და რომ მას არა მხოლოდ შეუძლია გამოიყენოს ოპერაციის თავისი წესი, არამედ ვალდებულია – უნდა ეს გააკეთოს, რათა ასეთი თვითაღმწერი ოპერაციები განახორციელოს. ეს აგრეთვე მეცნიერებას, მათ შორის სოციოლოგიასაც ეხება. ყველა კომუნიკაცია საზოგადოების შესახებ საზოგადოების მიერ მათ სტანდარტიზირებაზეა დამოკიდებულია. რომელიმე გარე დამკვირვებელი რამდენიმე საკმარისი კომენტარებით არ არსებობს, თუმცა ყოველ ცალკეულ ცნობიერებას შეუძლია იფიქროს იმის შესახებ, რადაც იგი საზოგადოებას თვლის; ხოლო ყოველ იმუნურ სისტემას შეუძლია დააკვირდეს თავის თავს, ყურადღებით ეკიდება რა ავადმყოფობას, რომელიც წარმოიშვა ადამიანთა მხოლოდ საერთო – ერთობლივი საზოგადოებრივი ცხოვრების შედეგად და ა.შ.

ახლა ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ საზოგადოების ცნება შუალედური რეზულტატის სახით. საზოგადოება წარმოადგენს ყველა თავისი თავის აუტოპოესისურად კვლავწარმოებული კომუნიკაციების ყოვლისმომცველ სისტემას, მაშინ როდესაც იგი



აწარმოებს ყველა ახალ (და ყველა დროში სხვა) კომუნიკაციას კომუნიკაციის რეკურსიულ ქსელში. ასეთი სისტემის ემერჯენტულობა მოიცავს კომუნიკაციებს, რადგან მათ უნარი შესწევთ მხოლოდ შინაგანი სახით ჩაერთონ. ყველა სხვას იგი გამორიცხავს. ამგვარად, ერთ-ერთი ასეთი სისტემის კვლავწარმოება მოითხოვს სისტემისა და (გარემომცველი სინამდვილის) გარემოს განსხვავების უნარს. კომუნიკაციებს შეუძლიათ გამოიცილონ კომუნიკაციები, განასხვავონ ისინი სხვა გარემოებებისაგან, რომლებიც ეხებიან გარემოს იმ აზრით, რომ თუმცა შესაძლებელია მათი გზით კომუნიკაციების განხორციელება, მაგრამ არა მათთან.

ამას მივყავართ კითხვასთან იმის შესახებ, თუ რა იცვლება, როდესაც ჩვენ ამ ცნებას ვიყენებთ? რა გახდება ხილვადი და რა უხილავი თუ ჩვენ ვაკვირდებით მოცემული ფორმებით? გვაძლევს კი ეს ცნება მისადგომს „აღლა დიციბილე ა დელ ნონ დიციბილე“?

ჩვენ ვკარგავთ შესაძლებლობას გავაკეთოთ გამოთქმები „ადამიანზე“ (მხოლოდ რიცხვში) იმისთვის, რათა ამისაგან დავიწყოთ. მრავალთა მიერ ეს ავადმყოფურად აღიქმება. მაგრამ თუ სწორია, რომ „ადამიანი“ საზოგადოდ მხოლოდ 18-ე საუკუნის დასასრულიდან ჩნდება- ვლინდება, მაშინ შეიძლება საკმარისი საფუძველით ვთქვათ: Forget it! (დავივიწყოთ იგი). იგი მიეკუთვნება გარდამავალ დროს, როდესაც ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო თანამედროვე საზოგადოების ადეკვატური აღწერა, ამის ნაცვლად საჭირო იყო მომავლის ილუზიებში გადაშვება იმისთვის, რათა „საზოგადოება – მომავალი – ადამიანი“-ს სემანტიკური ასოციაციის ანგარიშზე გაუმჯობესების უნარის მქონე მთლიანობის იმედი შეენარჩუნებინა. მოჩვენებითი ადამიანის (ან კიდევ უფრო ცუდი: ადამიანის სახის) ამ პროექციას უარი უნდა ეთქვა იმისაგან რათა ადამიანი მცენარეებისაგან და ცხოველებისაგან განსხვავების მეოხებით განესაზღვრა. ამიტომ მან შემოგვთავაზა თავის საპირისპირო ცნების გარეშე მოცემული ცნების ფორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ცუდი და კარგი ადამიანების განსხვავების მეშვეობით დიდი ალბათობაა იმისა, რომ მომავლის სფეროში აღმოვჩნდეთ.

უნდა შევწიროთ იგი, გულდამძიმებით თუ პირიქით, როგორც გვინდა. რას მოვიგებთ თუ ამის ნაცვლად შემოგთავაზებთ დიფერენციალურ ცნებას, სახელდობრ: საზოგადოების ცნების ფორმით, რომელიც მოითხოვს ყველაფრის დაფარვას სისტემად და გარემოდ და თავიდან ავიცილებთ გამოთქმებს განსხვავების ერთიანობის შესახებ? ლუმანი ამ კითხვის განხილვას: ენის, ინდივიდების, საზოგადოების და რაციონალურობის ცნებასთან მიმართებაში გვთავაზობს.

**ნიკლას ლუმანის სისტემების თეორია (იაგო კაჭკაჭიშვილის მიხედვით)  
ბიოგრაფიული ცნობები**

ნიკლას ლუმანი დაიბადა 1927 წლის 8 დეკემბერს გერმანიის ქალაქ ლუნებურგში. 1944 წელს, 15 წლის ასაკში მსახურობდა გერმანიის საჰაერო ძალებში, დამხმარე პერსონალად. 1945 წელს იგი შეიპყრეს ამერიკელმა სამხედროებმა. 1946 – 49 წლებში ლუმანი სწავლობს იურისპრუდენციას ქ.ფრაიბურგში. 1954 წელს სამოქალაქო საქმეების



გარჩევით არის დაკავებული ლუნებურგის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. 1955-62 წლებში ლუმანი ქვედა საქონის ფედერალური შტატის პარლამენტის მრჩეველია, ხოლო მოგვიანებით – მთავრობის მრჩეველიც. 1960 – 61 წლებში იღებს შესვენებას და სასწავლებლად მიემგზავრება ჰარვარდის უნივერსიტეტში (აშშ) ტალკოტ პარსონსთან. 1960 წელს ქორწინდება კიდევ.

1964 წელს ნ. ლუმანი აქვეყნებს თავის პირველ წიგნს “ფორმალური ორგანიზაციის ფუნქციები და შედეგები”. 1965 წელს იგი ინიშნება დორტმუნდის სოციალური კვლევების ცენტრის განყოფილების გამგედ. 1968 წელს ლუმანი ხდება სოციოლოგიის პროფესორი ბილფელდის უნივერსიტეტში. ლუმანის სამეცნიერო მუშაობა ძირითადად მიმართულია იმ მექანიზმის კვლევაზე, რაც სისტემის შექმნის საფუძველია.

1971 წელს ლუმანს გარდაეცვალა მეუღლე, იგი სამ შვილთან ერთად აგრძელებს ცხოვრებას თავის სახლში – ორლინგჰაუზენში.

1984 წელს ნ. ლუმანი აქვეყნებს თავის მთავარ შრომას “სოციალური სისტემები”. 1988 წელს ლუმანს ანიჭებენ ჰეგელის პრიზს, ე. შტუტგარტში. ნიკლას ლუმანი ნაადრევად გარდაიცვალა 1998 წლის 6 ნოემბერს სიმსივნით.

## 2.1 ლუმანი და პარსონსი

ლუმანმა დაამუშავა სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც თავის საზრდოს ფუნქციონალიზმისგან იღებს. ლუმანი პარსონსის თეორიას მიიჩნევს ერთადერთ ზოგად თეორიად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ახალი სოციოლოგიური მიდგომის გაჩენა. თავის შრომების გამოქვეყნება ლუმანმა 1960-იანი წლებიდან დაიწყო და მათი უმრავლესობა იყო ერთგვარი დიალოგი პარსონსის ფუნქციონალიზმთან. ლუმანის ძირითადი შრომა “სოციალური სისტემები”, რომელიც 1984 წელს გამოვიდა, დიდადაა დავალებული პარსონსის ევოლუციური ფუნქციონალიზმისგან. თუმცა, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ლუმანი პარსონსს პრინციპულად შორდება რამდენიმე საკითხში:

ა) პარსონსის თეორიაში არაფერია ნათქვამი საზოგადოების, როგორც სისტემის, “თვითრეფერენციაზე” (თვითმართვაზე, თვითაღწერაზე). არადა, ლუმანის აზრით, საზოგადოებას აქვს უნარი, მიმართოს საკუთარ თავს. საზოგადოების ნებისმიერი თვითაღწერა ორ სივრცეს შემოხაზავს: ერთია ის, რაც არ არის საზოგადოება (ანუ, ის, რაც “გარეგანია”), ხოლო მეორეა ის, რასაც ქმნის აღწერა საზოგადოების შიგნით. თვითრეფერენცია ნებისმიერი სისტემის მახასიათებელია. ლუმანი წერს: “თვითრეფერენცია ნიშნავს, რომ სისტემებს აქვთ უნარი, განასხვავონ მათი საკუთარი ფუნქციონირება ყველა დანარჩენისგან და რომ სისტემას ძალუმს გამოყოს საკუთარი თავი გარემოსგან”.

ბ) როგორც ჯ. რიტცერი შენიშნავს, პარსონსი არ აღიარებს შემთხვევითობას. ეს სხვანაირად იმას ნიშნავს, რომ პარსონსი აღიარებს საზოგადოების არსებობის ერთ მოდელს (კერძოდ, იმას, რომელიც შეესაბამება AGIL სქემას) და გამორიცხავს მისი



სხვაგვარად ფუნქციონირების შესაძლებლობას. AGIL სქემას პარსონსი უყურებს არა როგორც შესაძლებელ მოდელს, არამედ როგორც ფაქტს. სტრუქტურული ფუნქციონალიზმი ყველა სისტემის (და ქვესისტემის) არსებობის აუცილებელ პირობად მიიჩნევს ოთხი (ადაპტაცია, მიზნის მიღწევა, ინტეგრაცია, ლატენტურობა) ფუნქციონალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, აღიარებს საზოგადოების სწორხაზოვანი ევოლუციური პროცესის იდეას. ლუმანის მიხედვით, ნებისმიერი სისტემა თვითორგანიზებადია: ის თავად განსაზღვრავს მისი ფუნქციონირების პირობებს. თვითორგანიზება გამორიცხავს დეტერმინიზმს. ნებისმიერი განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის გაგებული უნდა იქნეს როგორც შესაძლებლობა (შემთხვევითობა), ანუ ის, რაც შესაძლებელია სხვანაირი ყოფილიყო.

გ) თანამედროე საზოგადოება, ლუმანის თანახმად, ფუნქციურად დიფერენცირებული სისტემაა, რომლის ქვესისტემებიც ერთმანეთის და საერთოდ, მთელი სისტემის მიმართ ავტონომიურობას ინარჩუნებს. პარსონსისგან განსხვავებით, ლუმანი უარყოფს სისტემური მთლიანობის შესაძლებლობას. იგი არ უყურებს სოციალურ სისტემას როგორც ინტეგრირებულ ორგანიზმს, რომელიც ნორმატიული ღირებულებებითაა “შეკრული”. ლუმანს აქცენტი ინტეგრაციიდან დიფერენციაციაზე გადააქვს. იგი ამტკიცებს, რომ ყოველი სისტემა (ან სუბსისტემა) თვითკმარი და თვითქმნადია. ლუმანი წერს:

“ამრიგად, არ არსებობს არავითარი ნორმატიული ინტეგრაცია ინდივიდებისა საზოგადოებაში. სხვა სიტყვებით, არ არსებობს არავითარი ნორმები, რომელთაგან ვინმეს შეუძლია გადაიხაროს, თუ ამის სურვილი ექნა... არსებობს მხოლოდ ეკვივალენტური დაკვირვებადი სქემა, რომელშიც დამკვირვებელი თვითგანსაზღვრავს იმაზე დაკვირვებას, ქცევა ეთანხმება თუ შორდება ნორმას. და ეს დამკვირვებელი ასევე, შეიძლება იყოს კომუნიკაციური სისტემა – სასამართლო, მასმედია და აშ. თუ ჩვენ გვინდა ვიკითხოთ, თუ რა არის სინამდვილეში ნორმების ან კონსენსუსის საფუძველი, მაშინ ჩვენ უნდა დავაკვირდეთ დამკვირვებელს. და თუ ჩვენ ღმერთს აღარ მივიჩნევთ სამყაროს დამკვირვებლად, მაშინ არსებობს სხვადასხვა შესაძლებლობები”

## 2.2 საზოგადოება როგორც “აუტოპოეზისური” სისტემა

ლუმანის აზრით, არსებობს საზოგადოების ცნებასთან დაკავშირებული სამი ეპისტომოლოგიური წინააღმდეგობა, რომელსაც ტრადიციული სოციალური თეორია ქმნის”

1. პირველი წინააღმდეგობა ეხება მოსაზრებას, რომ საზოგადოება შედგება ადამიანებისაგან, ან ადამიანებს შორის ურთიერთობებისგან. ლუმანი ამას “ჰუმანისტურ გაუგებრობას” უწოდებს. თუ საზოგადოება ადამიანებისაგან შედგება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ “პარიკმახერი საზოგადოებას ჭრის თმას?” ან რომ საზოგადოებას “ზოგჯერ ინსულინი ჭირდება?”



2. მეორე შეცდომა მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ არსებობს ტერიტორიულად მრავალგვარი საზოგადოება (მაგალითად ჩინეთის, ბრაზილიის, პარაგვაის და ა.შ საზოგადოებები). რასაკვირველია, არსებობს განსხვავებები სხვადასხვა ტერიტორიების საცხოვრებელ პირობებს შორის, მაგრამ ეს განსხვავებები უნდა აიხსნას როგორც საზოგადოების შიგნით და არა საზოგადოებებს შორის არსებული განსხვავებები. თუ აქცენტს ტერიტორიულ განსხვავებებზე გავაკეთებთ, მაშინ სოციოლოგია გეოგრაფიას “დაუთმობს” თავისი ცენტრალური პრობლემის გადაჭრას.

3. მესამე შეცდომა ეხება განსხვავებას სუბიექტს და ობიექტს (აზროვნებასა და ყოფიერებას, კონვინციასა და საგანს) შორის. კონვინცია, როგორც ასეთი, გამოცალკევებული იყო მისი ობიექტისაგან. ამ დაყოფის თანახმად, მხოლოდ სუბიექტს გააჩნია თვითრეფერენციის პრივილეგია, ხოლო საგნები რჩებიან ისეთი, როგორც არიან.

საზოგადოების შესახებ თეორიები საზოგადოებაში არსებული თეორიებია. მის გარეშე არ არსებობს საზოგადოების ადეკვატური ცნება. სხვა სიტყვებით, საზოგადოების ცნება უნდა ფორმირდეს აუტოლოგიკურად. ის უნდა შეიცავდეს საკუთარ თავს საკუთარ თავში.

ლუმანი მოითხოვს, რომ სისტემა განვიხილოთ სპეციფიკური განსხვავების კონტექსტში. ესაა განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის. ლუმანი წერს:

“სისტემა ესაა განსხვავების ფორმა, რომელსაც, შესაბამისად, ორი მხარე გააჩნია: სისტემა (როგორც ფორმის შიდა მხარე) და გარემო (როგორც ფორმის გარეთა მხარე). მხოლოდ ეს ორი მხარე ერთად ქმნის განსხვავებას, ქმნის ცნებას. ამრიგად, გარემო ამ ფორმისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია და აუცილებელი, ორგორც თავად სისტემა... ყველაფერი, რასაც შეიძლება დავაკვირდეთ და ავღწეროთ ამ განსხვავებასთან მიმართებაში, მიეკუთვნება ან სისტემას ან გარემოს”.

ლუმანი თავად სვამს კითხვას: როგორ იქმნება ფორმა, ანუ განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის? ლუმანის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: სისტემა თვითქმნადია, ანუ თავად ქმნის განსხვავებას მასსა და გარემოს შორის. სწორედ ამას აღნიშნავს სისტემის “აუტოპოეზისურობა”. ლუმანი მოითხოვს, რომ “აუტოპოეზისის” ცნება განვასხვავოთ “აუტოპრაქსისის” ცნებისაგან. ეს უკანასკნელი თვითდაკმაყოფილებაზე მიმართულ საქმიანობას უკავშირდება, როგორცაა, მაგალითად, თამბაქოს მოწევა, ცურვა, ჭორაობა, მსჯელობა. აუტოპოეზისი, ამისაგან განსხვავებით, კავშირშია იმასთან, რასაც ლუმანი “სისტემის ოპერაციულ დახურულობას” უწოდებს. საზოგადოების ერთერთი ლუმანისეული განსაზღვრება სწორედ ამას გულისხმობს: “საზოგადოება ოპერაციულად დახურული აუტოპოეზისური სისტემაა”. ეს არ ნიშნავს სისტემის იზოლაციურობას, ავტარქიას. ლუმანის აზრით, ის იმ ტრივიალურ ვითარებას გამოხატავს, რომ “არცერთ სისტემას არ შეუძლია ოპერირება მის საზღვრებს გარეთ.

მართალია, ლუმანი საუბრობს საზოგადოების ცნებაზე, მაგრამ სისტემების ოპერაციულო ჩაკეტილობის მიზეზით, საზოგადოება, როგორც ასეთი, არც არსებობს. ის,



რაც არსებობს, არის მხოლოდ სოციალურ სისტემებს შორის კომუნიკაცია. საზოგადოების ცნება ლუმანთან მხოლოდ სახელია სოციალურ სისტემათა ერთობლიობის აღსანიშნავად. ლუმანი ამტკიცებს, რომ თანამედროვე საზოგადოებას არ აქვს ცენტრი და არ არსებობს ერთი ცენტრალური სუბსისტემა, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ან სამოქალაქო საზოგადოება. თანამედროვე საზოგადოებებს ახასიათებს კომპლექსურობა, რაც ფუნქციონალური დიფერენციაციის შედეგია. დიფერენციაციის და არა ინტეგრაციის საშუალებით ხდება საზოგადოების ფუნქციონირება. სოციალური ცვლილებები შესაძლებელია სწორედ ფუნქციონალური განსხვავებების წყალობით. სწორედ ამიტომ, ლუმანის მიხედვით, საზოგადოება უკვე აღარ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანი. შეუძლებელია ლაპარაკი სისტემურ ინტერაციაზე. აუტოპოეზისის ცნება უკავშირდება ნებისმიერ სისტემას – ეკონომიკას, პოლიტიკურ სისტემას, საკანონმდებლო სისტემას, სამეცნიერო სისტემას, ბიუროკრატიას და ა.შ.

აუტოპოეზისური სისტემები, როგორც ითქვა, ადგენენ თავის საკუთარ საზღვრებს იმით, რომ ატარებენ განსხვავებას იმას, რაც თავად სისტემას მიეკუთვნება და გარემოს შორის. კარგად წერს რიტცერი: “აუტოპოეზისური სისტემები თვითორგანიზებადია ორი აზრით: ისინი ახდენენ, ერთი მხრივ, თავისი საკუთარი საზღვრების და მეორე მხრივ, თავისი შინაგანი სტრუქტურის ორგანიზებას... მაგალითად, ეკონომიკური სისტემა ყველაფერს, რაც იშვიათია და რასაც შეიძლება ფასი დაედოს, თვლის ეკონომიკური სისტემის ნაწილად. ჰაერი ყველგან ურიცხვი რაოდენობით არსებობს, ამიტომ მას ფასს არ ადებენ და ის არ წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ნაწილს. თუმცა, ჰაერი გარემოს აუცილებელი ნაწილია.”

ოპერაციულად დახურული სისტემა საკუთარი თავიდან გამორიცხავს ადამიანებს, როგორც ცოცხალ და ცნობიერ არსებებს, ისევე როგორც – განსხვავებულ ქვეყნებს, თავისი გეოგრაფიული და დემოგრაფიული თავისებურებებით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები და ქვეყნები “უჩინარდება” სისტემების თეორიისათვის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი არა საზოგადოების (სისტემის), არამედ მისი გარემოს ნაწილებია. ლუმანისათვის მხოლოდ სისტემები და არა სოციალური აქტორებია ჩართული კომუნიკაციაში. ლუმანი მოითხოვს, რომ სუბიექტის ფილოსოფიამ ადგილი დაუთმოს თვითამდღერი სისტემის თეორიას. იგი წერს:

“თუ ძალზე მკაცრი ფორმით ჩამოვყალიბებთ, ინდივიდის “მონაწილეობა” საზოგადოებაში გამორიცხულია. არ არსებობს არავითარი კომუნიკაცია ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, რამდენადაც კომუნიკაცია ყოველთვის არის სოციალური სისტემის შინაგანი ოპერაცია. საზოგადოებას არასოდეს შეუძლია გავიდეს საკუთარი თავის გარეთ თავისი საკუთარი პროცედურებით და მოიცვას ინდივიდი. მას შეუძლია მხოლოდ მისი საკუთარი პროცედურების კვლავწარმოება მისივე საკუთარი პროცედურებით. საზოგადოებას არ შეუძლია ოპერირება მისი საკუთარი საზღვრების გარეთ.”

მაშასადამე “განსხვავების” ცნება ცენტრალურია ლუმანის თეორიაში. ბაზისური კოდები, რომელთა საშუალებითაც ინფორმაცია მუშავდება, ბინარულია და ქმნის



განსხვავებას “შიდას” და “გარეს” შორის. ლუმანის არგუმენტი ისაა, რომ განსხვავება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მოცემულ სისტემის შიგნით. არ არსებობს აბსოლუტური და დამოუკიდებელი ათვლის წერტილი, საიდანაც საზოგადოება თავის თავის დააკვირვება ან რეპრეზენტაციას მოახდენს (როგორცაა, მაგალითა, ღმერთი, სახელმწიფო ან იმპერატორი).

აუტოპოეზისურ სისტემასა და მის საბაზო ელემენტებს შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანპირობებულობა. მაგალითად, პოლიტიკური სისტემის (რომელიც ერთ-ერთია სხვა სისტემათა შორის) საბაზისო ელემენტი ძალაუფლებაა. ძალაუფლების მნიშვნელობა და მისი გამოყენების ხერხები განისაზღვრება თავად პოლიტიკური სისტემის მიერ. მეორე მხრივ, პოლიტიკური სისტემა ძალაუფლების გარეშე კვაზისისტემაა. მსგავსად ამისა, ეკონომიკური სისტემის საბაზო ელემენტი ფულია, რომელიც ამ სისტემის გაჩენამდე არ არსებობდა. ფულის თანამედროვე ფორმა და ეკონომიკური სისტემა ერთად წარმოიშვა და ერთმანეთზე დამოკიდებული. “შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ეკონომიკური სისტემა ფულის გარეშე. თავის მხრივ, ფული ეკონომიკური სისტემის გარეშე მხოლოდ ქაღალდის ან ლითონის ნაჭერია და სხვა არაფერი.”

ყველა გარეგანი პოზიცია, საიდანაც დაკვირვება შეიძლება იწარმოებოდეს, უჩინარდება. ამის ნაცვლად ლუმანი ამტკიცებს, რომ ყველა დაკვირვებამ უნდა მიიღოს “თვითდამკვიდრების” ან “თვითაღწერის” ფორმა. “ოპერაციონალურად ჩაკეტილი” სისტემები არ მოითხოვენ “გარედან” მნიშვნელობის (“საზრისის”) მინიჭებას იმისათვის, რათა იფუნქციონირონ. სუბსისტემებმა უნდა მოახდინონ თვითდაკვირვება, რათა განასხვავონ საკუთარი თავი მათი გარემოსაგან, ე.ი. სხვა სუბსისტემისაგან. ამ აზრით, სუბიექტი როგორც ნარატორი ჩანაცვლებულია სუბიექტი დამკვირვებლით. დაკვირვებას როგორც თვითდაკვირვებას და თვითაღწერას ლუმანი “მეორე რიგის დაკვირვებას” უწოდებს. ლუმანის იდეა მეორე რიგის დაკვირვების შესახებ, შეიძლება დავინახოთ საზოგადოების ბევრ სფეროში. მაგალითად, საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკაში ფუნქციონირებს როგორც განსხვავებული ჯგუფების “სარკე”. ხელოვნებაში მეორე რიგის დაკვირვებები ცვლის პირველი რიგის დაკვირვებებს, რამდენადაც ხელოვნება აღარ ახდენს იმის რეპრეზენტაციას, რაც მის გარეთაა და უპირატესად თვითრეფერენციული ხდება. მეცნიერებაში მეთოდოლოგიის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია და ა.შ.

### 2.3 კომუნიკაცია

ლუმანის სისტემების თეორიისათვის ცენტრალურია კომუნიკაციის ცნება. ლუმანს მნიშვნელოვნად მიაჩნია საკითხი: როგორია ის ოპერაცია, რომელიც ქმნის სისტემას და ქმნის მას მისი პროდუქტებისაგან, ანუ კვლავქმნის სისტემას? ლუმანი ამ კითხვაზე პასუხის საფუძვლად იღებს კომუნიკაციის ცნებას. თუმცა, ლუმანთან კომუნიკაცია ისეთი პირობაა, რომელსაც კავშირი აქვს გაწყვეტილი სოციალურ მოქმედებასთან. სწორედ კომუნიკაციის ცნებამ უნდა “გადართოს” სოციოლოგიური თეორია მოქმედების





თეორიიდან სისტემის თეორიაზე. საქმე ისაა, რომ მოქმედების ცნების შემთხვევაში ჩვენ თავიდან ვერ ავიცილებთ გარეგან მიმართვებს ისეთი სოციალური ფენომენებისადმი, როგორცაა: მოქმედების საგანი, ინდივიდი, ადგილი სივრცეში. სოციალური სისტემა (როგორც ოპერაციულად დახურული სისტემა) შედგება მხოლოდ მისი საკუთარი ოპერაციებისაგან, რომლებიც კვლავიქმნება კომუნიკაციების საშუალებით ისევ კომუნიკაციებისაგან. მხოლოდ კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეგვიძლია ვიფიქროთ სოციალურ სისტემაზე როგორც აუტოპოეზისურ სისტემაზე. სისტემა შედგება კომუნიკაციებისაგან, რომლებიც ახდენენ სისტემის წარმოებას და კვლავწარმოებას ისევ კომუნიკაციის ქსელის საშუალებით. ლუმანი წერს:

“საზოგადოება არის სრული სისტემა ყველა კომუნიკაციისა, რომლებიც კვლავიქმნიან თავიანთ თავს აუტოპოეტიკურად კომუნიკაციათა განახლებადი ქსელის საშუალებით, რომელიც ქმნის ახალ (და ყოველთვის სხვა) კომუნიკაციებს... ამრიგად, ასეთი სისტემის კვლავწარმოება მოითხოვს იმის კომპეტენციას, რომ მოახდინოს განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის. კომუნიკაციებს შეუძლიათ მოახდინონ კომუნიკაციების იდენტიფიკაცია და მათი განსხვავება სხვა მოვლენებისაგან, რაც მიეკუთვნება გარემოს იმ აზრით, რომ ვინმეს ნამდვილად შეუძლია მათ შესახებ და არა მათთან კომუნიკაცია.”

თუ კომუნიკაცია სისტემის შიდა სტრუქტურას ეხება, მაშინ კონკრეტული ადამიანები არ არიან მათი შემქმნელები, რამდენადაც ადამიანები არა სისტემის, არამედ მისი გარემოს ნაწილებია. ლუმანის აზრით, თითქმის არავითარი აზრი არა აქვს იმის თქმას, რომ “საზოგადოება შედგება ადამიანთა შორის ურთიერთობებისაგან”. კომუნიკაციის ქვეშ, ლუმანის აზრით, გაცილებით სპეციფიკური სქემა იგულისხმება – ესაა განსხვავების დაფიქსირება ინფორმაციას, კომუნიკაციის აქტსა და გაგებას შორის. კომუნიკაცია ამ სამი ასპექტის სინთეზია. მათ შორის განსხვავების დაკვირვების გარეშე არც ერთი კომუნიკაცია არ შედგება. არ არის, მაგალითად, საკმარისი, რომ ვინმე უყურებს ან უსმენს სხვას, აუცილებელია საკუთარ ქცევაზე დაკვირვება იმ განსხვავების დახმარებით, რომელიც არსებობს ინფორმაციისა და კომუნიკაციის აქტს შორის. მხოლოდ კომუნიკაცია თავისთავად წარმოადგენს სოციალურ ოპერაციას.

კომუნიკაციის ცნება ნათელს ხდის, რომ საზოგადოება არის თვითაღმწერი და თვითდაკვირვებადი სისტემა. თუნდაც უმარტივესი კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ ადრეული და შემდგომი კომუნიკაციების განახლებად ქსელში. ასეთ ქსელს შეუძლია გახდეს საკუთარი თავის საგანი, შეუძლია მოახდინოს საკუთარი თავის ინფორმირება მისივე კომუნიკაციების შესახებ. შეუძლია ეჭვი შეიტანოს ინფორმაციაში, უარყოს იგი და ა.შ. ყველა კომუნიკაცია საზოგადოებასთან მიმართებაში პირობა დადებულია საზოგადოების მიერ. არ არსებობს გარეშე დამკვირვებელი, რომელიც რამეს, თუნდაც რამდენადმე ადეკვატურ კომპეტენციას ფლობს.

ნებისმიერი კომუნიკაცია ხორციელდება კოდების საშუალებით. კოდი ესაა სისტემების ფუნქციონირების ძირითადი “ენა”, რომელიც ახდენს სისტემების ელემენტების გამოცალკევებას იმ ელემენტებისაგან, რომლებიც სისტემას არ ეკუთვნის, მაგალითად მეცნიერების სისტემის ძირითადი კოდი ჭეშმარიტებაა, სამართლის სისტემის კოდი –



კანონიერება, ეკონომიკის სისტემის კოდი – გადახდა და ა.შ. ლუმანის მიხედვით, სისტემები თავიანთი კოდებით ავტონომიური და ჩაკეტილია: არც ერთი სისტემა არ იყენებს სხვა სისტემის კოდებს. მეტიც: სისტემებისათვის გაუგებარია ერთმანეთის კოდები. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ერთი სისტემის კოდს გადაიყვანს სხვა სისტემის კოდურ რეჟიმში. მოცემულ სისტემას სხვა სისტემის შეფასება ან მისდამი მიმართვა შეუძლია მხოლოდ საკუთარი “სათვალეებით”. მაგალითად, ეკონომიკის სისტემას მეცნიერების სისტემის “დანახვა” შეუძლია მხოლოდ მოგების ან კაპიტალდაბანდების განასერში.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, ლუმანის სოციალური თეორია ახლოა პოსტმოდერნიზმთან, რამდენადაც ის ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს “განსხვავებას”. საზოგადოება აღარ არის რაღაც, რაც ინტეგრირებულია კერძო აქტორების ან სოციალური ინსტიტუტების ძალაუფლების მიერ. ის კომუნიკაციების განსხვავებული პროცესების სისტემაა.

### *ნიკლას ლუმანის სოციალური სისტემები (ანტონოვსკაიას მიხედვით).*

„დავიწყით საზოგადოებრივი სემანტიკის პიესით და წარმოვიდგინოთ, რომ ლუმანი – ჰამლეტია. საქმე ისაა, რომ იგი იცვლის პოზიციებს, მაგრამ თავისი პერსპექტივის ერთგული რჩება: მას არ შეუძლია ჩამოვიდეს სცენიდან და უყუროს პიესას სახელწოდებით „საზოგადოება“ პარტერიდან. და ასე – სისტემური დეფინიციის მეშვეობით – იგი შიგნით აბრუნებს (მიმართავს) მაცურებელთა გარე სამყაროსთან არსებულ საზღვარს და იწყებს პიესის პიესაში დადგმას. ეს აქცევს მას დამკვირვებლად. პიესას ეწოდება „გონზაგოს მკვლელობა, ანუ ძველი ევროპული სემანტიკის სიკვდილი“

D.Dchvanitz. Verlorene Illusionen.  
Soziologische Revue, Helf 2. 1996 s. 127

#### 1. რისგან შედგება საზოგადოება?

არცერთ გერმანელ სოციოლოგს არ მოუხდენია იმდენად ძლიერი გავლენა სოციოლოგიური თეორიის ფორმირების პროცესზე, როგორც ქალაქ ბილფელდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ნიკლას ლუმანმა თავისი, უნივერსალობის პრეტენზიის მქონე დიფერენცირებულ სოციალურ სისტემათა თეორიის შექმნით. მან გვიჩვენა სოციოლოგიის რელევანტურობა ისეთი უფრო მეტად დამოუკიდებელი სფეროებისათვის, როგორებიცაა, იურისპრუდენცია, რელიგიათმცოდნეობა, ხელოვნების თეორია, შემეცნების თეორია. სოციოლოგიური ანალიზის მსვლელობაში ლუმანმა წარმატებით გამოიყენა სისტემურ-თეორიული მეთოდები, რომლებიც ადრე გამოიყენებოდა ისეთ თეორიებში, როგორიცაა სისტემათა ზოგადი თეორია, კიბერნეტიკა, ბიოლოგია და ფიზიოლოგია.

ლუმანის ამოსავალი პოზიციები ფორმულირებულია 70-იანი და 80-იანი წლების დასაწყისში გამომავალ ხუთი ტომისაგან შემდგარ შრომაში „სოციოლოგიური



განმანათლებლობა” (Soziologische Aufklärung), სადაც ლაიტმოტივად აქლერდა აზრი იმის შესახებ, რომ სოციოლოგიას არანაირად არ შეუძლია მიიღოს კლასიკური განმანათლებლობის მემკვიდრეობა, ვინაიდან უსუსურნი-უუნარონი აღმოჩნდნენ „ძველი ევროპული ტრადიციების” თავად საფუძვლები, უწინარეს ყოვლისა კი წარმოდგენა, რომ ადამიანს თავად ძალუმს შექმნას საკუთარი შინაგანი და გარეგანი ბუნება, დაეყრდნოს თავის გონებას, რომლის იდეებსაც ექნებოდა საყოველთაო მნიშვნელობის ხასიათი. კრახი განიცადა პროგრესის რწმენამ, რომელიც კვებავდა „სრულყოფილი” საზოგადო-ებრივი წესრიგის შექმნისა და მისი „ეთიკური” მართვის იმედებს. აღმოჩნდა, რომ ადამიანური საქმიანობა და შემეცნება ხელმძღვანელობენ არა გონივრული საფუძვლებით, არამედ რომელიღაც მეორადი მიდრეკილებებით და მისწრაფებებით, შენიღბული და ნახევრადგააზრებული ინტენციებით, საუკეთესო შემთხვევაში – სოციალურად გააზრებული სტრატეგიებით. ამ „უკანახედურმა” ორიენტირებმა მიიღეს „იდეოლოგიების” სახელწოდება, მაგრამ მათი ინტერპრეტაციები (როგორც „ინტერესთა გამოთქმა”, „არაცნობიერი მიდრეკილებები-მისწრაფებები” ან უბრალოდ „დაბრმავება”), არ ასახავდნენ მთავარს – მათ ფუნქციონალურ წარმართულობას სულ უფრო რთული და სისტემურ-სპეციფიკური პრობლემების გადაჭრაზე.

თავის opus magnum „სოციალურ სისტემებში”, რომელიც 1984 წელს გამოქვეყნდა, ლუმანი უკიდევანოდ აფართოებს თავისი თეორიის შენობას; თუ ადრე მსჯელობა ეხებოდა სოციალური სისტემების თეორიას მათი დიფერენციაციის ასპექტით, ე.ი. „საზოგადოების შენობის აღწერას, რომელიც დაყოფილი იყო სამზარეულოდ, სასადილოდ, საძინებელ, ჭერად და სარდაფად”, მაშინ ამ წიგნის გამოსვლასთან ერთად თეორიაში შემოდის ახალი ელემენტი – აუტოპოესისი. ახლა საუბარი ეხება კონსტრუქციას, ან უფრო სწორად სახლის „ბლოკებისაგან, აგურებისაგან და ძელებისაგან” აგებას, რომლებიც ქმნიან ერთმანეთთან დაკავშირებულ და სტრუქტურულად თანაფარდობაში მყოფ ელემენტთა სისტემას.

სუბიექტმა დაკარგა თავისი მონოპოლია რეფლექსიასა და თვითმიკუთვნებაზე. აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი თანაბარი ზომით დამახასიათებელია ისეთი თვითაღმწერი (რეფერენტული) სისტემებისათვის, როგორებიცაა საზოგადოება და ბიოლოგიური ორგანიზმი. ადამიანები ლუმანთან მეტად აღარ არიან საზოგადოების წევრები, არამედ მის გარე სამყაროს განეკუთვნებიან. საზოგადოება კი შედგება დროში ერთმანეთის შემცვლელი ხდომილებების-კომუნიკაციებისაგან. საზოგადოების სტრუქტურა წარმოდგენილია დაწესებულებებით, რომლებსაც ძალუმთ ამ წუთიერ ხდომილებათა დაკავშირება, ხოლო სტრუქტურების პრინციპი კომუნიკაციების დიფერენცირებაში მდგომარეობს. თანამედროვე საზოგადოებაში დიფერენცირდება არა ადამიანთა ჯგუფები, არამედ კომუნიკაციების ტიპები, რომლებშიც მონაწილეობენ ადამიანები, თამაშობენ რა ამომრჩეველის, მოსწავლის, მყიდველის როლს. როგორც მთელი, ადამიანი – სისტემის გარე სამყაროს რეალიაა, იგი – დამკვირვებელია, თეორიის ამგებია. მაგრამ საზოგადოების ნებისმიერი, რამდენადმე უნივერსალური თეორია მიეკუთვნება საზოგადოებას (წარმოადგენს შედეგს და თემატიზირდება კომუნიკაციის



პროცესი) და ამ აზრით მიმართულია თავის თავზე, წარმოადგენს თვითშემცვლელ და თვითაღმწერ „პიესას პიესაში“. აქედან მოდის „სინამდვილის გაორების“ მუდმივი პარადოქსები, რომლებიც ლუმანთან იქცევიან სინამდვილის ისეთ ფორმებში აღწერისა და თვითაღწერის ხერხებად, როგორებიცაა „კოდირება“, „მეორე წესრიგის დაკვირვება“.

საუბარია თვითდაკვირვების პარადოქსების შესახებ, რომლებიც წარმოიშობიან სისტემათა დიფერენციაციის პროცესების მიმდინარეობისას და უწინარეს ყოვლისა მოქმედების სისტემებისა და განცდათა სისტემების დიფერენციაციის დროს. განცდების სისტემები უნდა გავიგოთ ყველაზე ფართო აზრით – როგორც ცნობიერების შინაარსი: აზროვნებითი აქტები, ემოციები, შეგრძნებები. თუ ცოტა უხეშად ვიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესები დევს „განცდებზე რედუცირებული“ მეცნიერების სისტემის უფრო გვიანდელი დიფერენციაციის საფუძველში.

თუმცა, პოლიტიკის ჩარჩოებშიც მიმდინარეობს თვითაღწერის პრინციპები, რომელთა შედეგადაც ფორმულირებული იქნა, მაგალითად „ძალაუფლების დანაწილების თეორია“. მაგრამ ლუმანი ფიქრობს, რომ ეს “თეორია” ასეთი არ არის, ვინაიდან მისი ფუნქცია მდგომარეობს განსაზღვრული მოქმედების მიწერაში. მეცნიერული რეფლექსია და ანალიზი, და მასთან ერთად მეცნიერი- დამკვირვებელი დგებიან პარადოქსის წინ, საზრისეული კოლაფსის წინაშე, ვინაიდან, ერთის მხრივ, ისინი უნდა მოქმედებდნენ განსაზღვრული რეგულატივების თანახმად, ხოლო მეორეს მხრივ აფიქსირებდნენ მათ, როგორც თავის ობიექტებს, როგორც ანალიზის ქვემდებარე-მისადგომ, დანაწევრებად და კონტიგენტურ რეალობას. დამკვირვებელი, ანალიტიკოსი განიხილავს რა სამყაროს, როგორც მთლიანობას, აღმოაჩენს მასში განსხვავებებს, განასხვავებს მისგან თავის თავს, მაშასადამე, უნდა დასვას საკითხი ამ სამყაროში თავის ადგილის შესახებ და თავისი ფუნქციის, როგორც (თვით) დამკვირვებლის შესახებ, რომელიც დისტანციას იკავებს სამყაროს მიმართ სწორედ იმისათვის, რათა ჰქონდეს ამ სამყაროს „განცდის” და „დაკვირვების” შესაძლებლობა. [„დაცემული ანგელოზი”, „სულის გამყიდველი”, „სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხიდან ნაყოფის ჩამკბეჩნი” – ყველაფერი ეს წარმოადგენს მოქმედების სისტემისა და განცდის სისტემების დიფერენციაციის სემანტიკურ კორელაციებს, დამკვირვებელ ორგანიზაციათა განაჩენის კორელაციებს]. დაახლოებით ასე მსჯელობს ლუმანი თავის თეორიულ-შემეცნებით შრომაში „სტენოგრაფია”, სადაც მეტაფორულად აღწერს ამ პროცესებს:

„ემმაკი – არსებაა, გატაცებული იმ ერთიანობის დაკვირვების იმპულსით, რომელშიც თვითონ იგი იღებს მონაწილეობას, მაშასადამე, იგი იძულებულია გაატაროს საზღვარი, რომლის მეშვეობითაც მას (როგორც პოლიტიკოსს, პოლიტიკური მრჩეველს, ხელმწიფეს) ძალუმს დაკვირვების განხორციელება. მაგრამ თუ ერთიანი არ არის სიკეთე, მაშინ თავისი თავის შემზღველად დამკვირვებელი – რათა საერთოდ დააკვირდეს – ხდება ბოროტება, რისგანაც გამოდის, რომ ჯერ კიდევ რჩება შემდგომი თვითგანდგომის თამაშის შესაძლებლობა, რითაც დავალებულია ადამიანი თავისი წარმოშობით-გამოვლენითვე. ნათელია, რომ ემმაკი გამოდის განსხვავების საფუძველზე განლაგებული, რომელიდაც წესრიგის წარმომადგენლად და ვალდებულია



კვლავაწარმოოს ისინი, შუა საუკუნეებში გვევლინება ყველაფერ იმის კოსმოლოგიურ ადვოკატად, რაც მოქმედებს მეტისმეტად ქაოტურად, ხდება ადჰოკ – კრატის ღმერთი (. . .) იგი გვევლინება ხან დიდი ინკვიზატორის ბრწყინვალე სამოსელში, ხან „ლატაკი ეშმაკის“ სახით – სულ ერთია იქნება ეს სასაცილოს მოდუსში (საშინელების შესამცირებლად) თუ დაცემული ანგელოზის მელანქოლიურ ფიგურაში, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ცოდვილთა სულების დაჭერის ბინძური სამუშაო, ისე, რომ სავსებით ვერც კი აცნობიერებს – რისთვის. ყველა შემთხვევაში ეს არის მეორადი პრინციპი, რაც მუდამ დამოუკიდებელია იმისაგან, რაც შეუძლებელია დაუსჯელად იქნეს დაკვირვებული. მისი პრობლემა – ერთიანის, ჭეშმარიტისა და სიკეთის ტრანსცენდენტალური ერთიანობა, რომელიც წინასწარგანაწყობს დამკვირვებელს იმის დასაკვირვებლად, ვისაც სურს ამ ერთიანობის დაკვირვება, და ამიტომ მისგან უნდა გაიმიჯნოს, მაშასადამე უნდა მიიწეროს თავის თავზე ბოროტების მატარებლის საპირისპირო თვისება, ხოლო საკუთარი თავი განმარტოს როგორც ცოდვილი. პარადოქსულობა შეუძლებელს ხდის დამკვირვებლის ადგილს სამყაროს განსაზღვრისას. მას შეუძლია მხოლოდ იმის დაკვირვება, რის დაკვირვებაც მას არ ძალუძს”.

გარკვეული პირობითობით ამ საინტერესო წიგნის სათაური შეიძლება გადავთარგმნოთ, როგორც „სცენის აღწერა“ ხსენებულ პარადოქსს ეჯახება აქტორი, რომელიც თამაშობს დავალებულ როლს (პოლიტიკოსის, მეწარმის, აღმზრდელის, მორწმუნის), რომელიც აუცილებლობით აკავშირებს მისი მოქმედების წესრიგს. მაგრამ საკმარისია მან გვერდიდან შეხედოს თავის თავს, პარტერიდან მაყურებლის, დამკვირვებლის, მეცნიერ-სოციოლოგის თვალთ, რომ მაშინვე განქარდეს ეს აუცილებლობა, ვინაიდან როლები მრავალი არსებობს და თითოეული მათგანი კონტინგენტურია. უყურებს სცენას რა გვერდიდან, აქტორი კარგავს მოქმედების უნარს, თითქოს „ქვავდება“. აქ ლუმანი სარგებლობს ანტიკური მითოლოგიის სახეებით. აღმოჩნდება, რომ steno – სრულებითაც არ არის სცენა, არამედ ანტიკური ურჩხულის – მედუსა გორგონის დის სახელია, რომლის (გორგონეს) მზერისას თითოეული მოკვდავი ქვავდება.

ყოველი როლი და როლური კომუნიკაცია იმართება თავისი საკუთარი კოდით – განსხვავებულის პარადოქსალური ერთიანობით: ძალაუფლება – უძლურება, საკუთრება – არასაკუთრება, სიყვარული – არასიყვარული. ამას ქვემოთ პარაგრაფში სპეციალურად განვიხილავთ. ანალიტიკოსი, დამკვირვებელი აფიქსირებს და ხსნის ამ – აქტორისათვის ლატენტურ – პარადოქსალურ ერთიანობებს, მაგრამ ამავე დროს სარგებლობს საკუთარი, მისთვის ლატენტური საზრისეული კოდებით (მაგალითად, ჭეშმარიტი-არაჭეშმარიტის კოდით). მაგრამ აყალიბებს რა უნივერსალურ თეორიას, დამკვირვებლის, როგორც დამკვირვებელი სისტემის მონაწილეს, შეუძლია თავის საკუთარ სისტემაში აღმოაჩინოს იგივე თვისებები (უნივერსალურობა), რომელთა პოსტულირებაც იგი ახდენს მის მიერ დაკვირვებული სისტემებისათვის. უკვე საუბარი მიდის ე.წ. მეორე წესრიგის (რიგის) დამკვიდრების შესახებ.



მოქმედ აქტორს არ შეუძლია იმყოფებოდეს, მით უფრო იმოქმედოს (და მაინც მოქმედებს) ერთდროულად ორ დონეზე, იძულებულია რეალობის მითოლოგიზირება მოახდინოს, იყენებს რა მითის საშუალებას მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული, თუმცა დამკვირვებლის თვალსაზრისით, შემთხვევითი, წესის შესაბამისად მოქმედების აუცილებლობის დასაზუსტებლად. აქტორი თამაშობს „პიესას პიესაში“, გადააქვს მაყურებელთა დარბაზი სცენაზე, ოპერირებს თავის საკუთარ ჩაკეტილ სამყაროში, ორიენტირდება თავისი სუბსისტემის რეგულატივებით, მიჯნავს რა მის შიგნით თავის საკუთარ სამყაროს, თუმცადა შეუძლია მიაწეროს თავის მოსაზრებებს გარეგანი მიზეზები და გულისწადილი-განზრახვები.

## 2. საზრისი და კომუნიკაცია

რატომ არ იყიდება ჭეშმარიტება, სიყვარული ან ძალაუფლება? რატომ უყვართ არა ძალაუფლების, ფულის ან ცოდნის გამო? რატომ ძალაუფლება არ მიუთითებს, რა და რამდენი ღირს, არ განსაზღვრავს მეცნიერული დებულებების ჭეშმარიტებას, არ წყვეტს, ვინ და ვის უნდა უყვარდეს?

რატომაა, რომ სიყვარული, ფულადი გარიგებები და ძალაუფლებრივი განკარგულებები არ მოწმდებიან თუ რამდენად მეცნიერულ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ ისინი?

პრინციპულად ამ საკითხებზე დაიყვანება ე.წ. კომუნიკაციის გენერალიზებული საშუალებების დიფერენციაციის თეორია, რომელიც მოწოდებულია მოიცვას მთელი სოციალური უნივერსიუმი და მთელი მისი ევოლუცია. ძალაუფლება, ჭეშმარიტება, ფული (საკუთრება), სამართალი, რელიგია, ხელოვნება, სიყვარული არის კომუნიკაციური კოდები, ე.ი. თავის კომპლექსურობაში უსასრულო სოციალური და ფსიქიკური სამყაროების მოწესრიგების (რედუქციის) პრინციპები. ეს სამყარო რედუცირდება (კომუნიკაციურ კოდთა უკანასკნელი განზოგადებით) რაღაც საწყისით, რომელსაც არ აქვს არავითარი საფუძველი, სუბიექტი. იგი – თავისი თავის მატარებელია, აუტოპოესისის თვით რეფერენციალური კვლავწარმოების პროცესია. საზრისის დახმარებით სოციალურ სისტემებს და პიროვნების ცნობიერებას ძალუძთ თავისთვის საგრძნობი გახადონ მათსა და გარეგან სამყაროს შორის არსებული დიფერენცია და ამით კი აღიქვან საკუთარი სელექციურობა (არჩევითობა). სწორედ საზრისი ცვლის პოსტმოდერნულ საზოგადოებაში სუბიექტის ცნებას და შესაძლებლობას იძლევა თვითაღმწერობის-რეფერენტობის თვისებები მივაწეროთ სოციალურ სისტემებსაც. საზრისის საზრისი მდგომარეობს სხვა შესაძლებლობების მითითებაში: ერთი მოქმედება მიუთითებს სხვა შესაძლებელ მოქმედებაზე და ამიტომ საზრისი – მოქმედების სოციალურ სისტემათა მიღწევაა-მონაპოვარია. ერთ განცდას შეუძლია დაბადოს სხვები, მისგან გამომდინარე განცდები და ამიტომ საზრისი ერთდროულად აღმოჩნდება პიროვნების სისტემის მიღწევაც.

„მხოლოდ სხვებზე მითითების პროცესში შეუძლია ცნობიერებას თავისი თავის რეალიზება და იგივეს აქვს მნიშვნელობა კომუნიკაციისათვისაც „მატარებელი“



(საზრისის – მთარგმნელის შლეიფია), თუ საზოგადოდ ღირს მისი მნიშვნელობის შენარჩუნება, არის სხვისადმი საზრისის მიკუთვნებებში დიფერენცია, და თავის მხრივ, ამ დიფერენციას თავისი საფუძველი აქვს იმაში, რომ მიკუთვნებათა ყოველი აქტუალიზაცია უნდა გატარდეს სელექციურად”.

განვმარტოთ ზოგიერთი ლუმანისეული ტერმინი. კომუნიკაციური კოდები (ძალაუფლება, ჭეშმარიტება) არის კიდეც ის საზრისეული სქემები, რომლებიც მართავენ იმ ერთი-ერთადერთი შესაძლებლობის სელექციებს, რომელსაც მოცემულ კონტექსტში (შესაძლებლობათა ჰორიზონტში) აქვს საზრისი, აქტუალიზირდება და საბოლოო ჯამში აგებს სისტემას და ხდება მისი ელემენტი. მაგრამ იყო დრო, როდესაც არ არსებობდა ჭეშმარიტება და ძალაუფლება, სამართალი და საკუთრება. მაშინ რა განსაზღვრავდა მოქმედებებისა და განცდების სელექციას-შერჩევას? როგორც ჩანს, კონკრეტული, მრავალსახოვანი სიტუაციური კონტექსტები. თუ მისაღმებისას მე მიწვდიან ხელს, მე პასუხად ჩემსას ვუწვდი და ესეც იგივე გავლენის ფორმაა, რამდენადაც ჩემმა ნაცნობმა, აირჩია რა თავისი მოქმედება (მოახდინა რა კონტიგენტური შესაძლებლის კომპლექსურობის რედუცირება) შეავიწროვა ჩემი შესაძლო პასუხების წრე. მოცემულ შემთხვევაში წარმოიქმნა ინტერაქციის სისტემა. მოქმედებათა გაცვლის ასეთ პროცესს ლუმანი უწოდებს რედუცირებული კომპლექსურობის გადატანას ან სელექციათა ტრანსლაციას.

კომუნიკაციურ საშუალებათა გენერალიზაცია მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდები იწყებენ თავიანთი მოქმედების არჩევას (სელექციონირებას), უარს ამბობენ რა კონკრეტულ სიტუაციასთან მათს დაკავშირებაზე, თუნდაც ეს კონკრეტული სიტუაცია მათ უშუალო ჯილდოს-საჩუქარსაც კი ჰპირდებოდეს; თუ მე მაქვს უფროსისაგან რაღაც სასწრაო დავალება მოცემული, მე რასაკვირველია არ შევივლი გზად კაფეში. აქედან მოყოლებული ნებისმიერ სიტუაციაში, რომელშიც არ უნდა იმყოფებოდეს მოქმედი, იგი ორიენტირდება (ირჩევს თავის მოქმედებებს და განცდებს) გენერალიზებულ (ე.ი. სიტუაციის განზოგადებულ) კოდ-ძალაუფლებაზე.

თანმიმდევრულად განვიხილოთ ინტერაქციის სისტემა, როგორც უმარ-ტივესი სოციალური სისტემა, ხოლო შემდეგ ისეთი კომპლექსური სისტემები, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება. უკანასკნელი მოიცავს „რეზონანსის პრობლემის“ განხილვას, ე.ი. მითითებული სისტემების უნარებს, რეაგირება მოახდინონ პროცესებზე და სისტემაზე გარე სამყაროდან მომდინარე ზემოქმედებებზე. ამისათვის საჭიროა მოკლედ წარმოვადგინოთ ლუმანის კონცეფციის ძირითადი სისტემურ-თეორიული ცნებები.

### 3. სისტემურ-თეორიული საფუძვლები

ლუმანი ამოდის სოციალური სისტემის პარსონსისეული მოდელიდან, რომლის ჩარჩოებში მოქმედი პირები („ეგო“ და „ალტერი“) ერთმანეთს უთანხმებენ



პრინციპულად განუხილველ და გაუთვალისწინებელ (კონტიგენტურ) მოლოდინებს. ასეთ სოციალურ სისტემაში მოქმედებას იწყებს „ავტოკატალიკური“ (სპეციალური კატალიზატორებით – საზრისისეული სქემატიზებით დაჩქარებული) პროცესი, რის შედეგადაც „ორმაგი კონტიგენცისაგან“ („ალტერისა“ და „ეგოს“ მოლოდინთა შემთხვევითი ხასიათი) წარმოიქმნება მეტად არა კონტიგენტური დამოკიდებულება – ახალი ემერჯენტული წესრიგი. ამ დონეზე სისტემა ახლებურად რეაგირებს თავის გარეგან სამყაროზე, სხვაგვარად ეწევა მისი კომპლექსურობის რედუცირებას: თვით თავის თავში აღმოაჩენს ამ გარეგანი სამყაროსგან განსხვავებას (სისტემის თვითრეფერენტულობა), გამოყოფს თავის თავს მისგან ინტერაქციის სისტემებისგან – უშუალოდ არსებულ პირთა შორის კომუნიკაციების სპეციფიკური თანმიმდევრობებისაგან და მათთვის (პირებისათვის) დამახასიათებელი გარეგანი სამყაროს კომპლექსურობის გადამუშავების წესებისაგან (საზრისისეული, საგნობრივი, სოციალური დროითი ჰორიზონტებით, რომლებშიც სისტემა თავისი თავის ლოკალიზებას ახდენს. პარაგრაფი 4) წარმოიშობა ახალი ემერჯენტული დონეები: საზოგადოების სისტემის პოლიტიკისა და მეცნიერების ქვესისტემები (პარაგრაფი 5). სისტემის ძირითადი ფუნქციაა – გარეგანი სამყაროს მიმართ თავისი დიფერენცირების რეგულირება.

ლუმანის თეორიის ძირითადი ცნებები – გარეგანი სამყაროს და ღიადახურული სოციალური სისტემების ცნებებია: „სოციალური სისტემა წარმოიქმნება იქ, სადაც ადგილი აქვს კომუნიკაციების აუტოპოესისურ კავშირს, რომელიც იფარგლება-იზღუდება თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის ფარგლებში გარე სამყაროსაგან“. (ეკოლოგიური კომუნიკაცია 1990წ. გვ. 269).

მაღალი კომპლექსურობის მქონე გარე სამყაროსა და მის მიმართ ღია-დახურული სისტემას, რომელიც მისი კომპლექსურობის რედუცირებას ახდენს, მათ შორის კავშირს ლუმანი უწოდებს რეზონანს – სისტემის გარე სამყაროს ზემოქმედებაზე შერჩევით (სელექციურ) პასუხს. მაგალითად, ფიზიკაში ცალკეულ სისტემას შეუძლია რეზონირება რხევათა საკუთარი სიხშირის საფუძველზე (საზღვრების დახურულობა), მაგრამ რხევები რომ წარმოიქმნან სისტემის გარე სამყაროდან მომდინარე ზემოქმედების შედეგად (საზღვრების ღიაობა). ბიოლოგიაში ორგანიზმის ნერვული სისტემის ოპერაციები მიედინებიან, როგორც ნეიროდინამიკური ურთიერთქმედებები (საკუთარი ჩაკეტილი ოპერაციები), რამდენადაც ნეირონები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, მაგრამ ეს შინაგანი ურთიერთქმედებები – გარემოს მდგომარეობაზე პასუხია. მაშასადამე გარე სამყაროს მდგომარეობამ რეზონანსი უნდა გამოიწვიოს საზოგადოების შინაგან კომუნიკაციებში (ყველა შესაძლებელი კომუნიკაცია სისტემები = საზოგადოებას). პრობლემა კი ისაა, რომ „სოციალურ-კულტურული ევოლუცია ემყარება იმას, რომ საზოგადოება არ უნდა ახდენდეს რეაგირებას თავის გარეგან სამყაროზე, და არ შეუძლია კიდევ სხვაგვარად არსებობა. ასე, მაგალითად, სოფლის მეურნეობა იწყებს იმისაგან, რომ ანადგურებს ყველაფერ იმას, რაც კი იზრდებოდა მინდორ-ველებზე“ (ეკოლოგიური კომუნიკაცია გვ. 43). გარდა ამისა, საზოგადოებას თავისი შინაგანი კომუნიკაციებით განსაზღვრების მიხედვით არ შეუძლია





არასელექციურად (ე.ი. შეზღუდულად, ფრაგმენტულად და არაადექვატურად) რეაგირება მთლიანად სამყაროს შეუდარებლად დიდ კომპლექსურობის მქონე მდგომარეობაზე, რომლის „რხევების რეზონანს“ არ შეუძლია “მიიღოს რეზონანსი” საზოგადოების კომუნიკაციებში.

ლუმანი ეყრდნობა ჰუსერლს, რომელიც აღწერს სამყაროს, როგორც აქტუალურ ინტენციათა ჰორიზონტს, როგორც იმას, რამაც შეიძლება მიიღოს აქტუალობა მხოლოდ როგორც ჰორიზონტი. სისტემის „შემომფარგლავი ჰორიზონტი“ ლუმანის მიერ ხასიათდება შემდეგნაირად:

„სისტემის გარე სამყაროს (როგორც სისტემის ოპერაციების შინაგან წანამძღვარს) არა აქვს არავითარი საზღვრები და მას იგი არც ესაჭიროება. იგი წარმოადგენს სისტემაში გამოყენებული სხვისადმი დამოკიდებულების (fremdreferenz) კორელატს და სისტემაში ფენომენოლოგიურად წარმოდგენილია, როგორც ჰორიზონტი. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ოპერაციის დროს იგი საჭიროებების შესაბამისად უსასრულოდ გაფართოვდება-გადაიწევს. თუ მას მიუახლოვდებით, იგი დაგვმორდება, შეუძლებელია როგორც მისი გადაკვეთა, ისე მიღწევა. ის საზოგადოდ არც კია საზღვარი. იგი თან ახლავს სისტემის ყოველ ოპერაციას იმ ზომით, რა ზომითაც იგი შეეფარდება რამეს თავისი თავის გარეთ. ჰორიზონტის სახით გვევლინება ინტენციის ან კომუნიკაციის შესაძლო საგანი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემას ძალუმს (უნარი შესწევს) წარმოადგინოს გარე სამყარო როგორც ერთიანობა, მაშასადამე წარმოიდგინოს თავისი თავი, თავის დიფერენცირებით გარე სამყაროსთან მიმართებაში.

ნამდვილი სამყაროს კომპლექსურობასა და ცნობიერების ან კომუნიკაციის მარეზიუმებელ (შემაჯამებელ) ძალას შორის დისკრეპანცია – შეიძლება გადალახულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტუალურ ინტენციათა სივრცე ზღუდავს და აპოტენციალიზებს ყველა დანარჩენს, ე.ი. რედუცირდება წმინდა შესაძლებლობების სტატუსამდე”.

გარე სამყარო თავისთავად არაინფორმაციულია. ინფორმაციები (სისტემებისათვის რელევანტური (ფასეული) მდგომარეობები და ხდომილებები) წარმოადგენენ შიდა სისტემურ მონაპოვარს-მიღწევებს, რომლებიც მოპოვებუ-ლები არიან ტექნიკის დახმარებით. გარე სამყარო – ესაა, აბსოლუტურად ყველაფერი, რომელიც ზეკომპლექსურობის ამ სტატუსით აბსოლუტურად გაუმჭვირვალე და მიუდგომელია-მიუღწეველია. სისტემას კი უნარი აქვს „დაინახოს”, ე.ი. აირჩიოს თავისი და უყურადღებოდ დატოვოს (შესაძლებლობის რანგში) სხვა. ამგვარად, სისტემა „ხედავს” თავის თავს, შეზღუდულია თავის „ხედვაში” თავისი ჰორიზონტით ის, რასაც „ხედავს” სისტემა, არის კიდევ მისი კომუნიკაციები, რომლებიც აუცილებლად განსხვავებულნი არიან თავისთავადი სამყაროსაგან. სისტემის მიერ მის გარე სამყაროში ნავარაუდევო, საჭიროდ მიჩნეული და მისთვის რელევანტური ხდომილება უკვე მუდამ შიდასისტემური, სისტემის მიერ გადამუშავებული ხდომილებაა, მაგრამ სისტემის ეს ჩაკეტილობა ნიშნავს მის მსოფლიოსადმი, სამყაროსადმი ღიაობას: „რამდენადაც ყველა



ინფორმაცია და ინფორმაციული მოლოდინები, ე.ი. სტრუქტურები, შეიძინება განსხვავების პროექციის მეშვეობით, ეს ჩაკეტილობა არის კიდევ ღიაობა, ვინაიდან ამ ტექნიკის დახმარებით სისტემას ძალუმს წვდეს, შეიძნოს თავისი თავი გარე სამყაროსთან მიმართებებში არსებული თავის განსხვავებებში-დიფერენციებში” (გვ. 46). გარე სამყარო არის ის რაც უკვე წარმოდგენილია (მაშასადამე რედუცირებულია, ინფორმაციულად გადამუშავებულია) სისტემაში და იგი მასზე რეაგირებს, როგორც თავის შინაგან მდგომარეობაზე, მაგრამ იგი ღიაა, რამდენადაც გარე დამკვირვებელი დაადგენდა სისტემის გარე და მის შინაგან სამყაროს შორის კორელაციას.

მოცემული თეორიული სტრუქტურა წარმოადგენს წანამძღვარს მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად: შესაძლებელია კი და თუ შესაძლებელი, მაშინ როგორ საზოგადოებრივ (მეცნიერულ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, აღმზრდელობით, რელიგიურ) კომუნიკაციებში განვიხილოთ ჩვენს გარემომცველ სამყაროში არსებული ნეგატიური ცვლილებები და შესაბამისად ვიმოქმედოთ, თუ თვით გარე სამყაროს პროცესები მიუდგომელია სისტემისათვის. ასეთ შემთხვევაში მხედველობაში უნდა გვქონდეს საზოგადოების სოციალური სისტემის შინაგანად დიფერენცირებული ხასიათი. განსხვავება „სისტემა-გარესამყარო” არის გარესამყაროს ყოველგვარი დაკვირვების წანამძღვარი, დაკვირვებებისა, რომელიც ხორციელდება საზოგადოების სისტემის ქვესისტემების (მეცნიერების, ეკონომიკის, პოლიტიკის და ა.შ.) მეშვეობით, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში გარეგან სამყაროებს წარმოადგენენ. ასე, მაგალითად, სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ პოლიტიკურ სისტემას ეკონომიკა და მეცნიერება განიხილავენ, როგორც თავის გარესამყაროს, მაშასადამე თავისუფლდებიან თავიანთი ოპერაციების პოლიტიკურ შედეგებზე პასუხისმგებლობისაგან. წარმოიშობა პარადოქსი: რათა ადექვატურად გავცეთ პასუხი გარე სამყაროში მიმდინარე ნეგატიურ ცვლილებებს მოითხოვება-საჭიროა კერძო სისტემათა დიფერენციაცია, ხოლო კერძო სისტემათა დიფერენციაციას მივყავართ გარე სამყაროსთან მომართებაში მათი ოპერაციებისა და შედეგების შეუთანხმებლობასთან, რაც ბადებს კიდევ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც უნდა გადამუშავდნენ ახალი ემერჯენტული წესრიგის დონეზე.

#### 4. ინტერაქცია – უმარტივესი სოციალური სისტემა

მოქმედების უმარტივესი სოციალური სისტემა – ინტერაქცია – შედგება უშუალოდ არსებულ-ყოფ მონაწილეთა შორის კომუნიკაციების თანმიმდევრობისაგან (კონსტელაციებისაგან) და „ლოკალიზებული” უნდა იქნას სამი განზომილების – სოციალურის, დროის და საგნობრივის „სივრცეში”. თითოეული მოქმედება შეიძლება „გამოთვლილ იქნეს” (ინტერაქციის მონაწილეთა მიერ) ამ კოორდინატთა ჩარჩოებში. სოციალურ განზომილებაში ხდომილებათა ავტორობა თავად „მონაწილეთა” მიერ შეიძლება მიეწეროს ან „ეგოს” ან „ალტერის”. წარმოიშობა მნიშვნელობათა „ჰორიზონტი”, „ეგოდან როგორც ხდომილების ავტორიდან”, „ალტერამდე, როგორც ხდომილებათა ავტორამდე”. მოცემულ ჰორიზონტებში მნიშვნელობათა რაოდენობა და სირთულე იზრდება იმის ანგარიშზე, რომ თითოეული ინტერაქტორი არა მხოლოდ



თვითონ სპეციფიკური წესით ანაწილებს მნიშვნელობებს, არამედ ვარაუდობს, გულისხმობს, რომ იგივე ხორციელდება „სხვების“ მიერაც და მიაწერს მას თავის „გამოთვლებს“. ის, თუ როგორი მნიშვნელობა მიეწერება ამ ჰორიზონტში მოქმედებას, სხვა ჰორიზონტებში ამავე მოქმედებების მნიშვნელობებთან შერწყმისას განსაზღვრავს სისტემის მიერ მომდევნო მოქმედების არჩევანს („სელექციას“ ახორციელებს თავად სისტემა და არა მისი „მონაწილენი“).

დროითი განზოგადება კონსტრუირებულია (იგება) წარსული-მომავლის ჰორიზონტით. ამ განზომილების ჩარჩოებში თითოეულ ხდომილებას შეიძლება მიეწეროს ან წარსული-ჩვეული რეზულტატის, ხასიათის გამოუსწორებელი თვისების ან უცვლელი უნარების რეზულტატის მნიშვნელობა (მოსწავლის ორიანი „გამოითქმება“, როგორც თანშობილ არასაკმარისი უნარების შედეგი, რეზულტატი, ე.ი. როგორც მისი წარსულის რეზულტატი) ან როგორც ვარიაციული ფაქტორის რეზულტატის მნიშვნელობა (სიზარმაცის, სურვილის არ არსებობის, ე.ი. რაღაც ისეთის, რის შეცვლაც მომავალში შესაძლებელია). მნიშვნელობათა ამა თუ იმ არჩევანის შესაბამისად დგნდება მიერთებული ქცევის განსხვავებული სტრატეგიები, განსხვავებული სანქციები და წახალისებები.

მესამე, საგნობრივი განზომილება კონსტრუირებულია შინაგანი და გარეგანი გამოთვლების ჰორიზონტებით, ერთის აღქმის ან მეორეზე გადასვლის გენერალური შესაძლებლობებით. შესაბამისად, მოქმედების მიზეზები შეიძლება ვივარაუდოთ ან თავად მოქმედების შიგნით, მაგალითად ცნობიერებაში, განცდაში ორიანი შეიძლება მოსწავლის მიერ განცდილ იქნას, როგორც მისი მოქმედების, ცუდი მუშაობის სწორი, ადექვატური შეფასება, რეზულტატი, როგორც შიდა სისტემური წესებით განპირობებული, სადაც ერთი სისტემური მოქმედება ბადებს სხვა სისტემურ მოქმედებას ან როგორც მასწავლებლის (მისი ცნობიერების) მხრივ მისი ათვალწუნების (არასიყვარულის) შედეგი ან, რაც იგივეა, მოსწავლის მხრივ მასწავლებლის დაუფასებლობის პასუხი. იმის შესაბამისად, თუ როგორ მნიშვნელობას ირჩევს („ითვლის“ მოქმედების მნიშვნელობას ჰორიზონტ-განზომილებაში) „ეგო“ ან „ალტერი“, შედეგა ან არ შედეგა ესა თუ ის მოქმედება მოცემული სისტემის ჩარჩოებში. ჰორიზონტებში ამ „გამოთვლის-ანგარიშის“ შეთანხმებულობას მივყავართ სისტემის წარმო-შობასთან – მოქმედებათა არაშემთხვევითი თანმიმდევრობასთან. შესაძლო მოქმედებათა სიმრავლისაგან რეალიზდება მხოლოდ ერთი, რომელსაც მოცემულ სისტემაში აქვს საზრისი.

სოციალური მოქმედება კონსტრუირებულია ჰორიზონტებით, რომლებიც ასრუებენ შესაძლებელ მოქმედებათა კომპლექსურობის რედუქციის ფუნქციას. ყოველ ჰორიზონტს აქვს დუალური სიმეტრიული სტრუქტურა – საზრისისეული სქემატიზმი, ორიენტირი, რომელიც პასუხისმგებელია მონაწილეთა მიერ სწორედ სისტემური ან შიდა სისტემური მოქმედებების არჩევაზე („სელექციაზე“). ინტერაქციის უმარტივესი სისტემის ჩარჩოებში მოქმედების არჩევანის ყველა შესაძლებლობა სიმეტრიულია. მოქმედების ჰორიზონტებში გარეგანის ან შინაგანის, „ეგოს“ ან „ალტერის“ ავტორობის,



წარსულის ან მომავლის არჩევანი თანაბრად შესაძლებელია. მაგრამ საზოგადოების ფუნქციონალური დიფერენციაციის პროცესში ეს აპრიორული სტრუქტურა ასიმეტრიზირდება. ყოველი სპეციფიკური, ფუნქციონალურ-დიფერენცირებული სისტემა (მეცნიერება, პოლიტიკა), რომელსაც თავის ელემენტებად აქვს ინტერაქციის სისტემები, ისე ახდენს თავისთავად სიმეტრიული ინტერაქციების ანგაჟირებას, რომ ესა თუ სხვა მნიშვნელობები სისტემის ჰორიზონტში იძენენ-იღებენ მყარ უპირატესობებს. მეცნიერების სოციალური სისტემებით ანგაჟირებულ ინტერაქციების სისტემაში, წარმოიშობა „ეგოს“ სპეციფიკური როლი „განცდაზე რედუცირებული დამკვირვებლის“ ფუნქციით (ე.ი. შინაგან-გარეგანის ჰორიზონტში გარეგანის ამრჩევისა). „ეგო“-დამკვირვებელი უფრო დაჩვეულია ემიოს ხდომილებათა მიზეზები ადამიანთა ცნობიერებაში, გარეგან სამყაროში. იგი ანგარიშობს-ითვლის „ექსტერნალურად“, მაშინ როდესაც დამკვირვებელი უშუალო ზეწოლის შემგრძნობი მაიძულებელი მოქმედების რეალობები და სიტუაციები, განიცდიან ხდომილებათა მიზეზებს, როგორც მათი ცნობიერების გარეთ ლოკალიზებულს. ე.ი. უშუალოდ წინამორბედ შიდა სისტემურ ხდომილებებში (შინაგანი-გარეგანის ჰორიზონტებში ასიმეტრიზაცია „ინტერნალური“ უპირატესობების სასარგებლოდ).

გარდა ამისა, დამკვირვებელს მიდრეკილება აქვს დაიყვანოს ხდომილებები დროის ჰორიზონტში კონსტანტურ მნიშვნელობაზე (წარსულზე), რაც წარმოადგენს კიდევ მათზე მსჯელობის და მათი ახსნის პირობებს. თავად მოქმედი პირიქით, „ფასცირინებულია იმით, რაც სიტუაციაში იცვლება და ამითვე იწვევს მის მოქმედებას“ (გვ. 87), ე.ი. მიდრეკილება აქვს აირჩიოს ვარია-ციული მნიშვნელობები (მომავალ) დროის ჰორიზონტში.

რამდენადაც ყოველი ვარიაცია ამა თუ იმ ხარისხით „ანგაჟირებულია“ სპეციფიკური ფუნქციონალური ქვესისტემებით და სპეციფიკური როლებით (მეც-ნიერებით, პოლიტიკით, რელიგიით და ა.შ.). ამის შედეგად ჰორიზონტები ასიმეტრიზირდებიან – ყოველ განზომილებაში წარმოიშობიან მნიშვნელობათა მყარი განაწილებები (მოლოდინები, უპირატესობები), მეორეს მხრივ, ფუნქციონალურ-დიფერენცირებულ სისტემების ჰორიზონტებში არჩევანი განისაზღვრება სხვა საზრისისეული სქემატიზმებით (ფული, ძალაუფლება, ჭეშმარიტება, სამართალი, საკუთრება). გადავიდეთ საზოგადოების სისტემის ფუნქციონალური ქვესისტემების განხილვაზე.

## 5. საზოგადოების ფუნქციონალური სისტემები

სტრატეგიკაციული დიფერენციაციიდან ფუნქციონალურ დიფერენციაცია-ზე გადასვლით დაიმსხვრა იერარქიული მსოფლი წესრიგი და დადგენილ იქნა პოლიტიკის, მეცნიერების, ეკონომიკის და ა.შ. ავტონომიური ფუნქციონალური სისტემები. მათი ავტონომიურობა მდგომარეობს ამ სუბსისტემათა საზღვრების ღია-დახურულ ხასიათში. კუმანი იკვლევს რეზონანსის შესაძლებლობას, ე.ი. სისტემის უნარს გაითვალისწინოს გარემომცველი სამყაროს მდგომარეობა.



ეკონომიკური სისტემის ქვეშ იგულისხმევა ფულთან, გადასახადებთან დაკავშირებული ოპერაციების სიტემა, რომლებიც გამოყენებენ პოლიტიკასა და მეცნიერებას. ფული – ეკონომიკის საზრისისეული სქემატიზმია, ე.ი. შესაძლებელ მოქმედებათა ჰორიზონტში სწორედ ეკონომიკური (სპეციფიკური შიდასისტემური მოქმედებების) არჩევის ორიენტირია. ახალ დროში ეკონომიკური სისტემა გახდა ავტონომიური, დახურული, მაშინ როდესაც შუასაუკუნეებში ყიდვა-გაყიდვა უნივერსალურ ხასიათს ატარებდა, შესაძლებელი იყო თანამდებობების ყიდვა (პოლიტიკური სისტემა), სულის ხსნა (ინდულიგენციები, რელიგიური სისტემა) და ა.შ.

ეკონომიკური სისტემის კომუნიკაციებში მოხდა გადასვლა საკუთრების კოდირებიდან მონეტარულ კოდირებაზე, რამაც განსაზღვრა გარე სამყაროსთან არსებული დამოკიდებულებების შეცვლა. ადრე ყოველი ოპერაცია ეკონომიკურ სისტემაში (ყიდვა, გაყიდვა, გადასახადი) განისაზღვრებოდა „მესაკუთრე-არამესაკუთრე“ კოდ-ალტერნატივით: „ეგო“ ყიდულობს თუ არ არის მესაკუთრე, და პირიქით, ყიდის თუ აქვს საკუთრება. მონეტარული კოდირება პირიქით, ეკონომიკური სისტემის ოპერაციებს ორიენტირებას უკეთებს ფულის კოდით. ეკონომიკური „ეგო“ საკუთრებისათვის იხდის მხოლოდ ფულის სამომავლოდ მოპოვების მიზნით, და არა საკუთრების; ფულზე ეს ორიენტაცია მიჯნავს ოპერაციების მოცემულ სახეს, როგორც ხშირად ეკონომიკურს, ყველა სხვა სახისაგან, რაც განსაზღვრავს ეკონომიკის სისტემის დახურულობას. ადრე მიწის საკუთრება იყო მესაკუთრის პოლიტიკური ძალაუფლების საფუძველი. საქმის ვითარება იცვლება პოლიტიკისა და სამართლის დიფერენციაციის დაწყებით. მონეტარულ დახურულ ეკონომიკაში მოთხოვნილებები იმყოფებიან ეკონომიკური სისტემის გარეთ, მის გარემოს მიეკუთვნებიან – ყიდვა-გაყიდვა, არყიდვა-არგადახდა განისაზღვრება ფასით, რომელიც არ შეიძლება იყოს არც სამართლიანი და არ შეიძლება რეგულირდებოდეს პოლიტიკური გადაწყვეტილებებით. სხვაგვარად სისტემა იქნებოდა არა დახურული, არამედ დამოკიდებული იქნებოდა სამართლის ან პოლიტიკის სისტემაზე. სისტემაჩაკეტილია, შეკრულია, რამდენადაც ყველა მისი ოპერაციები შიდასისტემურად ორიენტირდებიან, სახელდობრ ფასებზე. მაგრამ სისტემა ღიაა, რამდენადაც ფასებში გამოთქმულია მოთხოვნილებები, რომლებიც ლოკალიზებულნი არიან მის გარე სამყაროში.

მეცნიერების ქვესისტემა ცვლის თავის საზრისისეულ სქემატიზმს, „ჭეშმარიტება-არაჭეშმარიტება“ კოდს, რომელიც სპეციალიზირებულია ახალი მეცნიერული ცოდნის მოპოვებაზე. მისი ფუნქციაა – მოხსნას ახლის სიყალბის ეჭვი. “ეს შესაძლებელი გახდა ახლისა და ცნობისმოყვარეობის (curiositas) კულ-ტურულ-ისტორიულად წარმოდგენილი პრერეფერენციის დადგენის წყალობით, რომელიც შემდეგ, მართალია კონსტრუირებული და მეთოდოლოგიზირებული იქნა. ეს ნიშნავს, რომ მეცნიერება „რავის საზღვრებს თავის თავში პოულობს (რეზონანსი) და არა თავის ობიექტში“. მეცნიერებისათვის დამახასიათებელი თეორიისა და მეთოდის დიფერენცირება კორელირებს მეცნიერების სისტემის ღია-დახურულ ხასიათთან. თეორიებს მეცნიერების შინაგანი მუშაობის რეზულტატები გადააქვთ მის გარე სამყაროში, „ექსტერნალიზაციას ეწევიან, ე.ი. აკუთვნებენ მათ ნამდვილ, თითოეულის მიერ



განცდილ სამყაროს”. მეცნიერული ინტერაქციის მონაწილე „ითვლის ექსტერნალურად”, ვერიფიკაციის პროცედურა სწორედ რომ მოქმედების სისტემისათვის გარე სამყაროს განცდის (ინტერსუბიექტურობის) უნივერსალურობისადმი აპელირებაში მდგომარეობს. თუ თეორიები „ღიაობის რეპრეზენტაციას” ეწევიან, მაშინ მეთოდები „იღებენ რა კოდს, ზრუნავენ იმაზე, რომ რეზულტატები განაწილებულ იქნენ ჭეშმარიტებისა და მცდარობის მნიშვნელობების მიხედვით”. მეთოდები მეცნიერების „ჩაკეტილობის რეპრეზენტაციას ეწევიან, ვინაიდან გამორიცხავენ მესამე მნიშვნელობას.

თანამედროვე მეცნიერებისათვის დამახასიათებელი მათემატიზაციის, იდეალიზაციის და აბსტრაქციის დონე, „დამშლელი და მაკომბინირებელი უნარების გაძლიერება”, რომელიც ხილულ სამყაროს შლის-ანაწევრებს ატომებად, მოლეკულებად, გენეტიკურ სტრუქტურებად, ხოლო ადამიანს – როლებად, მოქმედებებად და მათ კომპონენტებად (სტრუქტურული ზეკომპლექსურობა), ხელს უშლის გარე სამყაროსთან რეზონანსს. მეცნიერება – თითდაკვირვებადი სისტემაა, მაგრამ სისტემა, რომელიც ორიენტირდება საკუთარ კომპლექსურობაზე, ჰიპერკომპლექსური ხდება რაც იწვევს მეცნიერების სიტემის გადატვირტვას, რამდენადაც მას წაეყენება მოთხოვნა ერთდროულად დააკვირდეს საზოგადოებას, როგორც მთელს (როგორც ერთ-ერთი მეცნიერების, მაგალითად სოციოლოგიის საგანი) და საკუთარ თავსაც, როგორც ამ საზოგადოების ქვესისტემას. „მეცნიერების თვითაღწერა არის, აღწერის აღწერის აღწერა და ა.შ. უსასრულოდ”.

მეცნიერების რაციონალურობის პრობლემა ლუმანის მიერ ისმება კომპლექსურობისა და მისი რედუქციის ცნებებში – როგორც არჩევანის რაციონალურობა: „როგორ შეიძლება რაციონალურობა რაციონალური იყოს, თუ კომბინაციათა სხვა შესაძლებლობის ასტრონომიული რიცხვიდან არჩეულ უნდა იქნას მხოლოდ ერთი?” მეცნიერება, თავად როგორც სისტემა, უნდა მაშასადამე, დაემორჩილოს იმას, რასაც იგი ადგენს – იღებს მის მიერ დაკვირვებადი სისტემებისათვის: საკუთარი რხევების სიხშირის ზომის და თავისი ბინარული კოდირების ზომის შესაბამისად რეზონანსის შეზღუდულობას.

## 6. ძალაუფლება – საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კომუნიკაციური კოდი

- აზრი შორს დაიჭირე ენისაგან,
- მოუფიქრებელი აზრი კი მოქმედებისაგან,
- მეგობრები, გამოსცადე რა მათი არჩევანი,
- ფოლადის გვერდებით მიიმაგრე სულთან.
- უფროთხილდი ჩხუბში მონაწილეობას, მაგრამ თუ მოხვდი,
- ისე იმოქმედე, რათა გიფრთხოდეს მტერი,



- ყველას ყური უგდე, ხმა კი ცოტას გაეცი,
- ისმინე-შეკრიბე ყველა შეხედულება, მაგრამ საკუთარი შეინახე.

### უ. შექსპირი; „ჰამლეტი“

სხვა საზოგადოებრივი სისტემებისაგან პოლიტიკის დეფინიცია, „გადაწყვეტილების“ მიმღებ ინსტანციების გამოვლენასთანაა დაკავშირებული – როგორც კოლექტიური მოქმედებისათვის წანამდგრებთან ძალაუფლება – გავლენის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის საფუძველში – რედუცირებულ სელექციათა ტრანსლაციის იგივე პროცესია. მაგრამ დიფერენცირებული პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში ინტერპრეტაციათა დინება უკვე აღარ ხენმდვანელობს და არც მოტივირდება მისი კონტექსტით – სიცოცხლის სამყაროს (გასაგები მიდრეკილებებით) ბუნებრივი, ყოველდღიური და ხელშესახები რეალიებით. რატომ მოხდა ეს? რატომ წარმოიშვა, ხოლო შემდეგ კი განმტკიცდა ასეთი „წარმოუდგენელ-შეუძლებელი“ ორიენტაცია და მოტივაცია?

უკვე ისეთი კომუნიკაციური საშუალება, როგორც ენაა, გვამღევს „არას“ თქმის შესაძლებლობას, ე. ი. სისტემის საზღვრებიდან იმ კომუნიკაციების გატანა, შეზღუდვა, უარყოფა, რომლებიც არ განეკუთვნებიან სისტემას. „ჰო“ და „არა“ – მუდამ სიტუაციური კოდებია, მაგრამ მათსი ჩადებული უარყოფის პოტენციალი განხორციელდა სპეციფიკურ და ამასთან ერთად უნივერსალურ კომუნიკაციურ საშუალებებში: აკი ხომ შეუძლებელია უარი ვთაქვათ შემოთავაზებული საქონლის ყიდვაზე (თუ იგი შემდეგში არ მოგვიტანს ფულად შემოსავალს), არ ჩავთვალოთ თეორია ჭესმარიტ თეორიად (თუ იგი მას არ პასუხობს), არ შევიდეთ სექსუალურ ურთიერთობაში (თუ ერთ ადამიანს არ უყვარს მეორე).

შემოთავაზებულ სელექციათა უარყოფა მუდამ ახდენსაპელირებას სპეციალური ინსტიტუტების – კომუნიკაციური საშუალებების კოდების: ჭემმარიტების, სიყვარულის, ფულის მიმართ. ამ აზრით, ლუმანი ინტერპრეტაციას უკეთებს ევოლუციასაც, დაყავს რა იგი მსგავსი კოდების შერჩევისა და განმტკიცების პროცესებზე, ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს კიდევ კოდი ძალაუფლება. „ეგო“ იღებს ძალაუფლების მფლობელის სელექციას, რომელიც შეზღუდულია მისი შესაძლო მოქმედებების სივრცე-არეალი, ეუბნება მას „ჰოს“, რამეთუ იგი ფლობს ძალაუფლებას. რასაკვირველია, ეს ტრივიალობაა. პრობლემა კი ქცევის ასეთი სპეციფიკური რედუქციის მექანიზმების გამოვლენაშია. ძალაუფლების ბუნება – მისი სუბიექტური და ობიექტური კონტექსტისაგან დამოუკიდებლობაშია, აგრეთვე მისი წარმოშობის საწყისი პირობებიდან დამოუკიდებლობაშია

აქ ძ – ნიშნავს ძალაუფლების მფობელს, მ – მორჩილს, ხოლო ციფრებით აღინიშნება – შესაძლებლიდან შერჩეული გადაწყვეტილებები. დავუშვათ არჩეულ იქნა შესაძლებლობა ნომერი „ორი“, ამ შემთხვევაში ორიანის სელექცია ტრანსლირდება მის შემდეგაც კი, თუნდაც საწყისი პირობები (ამოსავალი კონსტელაციები) შეიცვალონ ან სრულებით გაქრნენ.



ამგვარად, ძალაუფლება განისაზღვრება, როგორც „დროითი გენერალიზაცია“, ვინაიდან მისი მაინცირებელი ხდომილებები აღმოფხვრილნი იქნენ სისტემური დიფუზიის მდგომარეობაში დაბადებული – დაპირებული ფულის, საკუთრების დაცვის ან სიყვარულის, ე.ი. სოციალური სისტემების კომუნიკაციური აშუალებების საფუძველზე, რომლებიც პოლიტიკასთან მიმართებაში გარეგანია – ძალაუფლება თავისუფლდება ამ კონტექსტისაგან. ფულს ან სიყვარულს უკვე იმიტომ არ შეუძლია ძალაუფლების უზრუნველყოფა, რომ ის ვინც ეს ფული და სიყვარული ერთხელ უკვე მიიღო, უფრო მეტად მოახდენს გავენას, ვიდრე მას (ვინც გასცა) დაემორჩილება.

რასაკვირველია, ძალაუფლება, დაკავშირებული ინტერესებთან. მარტივ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ინტერესი – სიტუაციურ-კონგრუენტულია. მაგალითად, გავლენა – ძალაუფლებასთან შედარებით ტრანსლაციის მრავალი საშუალება – ვლინდება იქ, სადაც განზრახული მოქმედებები ბუნებრივი და არაპრობლემურია. მაგალითად, ადამიანი დაცემის საშუალებას არ აძლევს საგანს, რომელსაც მას გადასცემენ. გავლენით რეგულირებული ეს საერთო ინტერესი (დაიჭიროს საგანი) ჯერ კიდევ არ მოითხოვს იმას, რომ „ეგო“ თავის მოქმედებებში დასპეციალდეს იმაზე, რათა მიაწეროს სხვებს მათი მოქმედებები. ასეთი სპეციალიზაციის მსვლელობისას გავლენა კონტიგენტური ხდება, კარგავს თავის ბუნებრივ-სიტუაციურ საფუძველს, გადის სიცოცხლის სამყაროს საზღვრებიდან. ამ ევოლუციის საფუძველში დევს კომპლექსურობის ზრდა; კონტექსტთა სულ უფრო მზარდი მრავალსახეობა, სადაც „ინტერესთა კონგრუენტობა“ სრულებითაც არაა ცხადი. ძალაუფლება – ევოლუციური პროცესია, ამ კომპლექსურობის რედუქციის საშუალებაა.

გარკვეული აზრით, ძალაუფლება ლუმანთან – ესაა, ფანტომი, რამდენადაც საბოლოო ჯამში გადაინაცვლებს მორჩილთა მხარეზე. თავდაპირველად ლუმანი მას განსაზღვრავს, როგორც „პარტნიორის სელექციების სივრცის შეზღუდვას“. მაგრამ მისი ჰერმენეული გაძლიერების თანამედროვე სტადიებზე (რაც ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებაში სელექციურობის ზრდას) მორჩილთა მიერ ხდება განკარგულებათა გათვალისწინება, წინასწარგამოცნობა, რაც მათ მანიპულირების საშუალებას აძლევს. მზრძანებელი მორჩილს სჭირდება მხოლოდ იმისათვის, რათა მისი მეშვეობით გაიტანოს თავისი გადაწყვეტილებები. ყოველგვარი ძალაუფლება ამით ეჯახება მორჩილთა „არაფორმალური ძალაუფლების“ საპირისპირო ნაკადს. მაშასადამე, ძალაუფლება რეგულირდება ფორმალურ-არაფორმალურის კოდით (ბინარული სქემატიზმით): ყოველი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ ფორმალური და არაფორმალური ძალაუფლების გათვალისწინებით.

აქ ჩვენს თვალწინ იხსნება საზოგადოების თანამედრო მდგომარეობა, იგივე ნიცშესეული მოდელი: resentment-ის მატარებელ მორჩილთა უმრავლესობის ბატონობა – ძალაუფლება – რჩეულ გმირებზე. მაგრამ მორალის ადგილზე – როგორც ძალაუფლების ნეიტრალიზაციის საშუალება ნიცშესთან – ლუმანთან „სამართლებრივი კოდირება“ დგება.





მამასადამე, ამგვარად, ძალაუფლება რეგულირდება სამართლებრივი-არასამართლებრივის კოდით. სიტუაციას არტულებს ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი კოდი არეგულირებს მხოლოდ ფორმალურ ძალაუფლებას.

მეორადი კოდირების საფუძველზე საზრისისეულისქემატიზმების ცნებობრივი კონკრეტიზაციის რეკონსტრუირება და სქემატურად წარმოდგენა შესაძლებელი შემდეგი სახით:

### საზრისი

(პოტენციური შესაძლებლობების ჯამიდან ერთი შესაძლებლობის შერჩევის თუ არჩევანისათვის, რაც უზრუნველყოფილია ენაში ჩადებული უარყოფის („არას“ თქმის) უნარით; ყველაზე ზოგადი სახით უზრუნველყოფს სისტემის ჩაკეტილობას).

### გავლენა

(უცხო-სხვა შესაძლებელი ქცევის კომპლექსურობის რედუქცია თავისი სელექციებით, რომლებიც შემდეგ ტრანსლირდებიან. შეიძლება განისაზღვროს სოციალური კონტექსტით და გააქტიურდეს ინტერაქციის მარტივ სისტემებში, ხოლო ინსტიტუციონალიზებული ფორმით ფუნქციონირებს დიფერენცირებულ სოციალურ სისტემებში ძალაუფლების, ქეშმარიტების, სამართლის, სიყვარულის, საკუთრების ფორმით და ა.შ.)

### ძალაუფლება

(პოლიტიკური სისტემის საზრისისეული სქემატიზმი)

მართლზომიერი	არამართლზომიერი
ფორმალური	არაფორმალური
პროგრესული	კონსერვატული

(ძალაუ

ფლების კოდის მეორადი კოდირება – გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ფუნქციონალური ექვივალენტები, ორიენტირები).

ლუმანი პირველ და მეორე შემთხვევასაც ახასიათებს, როგორც მეორად კოდირებებს. მათი ფუნქცია მდგომარეობს რედუცირებული კომპლექსურობის გადატანის პროცესებში სელექციურების იმავე გაძლიერებაში, ე.ი. ძალაუფლების გაძლიერება იმ კონკრეტული სიტუაციებიდან განთავისუფლების მეშვეობით, რომლებშიც იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, მათი მრავალსახეობის რედუქციის გზით ეკონომიკურ სისტემაც იღებს ასეთ მეორად კოდირებას ფულის კომუნიკაციური საშუალებებით (საშუალება საკუთრებაზე დამატებით), რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ სელექციურობას შესასყიდ საგნის შერჩევისას – სელექციურობას, განსაკუთრებით მეცნიერების სისტემის შემთხვევაში ქეშმარიტების მეორადი კოდირება თავისთვის მოითხოვს არა მარტო მის მიერ აღიარებულ კრიტერიუმებს, არამედ მეცნიერულ



რეპუტაციასაც, რომელიც მსგავს ფუნქციებს ასრულებს. ინტიმური ურთიერთობების სისტემის შემთხვევაში მეორადი კოდირება ეყრდნობა „გადახლართულ-გადაჯაჭვულ ბიოგრაფიათა კონკრეტულ ისტორიას“.

მეორეს მხრივ, მეორადმა კოდირებამ უნდა გააძლიეროს სისტემის ინტეგრაცია. აღსანიშნავია, რომ წიგნში „ძალაუფლება“, ლუმანი არასოდეს არ იყენებს სახელმწიფოს ცნებას. მაგრამ, კომუნიკაციური საშუალება, „ძალაუფლება“ არ ფლობს ისეთ მაინტეგრირებელ ძალას, როგორც ფული ეკონომიკურ სისტემაში. „სოციოლოგიურ განმანათლებლობაში“ ლუმანი ვარაუდობდა, რომ ძალაუფლების გამოყენება ჯერ კიდევ ვერ აკონსტრუირებს პოლიტიკური სისტემის ერთიანობას. პოლიტიკის ფუნქციონალურ სისტემაში, იმპროცესის მსვლელობისას, რომელსაც ლუმანი „სისტემის თვითაღწერას“ უწოდებს, უნდა შემოტანილ იქნას დამატებითი ცნება – „სახელმწიფო“, რომელიც უზრუნველყოფდა პოლიტიკური სისტემის დამატებით მოტივაციას და ინტეგრაციას. ლუმანი აკრიტიკებს სახელმწიფოს ჩვეულებრივ განსაზღვრებებს ხალხის, ტერიტორიისა და ძალაუფლების „ტრინიტარული ერთიანობის“ საფუძველზე. სახელმწიფო ლუმანთან – ესაა პოლიტიკური სისტემის თვითაღწერა, სემანტიკური არტეფაქტი, რომლის ფუნქციაა – უზრუნველყოს პოლიტიკური სისტემის დამოუკიდებლობა (ე.ი. გადაწყვეტილებათა, ძალაუფლებრივ გადაჯაჭვვათა თანმიმდევრობაში) თვით ძალაუფლებისაგან, მისი კონკრეტული ინსტანციების მხრიდან წარმოებული მსჯელობებისაგან (მსჯავრისაგან). სახელმწიფო – ძალაუფლების გენერალიზაციის უმაღლესი პუნქტია. სახელმწიფო, როგორც ძალაუფლება – პოლიტიკური სისტემის ყველა ოპერაციის საზრისისეული რეფერენციაა.

უფრო შინაარსობრივად ძალაუფლება განისაზღვრება, როგორც თავიდან აცილების ალტერნატივებისადმი მბრძანებლისა და მორჩილის დამოკიდებულებებს შორის დამოკიდებულება. თავიდან აცილების ალტერნატივე – პასუხია არა კონფორმულ ქცევაზე: მორჩილებაზე უარი და უარზე რეაქცია, რომლებიც მომდინარეობენ სანქციების ფორმით. მორჩილებისათვის ეს ალტერნატივები, ასე ვთქვათ უფრო არასასიამოვნოა, ვიდრე მბრძანებლისათვის. სხვაობა მოტივაციებში (მიმართო თუ უარი თქვა თავიდან აცილების ალტერნატივებზე) ერთდროულად ნიშნავს სხვაობას ძალაუფლებრივ დონეებში საინტერესოა, რომ ეს ძალაუფლების მაკოსტიტუირებელი დამოკიდებულება თითქოს „იხსნება“ მის მეორე განმსაზღვრელ ნიშანში. ასე, ნორმაში ძალაუფლების განხორციელებისათვის მოითხოვება, რომ მისი დამომწმელებელი თავიდან აცილების ალტერნატივები (სანქციები, საბოლოო ანგარიშით ფიზილური ძალადობა) საზოგადოდ არც კი უნდა იქნეს რეალობაში განხორციელებული, არამედ უნდა არსებობდეს, მხოლოდ პოტენციალურად, როგორც არასდროს არააქტუალიზირებული შესაძლებლობა. სადაც გამოიყენება ძალადობა, ძალაუფლება ქრება.

ძალაუფლების ზრდა მისი მხრიდან ძალადობის შემცირების სახით – ძველი, ნიცშესეული მოტივეს მეორე სოციოლოგიური რემინისცენციაა (გავლენაა ა.ბ.), რომელიც ფაქტობრივად აღმოჩნდება წინამდებარე წიგნის ლაიტმოტივი, თუნდაც სისტემურ-თეორიულ სამოსელში:



„ძალაუფლებისა და თვითცნობიერების ზრდასთან ერთად სისხლის სამართალი მუდამ მსუბუქდება; მისი ყოველი შესუსტება და მუქარებისადმი უფრო ღრმა მიდრეკილება კვლავ ავლენს სამყაროში უკანასკნელის უმკაცრეს ფორმებს. ძლიერების-ძლევამოსილების ისეთი ცნობიერებით, რომლის დროსაც მას შეეძლებოდა თავის თავისათვის მიეცა ყველაზე კეთილშობილური ფუფუნება, უფლება მის განკარგულებაში მყოფი ყველა სახის ფუფუნებისაგან – დაუსჯელი დაეტოვებინა ის, ვინც მას ზიანს აყენებს. საკუთრივ რა საქმე მაქვს მე ჩემს პარაზიტებთან? – ასეთ შემთხვევაში მას უფლება ექნებოდა ეთქვა ეს – დაე იცოცხლონ და განვითარდნენ, ამისათვის მე ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ვარ”.

(Ф. Ницше. «К Генеалагии морали» Соч. 2. М. 1990. с. 451-452)

## ნიკლას ლუმანი რა არის კომუნიკაცია?

ჩვენი ცოდნა ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ სისტემებზე, უკვე აღარ ექვემდებარება ინტეგრაციას.

ჩემი ამოცანაა, კომუნიკაციის მიღებული გაგების კრიტიკა და მისი ახალი ვარიანტის მოწოდება. ვიდრე ამას გავაკეთებდეთ, მიზანშეწონილად მიმაჩნია რამოდენიმე შენიშვნის გაკეთება მეცნიერულ კონტექსტში, რომელშიც იქნება რეალიზებული ეს მანევრი.

უპირველეს ყოვლისა მე გამოვდივარ საყოველთაოდ აღიარებული ვითარებიდან, ჩვენთვის ყველასათვის კარგადაა ცნობილი ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის დიფერენციაცია, ას წელზე მეტი ხნის მრავალმხრივმა გამოკვლევებმა ამ სფეროებში, ჩვენ მიგვიყვანა ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური სისტემების ცოდნასთან, რომელიც მეტად აღარ ექვემდებარება ინტეგრაციას. არცერთი ცალკე აღებული, რომელიმე დისციპლინის სპეციალისტს არ შეუძლია განიხილოს ცოდნის ზოგადი მდგომარეობა, მაგრამ ნათელია, რომ ორივე შემთხვევაში ლაპარაკია მაღალი სირთულის სტრუქტურირებულ სისტემებზე, რომელთა დინამიკა ყველა დამკვირვებლისათვის არაგამჭვირავალე და არარეგულირებადია, მაგრამ ყოველთვის არსებობენ ამ მდგომარეობის მაიგნორირებელი თეორიები და დებულებები.

სოციოლოგიაში ასეთ „გადმონაშთებს“ განეკუთვნებიან მოქმედებისა და კომუნიკაციის გაგება [ცნება], როგორც წესი ისინი გამოიყენება სუბიექტთან კავშირში, რაც ნიშნავს



იმას, რომ ისინი გულისხმობენ ინდივიდუალად ან სუბიექტად წოდებულ ავტორს, რომელსაც მიეწერება კომუნიკაცია ან მოქმედება, მაგრამ ამავე დროს ცნება მოქმედებს მხოლოდ, როგორც ცარიელი ფორმულა, თავისთავად ზესირთულის მქონე საქმეთა ვითარებისათვის, რომელიც უკვე აღარ ეკუთვნის ფსიქოლოგიას და აღარ აინტერესებს სოციოლოგებს.

**მხოლოდ კომუნიკაციას შეუძლია განახორციელოს კომუნიკაცია.**

თუ ეჭვი შეაქვთ ცნებათა ასეთ დისპოზიციასში, რის გაკეთებასაც მე ვაპირებ, როგორც წესი გვესმის, რომ სულერთია მაინც არსებობენ ადამიანები, ინდივიდუალები, სუბიექტები, რომლებიც მოქმედებენ და შესაბამისად შედიან კომუნიკაციაში. ამის საწინააღმდეგოდ მე მიხდოდა დამემტკიცებინა, რომ მხოლოდ კომუნიკაციას შეუძლია კომუნიკაციის

განახორციელება და მხოლოდ კომუნიკაციის ასეთ ბადეში იწარმოება ის რასაც ჩვენ ვეძახით “მოქმედებას“.

ჩემი მეორე შენიშვნა ეხება ზოგად თეორიაში სწრაფად განვითარებად სისტემებს და კიბერნეტიკაში შესაბამისად თვითრეფერენტულ სისტემებს, რომლებიც ადრე იწოდებოდნენ თვითორგანიზაციად ახლა კი ტერმინ აუტოპოესისით განისაზღვრება.

თვით კვლევის მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის ცნებების წარმოქმნასთან დაკავშირებით საკამათოა.

მიუხედავად ამისა ნათლად ჩანს თეორიულ საშუალებათა გარდაქმნა თვით შემეცნების თეორიის ჩათვლით, იმ აზრით, რომ იგი მოიცავს ბიოლოგიას, ფსიქოლოგიას და სოციოლოგიას. ვისაც უყვარს მრავალდონიანი არქიტექტურა შეუძლია შეამჩნიოს თეორიათა რეკონსტრუქცია, ერთდროულად მიმდინარე სხვადასხვა დონეზე

**თვითრეფერენცია არ ითვლება აზროვნების განსკუთრებულ თვისებად**

ფილოსოფიური ტრადიციებით ძირეული დაშვებების საწინააღმდეგოდ, თვითრეფერენცია (ანუ „რეფლექსია“) არავითარ შემთხვევაში არ ითვლება აზროვნების ან შეგნების ძირითად თვისებად, არამედ ევოლუციასთან და სირთულეებთან მიმართებაში სისტემაწარმომქმნელ ზოგად პრინციპად ითვლება. ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება დაუშვათ, რომ არსებობენ სამყაროზე დაკვირვების ერთმანეთისგან განსხვავებული მრავალი შესაძლებლობები, იმისდა მიხედვით თუ რომელ სისტემურ რეფერენციას მივიჩნევთ საფუძვლად ანუ სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ევოლუციამ მიგვიყვანა სამყარომდე სადაც თვითდაკვირვებისათვის ძალზე ბევრი საშუალება არსებობს ისე, რომ არ გამოვყოთ ერთ-ერთი მათგანი, როგორც საუკეთესო. ამიტომაც ყველა თეორია, რომელიც შეესაბამისება ნივთების ასეთ განლაგებას, უნდა



მივაკუთვნოთ დაკვირვების დონეს დაკვირვებაზე ანუ მეორე რანგის კიბერნეტიკოსებს ჰაინც ფონ ფორესტერის მიხედვით.

ახლა მე ვსვამ კითხვას, როგორ გამოიყურება სოციალურ სისტემათა განვითარების თეორია სოციოლოგიაში თუ იგი ცდილობს ფეხი აუწყოს ამგვარ განვითარებას? მე ვთვლი, რომ ამისათვის უნდა დავიწყოთ არა მოქმედების, არამედ კომუნიკაციის ცნებით, ვინაიდან არა მოქმედება არამედ კომუნიკაცია ითვლება გარდაუვალ სოციალურ ოპერაციად და ოპერაციად, რომელიც სოციალური სიტუაციების წარმოქმნისას აუცილებლად მოდის მოძრაობაში.

ჩემი მოხსენების ძირითად ნაწილში, მე შევეცდები წარმოვადგინო კომუნიკაციის შესაბამისი ცნება, სახელდობრ გაგება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს შემეცნებასა და სიცოცხლესთან, ესე იგი აუტოპოესისური სისტემების სხვა დონეებთან. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს კომუნიკაცია შესაძლებელი იქნებოდა სიცოცხლისა და შემეცნების გარეშე, იგი ასევე შეუძლებელია ნახშირბადისა და ზომიერი ტემპერატურის გარეშე, დედამიწის მიზიდულობისა და მატერიის ატომგულური სტრუქტურის გარეშე. სამყაროს სირთულიდან გამომდინარე არ შეიძლება ნივთების განლაგების ყველა შესაძლო პირობის გათვალისწინება, ვინაიდან ამ შემთხვევაში გაგება დაკარგავდა ყოველგვარ კონტურს და გამოყენებითობას თეორიათა აგების ტექნიკაში.

### **კომუნიკაცია ხორციელდება სამი განსხვავებული სელექციის სინთეზის მეშვეობით**

სიცოცხლისა და შემეცნების მსგავსად, კომუნიკაცია წარმოადგენს ემერჯენტულ რეალობას და ხორციელდება სამი განსხვავებული სელექციის მეშვეობით, სახელდობრ: ინფორმაციის სელექციით, ამ ინფორმაციის შეტყობინების სელექციით და ინფორმაციის სელექციური გაგებით ან არ გაგებით. ამ სამი კომპონენტიდან ცალკე არცერთს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, კომუნიკაცია ხორციელდება, მხოლოდ მათი ერთობლიობით, ამიტომ კომუნიკაცია, ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაგებულია შეტყობინებისა და ინფორმაციის განსხვავება, ეს განსხვავებებს მას სხვისი ქცევის შიშველი მიღებისაგან.

კომუნიკაცია თავის თავში მოიცავს ინფორმაციის შინაარსის, ინფორმაციულ ღირებულებებსა და იმ მიზეზებს შორის ურთიერთობის ცნებას, რის გამოც ხდება შინაარსის შეტყობინება, ამასთან ერთად მას შეუძლია ხაზი გაუსვას ერთ ან მეორე მხარეს, ესეიგი მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს ან თვით ინფორმაციას ან ექსპრესიულ ქცევას.

სხვა სიტყვებით ინფორმაცია თავისთავად არ გულისხმობს მის გადაცემას და მიწოდებისათვის საჭიროა განსაკუთრებული გადაწყვეტილება.



დიდი მნიშვნელობა აქვს განვასხვაოთ ერთმანეთისგან შემეცნება და კომუნიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაცია იძლევა მდიდარ შესაძლებლობებს შემეცნებისათვის, შემეცნება მაინც რჩება ფსიქიურ მოვლენად, კომუნიკაციური არსებობის გარეშე იგი რჩება ჩაკეტილ შეგნებაში და რჩება გაუმჭვირვალე სხვა შემეცნებისათვის და კომუნიკაციური სისტემისათვის.

შემდგომი კომუნიკაციისთვის შესაძლებელია გამოინახოს გარეშე მიზეზიც და მონაწილეებმა შესაძლებელია შეიტანონ კომუნიკაციაში სიტუაციის საკუთარი ინტერპრეტაცია და მიღება, მაგრამ მხოლოდ კომუნიკაციური კანონზომიერებათა ფარგლებში. მაგალითად, მხოლოდ ზეპირი ფორმით, მხოლოდ საუბრის დროის გათვალისწინებით, მხოლოდ საკუთარ თავზე ზეწოლის მეშვეობით.

თვითონ გაგებაც წარმოადგენს სელექციას.

როგორც ინფორმაცია და მისი შეტყობინება, ასევე გაგებაც წარმოადგენს სელექციას.

გაგება არასოდეს არაა შეტყობინების შიშველი დუბლირება სხვა შეგნებაში. კომუნიკაციური სისტემა გამოიმუშავებს თავის საკუთარ, სწორ ან არასწორ გაგებას და ამ მიზნით ქმნის, თვითდაკვირვებისა და თვითკონტროლის პროცესებს.

შეუძლებელია კომუნიკაციაში შესვლა უბრალოდ გაგების ან არ გაგების საფუძველზე, როგორც ეს მოუნდებათ მის მონაწილეებს.

გაგების არსწორი გაგების ან გაუგებრობის საფუძველზე შესაძლებელია კომუნიკაციაში შესვლა, კომუნიკაციური სისტემის აუტოპოესისის მეტად სპეციფიკურ პირობებში, ამიტომ შეტყობინება „შენ ჩემი არ გესმის“ რჩება ამბივალენტურად და ამბივალენტობის გადამცემად, ერთის მხრივ ის ამბობს “შენ არა ხარ მზად მიიღო ის, რისი თქმაც მე მინდა შენთვის“ და ცდილობს ამ ფაქტის განსაკუთრებით პროვოცირებას. მეორეს მხრივ იგი შეტყობინებაცაა, ასეთ პირობებში კომუნიკაციის გაგრძელების შეუძლებლობის შესახებ, მესამე იგი კომუნიკაციის გაგრძელებაცაა.

გაგების სირთულეებთან დაკავშირებული ტექნიკა მდგომარეობს ნორმალურ რუტინულ კომუნიკაციაში, გამოკითხვებსა და კომენტარებში და მიმდინარეობს განსაკუთრებული ფსიქიური დატვირთვის გარეშე.

ის არღვევს ამ ნორმალურ რუტინას ვინც ცდილობს ამ რუტინაში შეიტანოს კომუნიკაციის გაწყვეტა ან მისი გაწყვეტის საშიშროება “შენ ჩემი არ გესმის“, მაგრამ იგი ნიღბავს მიღების ან უარყოფის პრობლემის სირთულეს სემანტიკის დახმარებით, რომელიც შთააგონებს, რომ პრობლემა კომუნიკაციის შესახებ უნდა გადაწყდეს კომუნიკაციის მეშვეობით.

რა არის ახალი კომუნიკაციის ასეთ გაგებაში? რაში მდგომარეობს ინოვაცია?



პირველ რიგში ახალია სამი კომპონენტის : ინფორმაციის , შეტყობინების და გაგების გამოყოფა ერთმანეთისგან.

მსგავს გამოყოფას ჩვენ ვხვდებით კარლ ბიულერთან ვერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფუნქციების თვალსაზრისით. ამერიკელებმა ოსტინმა და სერლემ გააძლიერეს და განამტკიცეს ეს დაყოფა მოქმედების ტიპებისა და საუბრის აქტების შესახებ თეორიებში. თავის მხრივ იურგენ ჰაბერმასმა დაუმატა აქ მნიშვნელობისადმი მიკუთვნების ტიპოლოგიები ნაგულისხმევი კომუნიკაციაში, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ გამომდინარეობს კომუნიკაციის გაგებიდან ,

დაფუძნებული სოციალური მოქმედების თეორიებიდან, ამიტომაც განიხილავს კომუნიკაციის პროცესს ან წარმატებულად ან წარუმატებლად.

სისტემურ თეორიტიკულ მიდგომაში ამის საწინააღმდეგოდ ხაზგასმულია, თვით კომუნიკაციის ემერჯენტულობა. კომუნიკაცია აწარმოებს მეხსიერებას, რომელიც ბევრის მიერ ანგარიშში მეტად განსხვავებული ფორმით მიიღება. თუ A ატყობინებს B – ს, რომ შემდგომში კომუნიკაცია მიმართული იქნება ა – სკენ ან ბ – სკენ სისტემა თითქოს გამუდმებით პულსირებს და აწარმოებს ნამატსა და სელექციას. დამწერლობისა და წიგნის ბეჭდვის გამოგონების შემდეგ ეს პროცესი უსასრულოდ, სოციალური სტრუქტურისათვის შესაბამისი შედეგებით გაძლიერდა.

სამ კომპონენტში ლაპარაკია განსხვავებულ სელექციებზე.

სამი კომპონენტი – ინფორმაცია, შეტყობინება და გაგება, არც როგორც ფუნქციებად და არც როგორც აქტებად და არც მიზიდულობის ჰორიზონტებად არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული.

ესენი არ წარმოადგენენ ასევე არავითარ აგურებს კომუნიკაციისათვის, რომლებიც უნდა გაერთიანდეს ვიღაცის მიერ, უფრო მეტად საუბარია განსხვავებულ სელექციებზე, რომლებშიც შერჩევის არე იქმნება, მხოლოდ კომუნიკაციის მეშვეობით და არა რაიმე მიზეზობრივი კავშირის აზრით, რომლის თანახმად ინფორმაცია უნდა იყოს შეტყობინების, ხოლო შეტყობინება გაგების მიზეზი.

### **კომუნიკაციის სისტემა სრულიად ჩაკეტილ სისტემად ითვლება.**

კომუნიკაციის სისტემა ითვლება სრულიად ჩაკეტილ სისტემად, რომელიც თავად ქმნის თავის შემადგენელ კომპონენტებს, ამიტომ კომუნიკაცია აუტოპესისურ სისტემად ითვლება. ასე, რომ რაც ითვლება სისტემის ერთიანობად , იქმნება და კვლავიწარმოება სისტემის მიერ და იგულისხმება, რომ ეს ხდება სამყაროს გარემოცვაში და მის განვრცობადობაზეა დამოკიდებული.



უფრო კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ კომუნიკაციის სისტემა განსაზღვრავს არ მარტო საკუთარ ელემენტებს, რომლებიც შემდგომში ითვლებიან კომუნიკაციის განუყოფელ ელემენტებად, არამედ საკუთარ სტრუქტურებსაც და მხოლოდ კომუნიკაციითაა შესაძლებელი კომუნიკაციის შემადგენელ ერთეულთა დეკომპოზიცია. (მაგ: გაანალიზიოს ინფორმაციის სელექციის ჰორიზონტები ანდა დააყენოს საკითხი ინფორმაციის შეტყობინების მიზნებზე).

### **მხოლოდ კომუნიკაციას შეუძლია აკონტროლოს და ადადგინოს კომუნიკაცია.**

ადვილად შესამჩნევია, რომ რეფლექსური ოპერაციების ასეთი პრაქტიკა მეტად მფლანგველურია, რომლის ხელში დაჭერა კომუნიკაციის აუტოპოესისური თავისებურების მეშვეობითა შესაძლებელია. მაგრამ ყოველთვის და უფრო ზუსტი განსაზღვრებების პოვნა შეუძლებელია.

როდესაც და საკამოდ მალე მიღწეულ იქნება კომუნიკაციის ზღვრული სასრგებლო დონე, ანდა ამოიწურება თმენის რესურსი ანდა გარესამყაროს დასაშვები ფსიქიური დატვირთვის ზღვარი ანდა წინა პლანზე წამოვა ინტერესი სხვა თემების ან პარტნიორების მიმართ.

### **კომუნიკაციას არ გააჩნია არავითარი მიზნები**

ადვილი არაა ამ თეზისის მიღება ჩაკეტილი აუტოპოესისური სისტემისათვის. გარკვეული დროის განმავლობაში საჭიროა მისი აზრობრივი ექსპერიმენტირება, რათა ვნახოთ თუ რას იძლევა იგი. ასევეა მეორე მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ თეზისთან დაკავშირებით, კომუნიკაციას არ გააჩნია არავითარი მიზანი, არავითარი იმანენტური ენტელეხია. ის ხდება ან არ ხდება, აი ყველაფერი რაც შეიძლება ითქვას მასზე, ამ შემთხვევაში თეორია ეთანხმება არა არისტოტელეს არამედ უფრო სპინოზას აზრებს.

თავისთავად იგულისხმება, რომ კომუნიკაციის სისტემის შიგნით, შეიძლება წარმოიშვას ეპიზოდები ორიენტირებული მიზანზე ისევე, როგორც ზოგჯერ შემეცნებას შეუძლია დაისახოს მიზნები, მიუხედავად იმისა ემთხვევა თუ არა ეს მიზანმიმართულება სისტემის მიზნებს, რის გამოც სისტემა აგრძელებს არსებობას მიზნის მიღწევის შემდეგაც. ხომ არ უნად განვაცხადოთ, რომ სიცოცხლის მიზნად სიკვდილი ითვლება, რაც არ იქნებოდა განსაკუთრებული სიახლე.

### **კომუნიკაციურ მოქმედებათა რაციონალურობის თეორია მცდარია თვით ემპირიული თვალსაზრისით.**

ზოგჯერ თვლიან, რომ კომუნიკაცია მიმართულია შეთანხმებისაკენ და ეძებს კონსენსუსს. ამ ბაზისზეა აგებულია, კომუნიკაციურ მოქმედებათა ჰაბერმასის მიერ შემუშავებული თეორია, მაგრამ იგი მცდარია წმინდა ემპირიული თვალსაზრისითაც.





კომუნიკაციაში შესვლა შესაძლებელია იმიტომაც, რომ ხაზი გაუსვათ უთანხმოებებს, შესაძლებელია დავიწყოთ კამათი და არ არსებობს არავითარი იმპერატიული წინაპირობა, რომ თანხმობა უფრო მეტად რაციონალურია ვიდრე უთანხმოება, ეს მთლიანად ეხება, როგორც თემებს ასევე პარტნიორებს. თავისთავად იგულისხმევა, რომ კომუნიკაცია შესაძლებელია რაღაც თანხმობის გარეშე, მაგრამ იგი შეიძლება ასევე გარკვეულ უთანხმოებათა გარეშეც. იგი იმპერატიულად გულისხმობს, რომ მოცემული მომენტისათვის არააქტუალურ თემებთან მიმართებაში თანხმობისა და უთანხმოების საკითხი შეიძლება ღიად დავტოვოთ.

### **ყველა კომუნიკაცია სარისკოა.**

ენტელეხიის ნაცვლად, რომელიც მიმართულია კონსენსუსზე, სისტემური თეორია სხვა თეზის საყენებს: კომუნიკაცია ამწვავებს საკითხს მიღებული იქნება ინფორმაცია და შეტყობინება თუ უარყოფილი. ინფორმაციის სჯერათ ან არ სჯერათ: კომუნიკაცია მხოლოდ ქმნის ამ ალტერნატივას და ამავე დროს უარყოფის რისკსაც. იგი ახდენს გადაწყვეტის სიტუაციათა ფორსირებას, ამ გაგებით ყველა კომუნიკაცია სარისკოა.

ეს რისკი ითვლება ერთ-ერთ უმთავრეს მორფოლოგიურ ფაქტორად, იმ ინსტიტუტების ასაშენებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ მზდყოფნას მიღებისათვის, თვით დაუჯერებელ კომუნიკაციათა შემთხვევაშიც. თუმცა შესაძლებელია პირიქითაც, რაც სამართლიანია აღმოსავლური კულტურებისათვის: თავს არიდებენ კომუნიკაციას სადაც უარყოფის მაღალი ალბათობა არსებობს, ცდილობენ შეასრულონ სურვილი მათ გამოხატვამდე რითაც მიანიშნებენ კომუნიკაციის საზღვრებზე.

### **კომუნიკაცია აორმაგებს რეალობას**

კომუნიკაცია ქმნის რეალობის ორ ვარიანტს: ვარიანტს “დიახ“ და ვარიანტს “არა“ და ამით აიძულებს სელექციას. იმაში, რომ ახალი რაღაც უნდა მოხდეს (თუნდაც ეს იყოს აშკარად კომუნიკაციის შეწყვეტა) ჩადებულია სისტემის აუტოპოეისისი, რომელიც თავისივე გაგრძელების გარანტორია.

ამრიგად მიღების ან უარყოფის გამწვავებული ალტერნატივა, სხვა არაფერია თუ არა თვით კომუნიკაციის აუტოპოეისისი.

იგი დიფერენციაციას უკეთებს მიერთების პოზიციას შემდგომი კომუნიკაციისთვის, რომელიც არ აიგება არც მიღწეულ თანხმობაზე და არც უთანხმოებაზეა დამოკიდებული, არ ცდილობს პრობლემის რაფინირებას და შემდგომში უხერხული მომენტების თავიდან აცილებას. არაფერს, რასაც უნარი აქვს იქცეს კომუნიკაციად არ შეუძლია თავიდან აიცილოს ასეთი მკაცრი ბიფურკაცია, ერთადერთი გამონაკლისის გარდა: სამყარო (ფენომენოლოგიური თვალსაზრისით) აზრის უკანასკნელ ჰორიზონტის ხარისხში სადაც ყოველივე ეს თამაშდება და რომელიც



არ კვალიფიცირდება არც უარყოფითად და არც დადებითად, არ შეიძლება მიღებული ან უარყოფილი იქნეს და ნაგულისხმევი იქნება ყველა აზრობრივ კომუნიკაციაში, როგორც შემდგომი კომუნიკაციის მიღწევის საშუალება.

### **კომუნიკაციის დამოკიდებულება ფასეულობებისადმი**

ახლა ნება მომეცით ეს თეორიული დებულებები გამოვცადო სპეციალურ საკითხზე – კომუნიკაციის დამოკიდებულებაზე ფასეულობათა მიმართ. ემპირიული დაკვირვებით რასაც შეიძლება მივაღწიოთ, ესაა ,ის რომ ფასეულობების შემოტანა კომუნიკაციაში ხდება იმპლიკაციის მეშვეობით. მათ გულისხმობენ. მათით თამაშობენ. პირდაპირ არ ამბობენ “მე მშვიდობის მომხრე ვარ“ ,“ვუფრთხილდები საკუთარ ჯანმრთელობას“. ამას თავს არიდებენ უკვე ცნობილი მიზეზების გამო, ვინაიდან ეს გააორმაგებდა მიღების ან უარყოფის შესაძლებლობებს.

კამათობენ არა ფასეულობებზე არამედ პრიორიტეტებზე .

ასე რომ ფასეულობები მოქმედებენ მათი მნიშვნელობისადმი დაქვემდებარების მიხედვით. ის ვინც ახორციელებს კომუნიკაციას მხედველობაში იღებს, რაღაც ღირებულებით ბონუსს. თუ მეორე არაა თანახმა, მან უნდა განაცხადოს ამის შესახებ.

ჩვეულებრივ ოპერირებენ ფასეულობათა სილამაზეს ან სიკეთეს ამოფარებულნი და სარგებელს ნახულობენ იქიდან, რომ ის ვინც უნდა გააპროტესტოს კისრულობს არგუმენტაციის ტვირთს. თავს არიდებს საშიშროებას იაზროვნოს ინოვაციურად და თვითიზოლაციის აუცილებლობას. ასე რომ, უმეტესი ფასეულობები იმპლიციტურად გვევლინება, რითაც შემდგომი ნაბიჯისას შეიძლება თემატიზირებული იქნეს ის, რომ გამოსვლა, უარყოფა ან მოდიფიკაცია თითქმის უიმედო წამოწყებად ითვლება.

კამათობენ არა ფასეულობებზე, არამედ უპირატესობებზე, ინტერესებზე, პროგარამებზე. ეს ასევე არ ნიშნავს, რომ არსებობს ფასეულობათა სისტემა. რაც მთავარია ეს არ ნიშნავს, რომ საუბარია ფსიქოლოგიურად სტაბილურ სტრუქტურებზე, პირიქით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისიდან გვეჩვენება, რომ ფასეულობებს უკიდურესად არამყარი არსებობა გააჩნიათ. ზოგჯერ გამოიყენებიან ისინი, ზოგჯერ კი არა, მისი სტაბილურობა კომუნიკაციის არტეფაქტად ითვლება და აუტოპოესისური სისტემა ითვლება მას, ისე ითვლება როგორც მას მოსწონს. და ამიტომაც ვინაიდან პროექტში მონაწილეობენ სოციალური სისტემების აუტოპოესისური სტრუქტურები, სოციალური სისტემების ფასეულობრივი სემანტიკა, მისი სტაბილურობა რეკერსირებულ დაქვემდებარებაზე და სემანტიკის აპრობაციაზეა დაფუძნებული, რომელთან ერთად იგი ფუნქციონირებს ან შესაბამისად არ ფუნქციონირებს.

### **ფასეულობათა თვითრეალიზაცია არ არსებობს**



რას ფიქრობს ამ დროს აზროვნება? ეს სხვა საკითხია. თუ იგი გამოცდილია, იცის, რომ ფასეულობრივი კონსენსუსი, როგორც მავნეა, ასევე გარდაუვალია. რადგან არ არსებობს ფასეულობათა არავითარი თვითრეალიზაცია და ყველაფერი რასაც ისინი ითხოვენ, შეიძლება ფასეულობათა სახელით ჩამოვიცილოთ გზიდან.

### **სისტემური კავშირებისა და დიაგნოსტიკის სფეროების თერაპიის შედეგები**

სისტემურ – თეორიული და კომუნიკაციურ თეორიულ გაგებათა ასეთი სიღრმისეული რევიზია, სისტემის დიაგნოსტიკისა და თერაპიის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს, რომელიც განიხილება, როგორც პათოლოგიური. მე არ გამაჩნია არავითარი კომპეტენცია ამ სფეროში და უპირველეს ყოვლისა ის თვითკონტროლი, რომელიც წარმოიქმნება ვითარებასთან საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ. მიუხედავად ამისა მე მინდა გარკვეული რეზიუმეს სახით პასუხი გავცე რამოდენიმე პუნქტზე, რომლებსაც შეუძლიათ საფუძველი მისცენ ცნობილ ფენომენების სხვანაირ კონსტრუქციებს. უპირველეს ყოვლისა მოცემული თეორიული დებულება ხაზს გაუსვამს განსხვავებას ფსიქოლოგიურ და სოციალურ სისტემებს შორის. ერთნი ოპერირებენ შემეცნების, მეორე კი კომუნიკაციის საფუძველზე და ორივენი ითვლებიან ჩაკეტილ სისტემებად, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ საკუთარი მოდუსები. აუტოპოესისურ, კვლავწარმოების სოციალურ სისტემას არ შეუძლია აზროვნება, ფსიქოლოგიურ სისტემას კი კომუნიკაციის განხორციელება. მიუხედავად ამისა, მიზეზობრივი თვალსაზრისით გამოუკვლევია მაღალსირთულოვანი ურთიერთდამოკიდებულებები არსებობენ, ამრიგად ჩაკეტილობა არ გამორიცხავს ურთიერთდამოკიდებულებას და ასეთი დამოკიდებულებების თვალყურის დევნებას და აღწერას. ამ აღწერაში აუცილებელია მხოლოდ აუტოპოეზისის ჩაკეტილობის საწყისი დებულებების შეტანა და გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ სისტემები ერთმანეთისათვის გაუმჭვირვალეა და არ შეუძლიათ ერთმანეთის მართვა. აქედან გამომდინარე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შემეცნებას კომუნიკაციაში შეაქვს მხოლოდ წინააღმდეგობები, დარღვევები და გადაჯგუფებები და ასეა პირიქითაც. თუ აკვირდებით კომუნიკაციის პროცესს, უნდა იცნობდეთ წინა კომუნიკაციას, შესაძლებელია იცოდეთ თემები და ის რაც ამაზე შეიძლება ითქვას აზრობრივად. ინდივიდუუმების შემეცნების სტრუქტურები არ საჭიროებენ საერთოდ იმას, რომ გიცნობდნენ თქვენ. ეს არგუმენტაცია რა თქმა უნდა დაზუსტებას მოითხოვს, რადგანაც კომუნიკაციის სისტემები ხშირად თემატიზირებულია ადამიანების მიერ და ვინაიდან შემეცნება მიეჩვია უყვარდეს განსაზღვრული სიტყვები, განსაზღვრული ისტორიების მოყოლა და ასე საკუთარი თავის იდენტიფიცირება კომუნიკაციასთან.

**თვითშემეცნება სიტყვებზე მატყუარა შუქივით დახტის.**



ასე,რომ დამკვირვებელს შეუძლია გაშიფროს მაღალსტრუქტურული გადაჭდობა სოციალური და ფსიქიური სისტემებისა,მიუხედავად ამისა კომუნიკაციური მოვლენების ფსიქიური სელექცია მონაწილეთა განცდებში სხვა არაფერია თუ არასოციალური სელექციურობა და ჩვენი ნათქვამისადმი უმნიშვნელო ყურადღებაც კი საკმარისია, რომ შევიგნოთ რაოდენ არამკაცრიც უნდა იყოს ჩვენი არჩევანი, რომ შევძლოთ იმის თქმა რაც შეიძლება ვთქვათ რამდენადაც წარმოთქმული სიტყვა არ არის ის რასაც ვფიქრობდით.

### **კომუნიკაცია შესაძლებელია დაირღვეს შემეცნებით**

კომუნიკაციური სისტემის გარემომცველი,ხმაურიანი,ცვალებადი, შემეცნებითი სამყაროს ადგილს იკავებს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გადაყვანილი იქნას კომუნიკაციაში: “ხო“ თუ „არა“, დამატებითი კითხვა, შესაძლებელი შეფერხება, გადავადება, უარი, სხვაგვარად, რომ ვთქვათ კომუნიკაცია შეიძლება დარღვეულ იქნეს აზროვნებით და კიდევ იწინასწარმეტყველოს მისი დარღვევა, მხოლოდ იმ ფორმით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შემდგომ კომუნიკაციაში ჩასართავად. ამავდროულად, არასოდეს არ ხდება განსხვავებულ სისტემათა აუტოპოესისის აღრევა, გასაგებია, რომ ეს ანალიზი სრულებითაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ აღვწეროთ ის, რაშიც იგულისხმება სისტემის პათოლოგიური მდგომარეობა. ხმაური, შეფერხება, გადაჯგუფებები, ამ თეორიიდან გამომდინარე ითვლება ჩვეულებრივ შემთხვევად, რისთვისაც არსებობს, როგორც ფსიქოლოგიურის, ასევე სოციალურის ნორმალური შთანთქმის შესაძლებლობა. პათოლოგიის შთაბეჭდილება იქმნება,მხოლოდ მაშინ თუ დარღვეულია ტოლერანტობის გარკვეული საზღვრები.

თეორიული პოზიციებიდან გამომდინარე,რომელთა წარმოჩენაც მე დავისახე მიზნად,კარგი იქნებოდა მკვეთრად გაგვემიჯნა ფსიქიური და სოციალური პათოლოგიები და ვყოფილიყავით ფრთხილად, როდესაც ერთ ერთის მეორის მიზეზად და ინდიკატორად განხილვას ცდილობენ.